
NEWS OF THE WORLD
EXCLUSIVE
COLEEN: I can't live without Roo
HOTELS FROM £5
WORLD EXCLUSIVE
RICKY COKE SHAME

## პატრონი თავს იკლავს

გვ. 16



## კლიჩკომ მეტოქე კლინიკაში გაუშვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 16



გვ. 12

## ანამ მოლიკი დაძლია

ვალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
14 სექტემბერი **სამშაბათი** 2010
№216 (13204) ფასი 60 თეთრი



გვ. 10

## კვლავ სამი გამარჯვება ტოკიოში

# კრიზისული დუელი სტად ჟერლანზე




გვ. 5

## ინტერი ტიტულის დაცვას ტვენტეთი იწყებს



2004 წლის 22 ივლისი. სან ჯორჯო. საქართველო-რუსეთი 87:71. შეიძლება, რუსებს ევრობასკეტზე გადავეყაროთ

## ვინ, როგორ, სად, რამდენი?

რა სისტემით ჩატარდება ევრობასკეტი 2011

გვ. 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

ინფრასტრუქტურა

## ნაძალადევს ფეხბურთი უბრუნდება

### თემქის სტადიონზე ტრიბუნებს აშენებენ

როდესაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის შემდეგ, ჩვენს ფეხბურთზე ასახულ დანაკლისზე ლაპარაკობენ, ავიწყდებათ, რომ მასაზრდოებელი წყარო თბილისის ბევრ უბანში ჩაიკეტა. სტანდარტული მოედანი ბევრგან აღარაა - ვაკეში მხოლოდ მინი-მოედანზე მოქმედი საფეხბურთო სკოლა დარჩა. „ლოკომოტივის“ სტადიონი ამ კატეგორიაში ვერ ჩაითვლება. ოქროსუბანიც სტადიონის გარეშე დარჩა, რადგან ძველი 35-ე სკოლის სტადიონი გაიყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში ჩაწერილი არ იყო, „ცენტ პოინტმა“ სკოლას სანაცვლო ტერიტორია ავჭალაში მაინც გადასცდა და ესეც არაა ცუდი საქმე., მაგრამ ოქროსუბნისთვის ამით არაფერი იცვლება - უბანში სტადიონი აღარაა.

ნაძალადევი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი წყარო იყო - ამ უბანში გაიზარდნენ **ძმები მაჩაიძეები, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ლევან მელიქია, დავით მუჯირი**-უფროსი, ფეხბურთში პირველი ნაბიჯები გადადგეს **გელა კეტაშვილმა, გიორგი ნემსაძემ** და ა.შ. მოკლედ, მტკიცება არ უნდა, რომ ეს საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული საფეხბურთო ცენტრი გახლდათ. ამ უბანში ორი საფეხბურთო სკოლა მოქმედებდა - სპორტულ კომპლექს „შრომითი რეზერვებსა“ და ტრიკოტაჟის ფაბრიკაში. ფინანსური პრობლემების გამო, 15 წლის წინ, „შრომითი რეზერვების“ სკოლა დაიშალა და მოედანიც გაპარტახდა. შვიდი წლის წინ მისი ყიდვა და მოვლა-პატრონობა საფეხბურთო აკადემია „ოლიმპს“ სურდა, მაგრამ სტადიონის საკუთრების საკითხის გაურკვევლობის გამო აკადემიის ხელმძღვანელობამ „გორდიას კვანძის“ გახსნა სისულელედ ჩათვალა. ასე და ამგვარად, ცნობილი საფეხბურთო სკოლა ჩაკვდა და ქართულ ფეხბურთს ველარ ასაზრდოებდა.

ნაძალადევში მხოლოდ **ჟანი ლეჟავას** (ცნობილი მეტსახელით - „ბაბუ“) საფეხბურთო სკოლა „გეორგია“ დარჩა, რომელსაც ძალიან უჭირს. აქედან გამომდინარე, მოზარდებს სავარჯიშო პირობები არ გააჩნიათ და ყველა ასაკის ბავშვებს ვერც აგროვებენ. წვიმის შემდეგ, მოედანზე ვარჯიში შეუძლებელია. ამის გამო, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბნის ბავშვები სავარჯიშოდ „ოლიმპში“, „ნორჩ დინამოელში“, „ავაზაში“, 35-ე სკოლაში, **სულაქველიძისა** და **კარლო მჭედლიძის** და ა.შ. სკოლებში დადიან.

თუმცა, ფეხბურთზე ყველა მსურველი ვერც დადის, რადგან გაჭირვებული ოჯახები ნიჭიერი ბავშვების ცნობილ სკოლებში მიყვანას ვერ ახერხებენ - ტრანსპორტირების ხარჯებს სკოლის გადასახადი ემატება და ამხელა ხარჯს ვერ სწვდებიან. ასე გვეკარგებიან ტალანტები, რომელთა დიდი ნაწილიც გაჭირვებულ ოჯახებსა და არაელიტარულ უბნებში იბადებიან.

ზემოთ ნაძალადევში გაზრდილი ფეხურთელები ვახსენეთ: არც ეს ფაქტი უნდა იყოს უინტერესო - რამდენიმე წლის წინ, უბანში არსებობდა საფეხბურთო სკოლა „ბერი“, რომელიც რეგიონალლიგაშიც გამოდიოდა. რაც უნდა დაუჯერებელად მოგეჩვენოთ, „ბერის“ მატჩებს 600-700 მაყურებელი ესწრებოდა. ეს იმ დროს, როდესაც ამდენი ხალხი უმაღლესი ლიგის კლუბების შეხვედრებსაც არ ღირსებია. ასეთი საფეხბურთო უბნის უგუნდოდ და უსკოლოდ დატოვება დანაშაული იყო.

ახლა ნაძალადევში იმედი გაჩნდა - ებრაული კომპანია, რომელმაც „ნორჩი დინამოელი“ იყიდა და სკოლის რეკონსტრუქცია დაიწყო, „შრომითი რეზერვებითაც“ დაინტერესდა და დიდი ხნის წინ ჩამკვდარი საფეხბურთო სკოლის აღორძინება გადაწყვიტა - ის ამიერიდან „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის ქსელში გაერთიანდება.

ამ პროექტის ინიციატორი, „ნორჩი დინამოელის“ დირექტორი **ოთარ შენგელია** ამბობს, რომ „შრომითი რეზერვები“ ბავშვებს ოქტომბრის დასაწყისიდან მიიღებს.

„თხუთმეტი წელია „შრომითი რეზერვები“ აღარ მუშაობს, მოედანი გაველანდა და მისი მოწესრიგებისთვის საჭირო ფინანსები არ იყო. „ნორჩ დინამოელში“ ინვესტორის გამოჩენის შემდეგ, ნაძალადევის სკოლის ამუშავების იდეაც გაჩნდა და სამუშაოები დაწყებულია. მოედნის ადგილზე მიწა მოსწორებულია და სადრენაჟო სამუშაოები - დასრულებული. სექტემბრის ბოლოს, თურქეთიდან ხელოვნურ საფარს ველოდებით და თუკი ამინდმა ხელი შეგვიწყო, საფარი უკვე 5 ოქტომბრისთვის დაიგება. ეს იქნება სტანდარტული სტადიონი 105/62 მ-ზე, სადაც ვარჯიშს უმაღლესი ლიგის გუნდებიც შეძლებენ. მოედნის გარდა, სტადიონზე კეთდება თანამედროვე გასახდელები და საშხაპეები. ნაძალადევში ხალხი გახარებულია და ბევრმა თადარიგიც დაიჭირა, ჯგუფებში დროულად რომ ჩაეწერონ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ნორჩი დინამოელის“ ფილიალის ამოქმედება უბანში საფეხბურთო ბუმს გამოიწვევს. ამაში იმიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ დიდუბეში, ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა 70 პროცენტი ნაძალადევიდან და თემქიდან დადიოდა. მე ახლა იმაზე უფრო ვფიქრობ, სკოლა ყველა მსურველს როგორ მიიღებს?“, - ამბობს შენგელია.

ანალოგიური პროექტი განხორციელდება თემქის დასახლებაში, საფეხბურთო სკოლა „სიხარულის“ სტადიონზე და ისიც „ნორჩი დინამოელის“ ქსელში გაერთიანდება. ეს ძველი სტადიონია, რომელსაც ასევე აკლდა მოვლა, არადა, სტანდარტულია (105/68) და მისი გამოყენება შესაძლებელი იყო. მალე „სიხარულზეც“ ხელოვნური საფარი დაიგება, აშენდება გასახდელები, საშხაპეები და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, 2000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. თბილისში, სადაც ბოლო დროს სტადიონები შაგრენის ტყავივით შემცირდა, „სიხარულის“ ამუშავება ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს და უმაღლესი ლიგის გუნდებს მიეცემათ თანამედროვე ხალიჩაზე ვარჯიშის საშუალება. სკოლის დირექტორი „სიხარულზე“ უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდის გადასვლასაც არ გამორიცხავს - შედარებით დაბალი არენდა, კარგი საფარი და მცირე ტევადობის სტადიონს ახლა ბევრი ეძებს.

ადრეც ვწერდით, რომ „ნორჩი დინამოელის“ ახალი მეპატრონე მოედნების მოწყობას გლდანის სკოლა-ინტერნატსა და ვარკეთილშიც აპირებს. ამ ორ უბანში, ისევე როგორც ნაძალადევსა და „თემქაზე“, მოედნები ოქტომბრის დასაწყისში ამოქმედდება. „ნორჩი დინამოელის“ ტრადიციული ადგილსამყოფელის, დიდუბის კომპლექსის პროექტი კი მომავალი წლის გაზაფხულზე გამზადდება და თანამედროვე სკოლის ინფრასტრუქტურის მშენებლობაც დაიწყება.

როდესაც ეროვნული ჩემპიონატიც ვერ იმსახურებს დიდ ყურადღებას, შესაძლოა, ბევრს ეს თემა უმნიშვნელოდ მოეჩვენოს. თითქოს, ბავშვთა ფეხბურთი რა საინტერესოა - თუმცა, ამ პრობლემის მოგვარებაზეა დამოკიდებული ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღე, დღევანდელივით ჩავარდნილი იქნება თუ მოახერხებს რესურსების რეალიზაციას. დასახელებული სკოლების ამოქმედება კი ამ კუთხით მნიშვნელოვანია - წინასწარი გათვლით, ამ ოთხი უბნის განახლებული სკოლები 1500-მდე ბავშვს მიიღებს, ამდენი მოსწავლე კი დღემდე მხოლოდ „ნორჩ დინამოელში“ ვარჯიშობდა.

ინტერვიუ

## შეცდომები მხოლოდ ფეხბურთელებს არ დაგვიშვია...

### კლიმიაშვილი ევროპის საუკეთესო ასისტენტებს შორის

ევროპის 2011 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დასრულებულია. მეორე ჯგუფში საქართველომ მესამე ადგილი დაიკავა. თუკი ჩვენი ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ეს ურიგო მაჩვენებელი არ იყო - უკან ჩამოვიტოვეთ ესტონეთის, სომხეთისა და ირლანდიის ნაკრებები. რა თქმა უნდა, ბოლო ტურში სომხეთის ახალგაზრდულთან წაგებამ გული ძალიან დაგვწყვიტა, რადგან ჯგუფში მეორე ადგილზე ვერ გავედით და ორჯერ დამარცხებული თურქეთი წინ გავუშვით. თუმცა ეს საერთო სურათს ვერ შეცვლის - ტურნირის დაწყებამდე მესამე ადგილზე თუ ვიოცნებებდით.

ირაკლი კლიმიაშვილი ახალგაზრდული ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ და მასზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული, როგორ ითამაშებდა გუნდი. სხვათა შორის, ციკლის დასრულების შემდეგ, უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე საინტერესო სტატისტიკა აღმოვაჩინეთ: ნომინაციაში - „ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ დაარღვიეს წესები“, ირაკლი მეოთხე ადგილზე გავიდა. მის წინააღმდეგ 27-ჯერ დაჯარიმდნენ, მეხუთეზე კი თორნიკე ოქრიაშვილია, რომელიც აკრძალული ილეთით 26-ჯერ გააჩერეს. ეს სტატისტიკა საინტერესო იმითაა, რომ აშკარადა ჩანს, ჩვენს მოწინააღმდეგეს თამაში რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ უჭირდა. ირაკლი ათივე ჯგუფის საუკეთესო ასისტენტებს შორის მეექვსე ადგილზე გავიდა - მან ციკლში 3 საგოლე გადაცემა შეასრულა.

აქვე ვიტყვით, რომ ყვითელბარათიანთა ლიდერებში ჩვენი გიორგი ხიდეშელიც დასახელდა - „ზესტაფონის“ ცენტრალურ მცველს მე-13 ადგილი მხოლოდ იმის გამო მიაკუთვნეს, რომ სხვებზე მეტი ითამაშა და ბარათების მიღების პროცენტული მაჩვენებელი სხვა თორმეტ მოთამაშეზე დაბალი აღმოაჩნდა, თორემ ყველაზე მეტი (4) ყვითელი ბარათი დააგროვა.

ირაკლის „სიონი“-„ვიტ ჯორჯიას“ მატჩის შემდეგ დაველაპარაკეთ.



მარცხნიდან: ირაკლი კლიმიაშვილი, ოთარ გაბელია ,ზაურ სვანაძე

**- ირაკლი, სანაკრებო მატჩების, სომხებთან განცდილი ტკივილისა და ნერვიულობის შემდეგ, ეროვნულ პირველობაზე გადართვა არ გაგჭირვებიათ?**

- არა, რატომ? ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ერთ წაგებას თუ გადავყევით, ვერასდროს ვითამაშებთ. იმიტომაც არის საინტერესო და კარგი სახეობა, რომ მოულოდნელობებითაა სავსე, იმედგაცრუებაც ახლავს და სიხარულიც. სხვათა შორის, „სიონთან“ მატჩიც იმდენად საინტერესო გამოდგა, ვერ ვიტყვი, რომ ეროვნულში გამოსვლა არ მსიამოვნებს.

**- მატჩიდან რამდენიმე დღე გავიდა, ემოციები ნელ-ნელა ცხრება და გვითხარით, რა მოგივიდათ, საქართველოზე სუსტ ნაკრებთან რომ წააგეთ?**

- საწყენად არავინ მიიღოს, მაგრამ მაშინ შეცდომები მხოლოდ ფეხბურთელებს არ დაგვიშვია. ტრაპიდან ჩამოსულები არ ვიყავით, როცა აეროპორტში შანსებზე გველაპარაკნენ, ევროპაზე მაინც ვერ გადიხართო.

**- ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი რომ მცირე გქონდათ, ეს უბრალოდ ფაქტი იყო. რეალური სურათი უნდა გცოდნოდათ, რა იყო დასამალი?!**

- გეთანხმებით, მაგრამ ეტყობა ჩვენ ისეთი ემოციური განწყობა გვქონდა, ნეგატიური ცნობის მიღება გაგვიჭირდა... თურქეთში მოგების შემდეგ, გახარებული და ბედნიერები ვიყავით, რადგან ვიცოდით, რომ სომხებთან მოგების შემთხვევაში, უეჭველად გავდიოდით. რატომღაც, მეტ თანადგომასაც ველოდით. რომ გვითხრეს, შანსები არ გაქვთო, ამან ჩვენზე ფსიქოლოგიურად ძალიან უარყოფითად იმოქმედა. არადა, მოგების შემდეგ თურქეთში სიხარულისგან ვტიროდით. მარტო ეს არ იყო წაგების მიზეზი. ეტყობა, საქარიადან დაბრუნებულები დავფრინავდით და დაბლა დროულად ვერ დავეშვით, ძალების აღდგენაც ვერ მოვახერხე, მატჩებს შორის ძალიან მცირე პაუზა იყო. მთავარი მწვრთნელი გაბელია სულ გვიმეორებდა, საჭიროა კონცენტრაცია, თურქეთში მოგება არაფერს ნიშნავს, მთავარი მოსაგები თბილისში გვაქვსო, მაგრამ ბოლომდე კონცენტრაცია მაინც ვერ მოვახერხეთ.

**- ახალგაზრდულის შეტევები მოედნიდან თქვენი გასვლის შემდეგ შესუსტდა - რა დაგემართათ ასეთი?**

- ფეხებში იმდენი მირტყეს, სულ დასივებული მქონდა და თან ამას აშკარად მიზანმიმართულად აკეთებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მწყობრიდან ჩემს გამოყვანას ცდილობდნენ, უნდოდათ, წითელი ბარათი მიმეღო. ერთი „ყვითელი“ ხომ ისედაც გამომტყუეს. თანაც, აშკარად ჩანდა, რომ მსაჯი ხშირად სტუმრების სასარგებლოდ სტვენდა.

**- მსაჯი მართლაც ტენდენციური იყო.**

- არ მახსენდება შემთხვევა, მასპინძლის წინააღმდეგ ასეთი მსაჯობა ყოფილიყო. საერთოდ, ფეხბურთელს ამ თემაზე ლაპარაკი ეკრძალება, მაგრამ მსაჯის არაობიექტურობა ჩვეულებრივი გულშემატკივრისთვისაც ცხადი იყო და ხელი რატომ დავაფარო? მარტო მე კი არა, ნახევარდაცვაში ყველა დაგვჩეხეს, ბიჭებს ფეხები აღარ უვარგოდათ. პირველ ტაიმში ერთი და იგივე მცველი შვიდჯერ ისე მეუხეშა, თავი ვერ შევიკავე და... „ყვითელი“ მაჩვენა, სტუმართა უხეშობაზე კი თვალებს ხუჭავდა. ყაზახეთს კი წარმოადგენდა, მაგრამ ეროვნებით რუსი იყო... თამაშის საშუალებას არ გვაძლევდა, ვთხოვდით, გვაბრძოლეო, რადგან სომხებს ოდნავაც რომ ვეხებოდით, გვაჯარიმებდა. არა მგონია, ძნელად გასაგები იყოს, რა მიზანი ჰქონდა.

**- მატჩის შემდეგ იჩხუბეთ, მაგრამ უცნობია, კონფლიქტი რამ გამოიწვია.**

- თამაში დასრულდა თუ არა, ჩვენიანს ერთ-ერთმა სომეხმა ფეხბურთელმა შეაგინა, ხომ მოგიგეთ თქვენიო და ატყდა ერთი ამბავი. წავაგეთ, ნერვები დაწყვეტაზე გვქონდა და ისინი ჩვენი მწყობრიდან გამოყვანას მაინც ცდილობდნენ და ველარ მოვითმინეთ. ზოგადად, ფეხბურთში ჩხუბი არასასურველია, მაგრამ წაგებულს სახლში რომ აგინებ და თანაც უდიდესი მნიშვნელობის შეხვედრის შემდეგ, აბა, რას ელოდები?

**- მატჩის შემდეგ როგორ განწყობაზე ხარ?**

- ორი დღე ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ გუნდში დაბრუნებულმა ბიჭებმა მაგრად გამამხნევეს და ნელ-ნელა სტრესიდან გამოვდივარ.

**- კარგია, რომ ციკლი მშვენიერი სტატისტიკით დაასრულე და მეორე ჯგუფის საუკეთესო ასისტენტი გახდით.**

- საუკეთესო ასისტენტი გავხდი? სიმართლე გითხრა, არც ვიცოდი. ამისთვის ჯერ ყურადღება არც მიმიქცევია. როგორც ნახევარმცველი, ვალდებული ვარ, შემტევები პასებით მოვამარაგო და გოლებიც გავიტანო. ეს სატრაბახოც არაა, ჩემი მოვალეობაა... სხვათა შორის, ისეთი კარგი გუნდი გვყავდა, თავის მოვალეობას ყველა ასრულებდა. გული დამწყდა, 1988-წლიანების თაობა ამ შემადგენლობით რომ ველარ ვითამაშებთ. ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით და ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ამის გამო კიდევ უფრო მეტად გვინდოდა, იქნებ, გუნდი ერთი წლით მაინც შეგვენარჩუნებინა და ერთმანეთი არ დაგვეკარგა. ერთი ოჯახივით ვიყავით, ფეხბურთელები, მწვრთნელები, მასაჟისტით დაწყებული ყველა. 18 კაცშიც რომ ვერ ხვდებოდა, ისინიც ჩვენნაირად განიცდიდნენ მოგებასა და წაგებას. მოკლედ, კარგი გუნდი იყო და ჯგუფში მესამე ადგილი ამიტომაც დავიკავეთ.

**- სატრანსფერო სეზონი დაიხურა, შენ კი დღემდე „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობ და რადგან თავისუფალი აგენტი არ ხარ, გამოდის, კლუბში წლის ბოლომდე მაინც რჩებით.**

- დიახ, სეზონის ბოლომდე დავრჩები, მერე კი არ ვიცი, რა იქნება. „ვიტ ჯორჯიამ“ ყველაფერი მომცა, კლუბში დიდი სიამოვნებით ვთამაშობ და სანამ აქ ვიქნები, მოედანზე სულ ამ განწყობით გავალ.

გვერდი მოამზადა

**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# მრავალხელისუფლებიანობა

**ქართული „ბოქსინგ დეი“ დაიწყო: 10 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით გუნდებმა ექვს-ექვსი ტური უნდა ჩაატარონ; ანუ, ფაქტობრივად, ფეხბურთელებმა ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა უნდა მიიღონ და მერე, სანაკრებო პაუზაც სულზე მიუსწრებთ. თუმცა შესვენება-დასვენებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და მანამდე, სჯობს, განვლილ ტურზე ვისაუბროთ; მით უფრო, რომ ოთხი ტურის მერე ცხრილში... ოთხხელისუფლებიანობაა!**

...სხვათა შორის, „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულმა სატურნირო ცხრილმა გულშემატკივართა შორის აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია. ეგ კი არა, ზოგიერთი კლუბის წარმომადგენელი ტელეფონით დაგვიკავშირდა, „შეცდომებზე მიგვითითა“ და დებულების თანახმად შეადგინეთ ცხრილიო, - გვირჩია! რებუსებით რომ არ ვილაპარაკოთ, საუბარი „ოლიმპს“ ეხება: რუსთაველი კლუბის გულშემატკივართა აზრით, ცხრილის სათავეში სწორედ მათი გუნდი უნდა იმყოფებოდეს და არა - თბილისის „დინამო“. არადა, დებულება ჩვენც კარგად ვიცით და ცხრილის შედგენისას სწორედ ამ ოფიციალური „სახელმძღვანელოთი“ ვსარგებლობთ. **თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით: ა) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა; ბ) უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და ბურთების უკეთესი სხვაობა); გ) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა; დ) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა** და ასე შემდეგ.

ახლა კი დღევანდელ სიტუაციაზე ვიმსჯელოთ: „დინამომ“, „ოლიმპმა“, „ვიტ ჯორჯიამ“ და „ბაიამ“ 7-7 ქულა დააგროვეს, თანაც, ოთხივე გუნდს მოგებათა რაოდენობაც ერთნაირი აქვს. ანუ, დებულების თანახმად, ურთიერთშეხვედრებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა; მაგრამ, საქმე ის არის, რომ ამ ოთხი გუნდიდან ზოგს ერთმანეთში არ უთამაშია („დინამო“-„ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“-„ბაია“, „ოლიმპი“-„ვიტ ჯორჯია“); ეს კი იმას ნიშნავს, რომ დებულების ეს პუნქტი ამ შემთხვევაში ვერ ამოქმედდება და უპირატესობაც იმ გუნდს უნდა მიენიჭოს, უკეთესი ბურთების სხვაობა ვისაც ექნება. „დინამოსა“ და „ოლიმპს“ ამ შემთხვევაშიც ერთნაირი მაჩვენებელი აქვს (+2), სამაგიეროდ, „დინამომ“ უფრო მეტი გოლი გაიტანა და ამიტომაც „დავაყენეთ“ ცხრილის სათავეში.

მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ ურთიერთშეხვედრებში „ოლიმპს“ უპირატესობა კი აქვს „დინამოსთან“, მაგრამ **თემურ მახარაძის** გუნდი კონკურენტზე მაღლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მხოლოდ ორ გუნდს ექნებოდა ერთნაირი მაჩვენებელი. იმედია, შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილეთ გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობა და აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ყოველივე ზემოთთქმული საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის საშეჯიბრო განყოფილების უფროს **ნოდარ კაკულიასთანაც** გადავამოწმეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, პასუხად იგივე მივიღეთ, - ანუ, „ლელოს“ გუშინდელ და დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ცხრილი... სწორია!

## მოულოდნელი დასაწყისი

ტური პარასკევს, „იმერული დერბით“ დაიწყო და, ბევრის აზრით, მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა. ყოველ შემთხვევაში, ქუთაისის „ტორპედოს“ მორიგ წარუმატებლობას... ჩვენც არ ველოდით! უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ახალ მწვრთნელს (**რამაზ მუმლაძე**) და ახალ ფეხბურთელებს („ტორპედოში“ უმრავლესობას რომ წარმოადგენენ) ახალ გარემოსთან და საერთოდ, ერთმანეთთან „შესაგუებლად“ გარკვეული დრო დასჭირდებოდათ.

თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო მოვლენების მსგავსი განვითარება: 4 ტურის შემდეგ „ტორპედო“ ცხრილში უკანასკნელ ადგილზეა! წინა მატჩთან შედარებით რამაზ მუმლაძემ ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოახდინა, გუნდის ახალწვეული **ვახტანგ კვარაცხელია** პირველი წუთებიდან გამოჩნდა, მაგრამ „ტორპედომ“ ვერც ამჯერად შეძლო გამარჯვების მოპოვება. ეგ კი არა, სულაც დამარცხდა და ოთხი ტურის შემდეგ ერთადერთ მოუგებელ გუნდად რჩება.

სხვათა შორის, ეს ჩვენთვის იყო „სამტრედიის“ გამარჯვება მოულოდნელი, თორემ... უცხოელი ბუქმეიქერები სხვაგვარად ფიქრობდნენ: ევროპული ტოტალიზატორები ამ წყვილის ფავორიტად მასპინძლებს მიიჩნევდნენ! ისე, „სამტრედიის“ მთავარმა მწვრთნელმა **გელა სანაიამაც** გარკვეული ცვლილებები მოახდინა თავისი გუნდის ძირითადში (განსაკუთრებით - უკანა ხაზში). საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ჩემპიონატში ორად-ორი მოუგებელი გუნდის პაექრობაში გამარჯვება „სამტრედიას“ დარჩა; ეს წარმატება კი გუნდის სამწვრთნელო შტაბთან ერთად ამ შეხვედრაში მონაწილე ყველა ფეხბურთელის დამსახურება იყო: დაწყებული, საიმედოდ მოასპარეზე ახალგაზრდა მეკარის **ლაშა ძაგანიათი** და გამოცდილ ფორვარდ (ერთადერთი გოლის ავტორის) **მიხეილ კაკალაძით** დამთავრებული.

„სამტრედიის“ ეს წარმატება იმითაც ფასეული იყო, რომ გუნდს საკმაოდ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ფინანსურად შეჭირვებული, მაგრამ არნახულად მოტივირებული გუნდი თავისზე ბევრად შეძლებულ მეტოქეს რომ ამარცხებს. ამას გარდა, კიდევ ერთ დადებით მომენტსაც გვინდა



გიორგი მეგრელაძე

შევეხოთ: „სამტრედიას“ საქომაგოდ 2000 ქომაგი შეიკრიბა! ნეტავ, სხვა გუნდებსაც (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში) ჰყავდეს ასეთი აუდიტორია, თორემ, როცა 500-მდე გულშემატკივარს ვხედავთ... „დინამოსა“ თუ „ოლიმპის“ საშინაო მატჩებზე, უკვე ეს გვიხარია...

## ძველ-ახალი მეტოქეები

ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ხუთწლიანი პაუზის მერე ფოთში დაბრუნდა. ოღონდ, მასპინძლებისთვის „დინამოს“ სტუმრობა სასიამოვნოდ მოსაგონარი ნამდვილად ვერ იქნება: ამ ტურამდე „კოლხეთი“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი იყო და საკუთარ კარში გოლიც არ ჰქონდა გაშვებული. აი, IV ტურის შემდეგ კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და „დინამოს“ ამ საგარეო გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. სტუმართა თავკაცმა **კახა კაჭარავამ** მეორე ტაიმში გუნდის ორი ახალწვეული გამოიყვანა: **ირაკლი ლილუაშვილი** და **დავით მუჯირი**. ამ უკანასკნელმა სულაც გოლი გაიტანა - ეროვნულ ჩემპიონატში 12-წლიანი პაუზის შემდეგ!

შეგახსენებთ, რომ დავით მუჯირმა თბილისის „დინამო“ 1998 წლის გვიან შემოდგომაზე დატოვა (მერე, გარკვეული პერიოდი თბილისის „ლოკომოტივში“ ასპარეზობდა) და უკანასკნელად წყალტუბოს „სამგურალთან“ რომ ითამაშა, მეტოქე გუნდის ღირსებას **მიხეილ მახვილაძე** იცავდა, დღესდღეობით „კოლხეთის“ მცველი; მუჯირისა და მახვილაძის გარდა იმ მატჩის მონაწილე ფეხბურთელთაგან ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობას **გივი დიდავაც** აგრძელებს; ოღონდ ეს უნივერსალი მცველი ამჯერად ბოლნისის „სიონის“ ღირსებას იცავს.

„სიონმა“ ვერც ამ ჯერზე შეძლო ნავსის გატეხა - ბოლნისელები უკვე 3 წელიწადია საშინაო მატჩებში „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებას ვერ ახერხებენ. თუმცა ამ მატჩის თვითმხილველთა თქმით, ნულოვანი ფრით დამთავრებულ შეხვედრას უინტერესო ნამდვილად არ ეთქმოდა. თანაც, პირველ ტაიმში უპირატესობას თუ სტუმრები ფლობდნენ და მომენტებიც შექმნეს, შეხვედრის მეორე ნახევარში მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. თუმცა, „სიონმა“ ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი უგოლოდ დაამთავრა: საკუთარ კარში გოლს არც უშვებს და ვერც მეტოქის კარში გააქვს...

## ამბიცია და რეალობა

II ტურში ზუგდიდის „ბაიამ“ საშინაო მატჩში ქუთაისის „ტორპედოს“ მოუგო, შემდეგ „დინამოს“ უმასპინძლა და ფრედ ითამაშა, ახლა კი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდ „ზესტაფონთან“ გაიმარჯვა! ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს „ბაიას“ ამბიციებს, თანაც ასეთი სოლიდური შემადგენლობის მქონე გუნდისგან სხვანაირი სტარტი წარუმატებლობადაც უნდა შეგვეფასებინა.

თუმცა „ბაიაში“ ხომ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ჩინებული სინთეზია და ზუგდიდურმა გუნდმა ეს ტემპი თუ შეინარჩუნა, ევროტურნირების ერთ-ერთი საგზურის მოპოვებაზეც სამართლიანი პრეტენზია ექნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გოლების გატანა დაიწყო „ბაიას“ ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ახალწვეულმა **გიორგი მეგრელაძემ** - გამოცდილმა ფორვარდმა ამჯერად „დუბლი“ შეასრულა და ჩემპიონატის ლიდერების არ იყოს, ბომბარდირთა დავაშიც... სამხელისუფლებიანობაა.

ანუ, ოთხი ტურის შემდეგ ერთდროულად 3 ფეხბურთელია, ყველაზე მეტი, 3-3 გოლი რომ აქვთ გატანილი: ვახტანგ კვარაცხელია, გიორგი მეგრელაძე და **რატი წინამძღვრიშვილი**. ამ უკანასკნელზეც გვინდა რამდენიმე სიტყვის თქმა: 22 წლის ფორვარდი უმძიმესი ტრავმების შემდეგ ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება და ჩემპიონატში გოლების გატანაც ამას მოწმობს.

დაბოლოს, ჩემპიონის დამაჯერებელ გამარჯვებაზეც: „ოლიმპმა“ მართლაც უპრობლემოდ შეძლო „დაგეგმილი“ 3 ქულის მოპოვება და „დინამოს“ მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება. გუშინაც აღვნიშნეთ და დღესაც უნდა გავიმეოროთ ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი: პირველად ამ სეზონში „ოლიმპის“ განაცხადში 18 ფეხბურთელი იყო! თანაც, ერთი ახალწვეული ძირითადში ვიხილეთ (**გიორგი ქავთარაძე**), ერთი შეცვლაზე შემოვიდა (17 წლის **დავით ხოჭოლავა**), ერთიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა (**რომან ახალკაცი**).

**გია ტუხაშვილი**

## V ტურის სიმბოლური ნაკრები




| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჰ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 3 | 7 |
| 2 | ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 2 | 7 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 5 | 7 |
| 4 | ბაია | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 3 | 7 |
| 5 | ზესტაფონი | 4 | 2 | 0 | 2 | 7 | 4 | 6 |
| 6 | კოლხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 3 | 5 |
| 7 | სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 5 |
| 8 | სამტრედია | 4 | 1 | 1 | 2 | 5 | 7 | 4 |
| 9 | სპარტაკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5 | 8 | 4 |
| 10 | ტორპედო | 4 | 0 | 2 | 2 | 1 | 3 | 2 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მეგრელაძე (ბაია) | 3 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 3 |
| კვარაცხელია (ტორპედო) | 3 |

| მომდევნო (I გამოტოვებული) ტური | | |
|---|---|---|
| 15 სექტემბერი, ოთხშაბათი | | |
| დინამო-სპარტაკი | | |
| ზესტაფონი-ტორპედო | | |
| ბაია-სიონი | | |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | | |
| კოლხეთი (ფ)-სამტრედია | | |

### პირველი ლიგა

| | | |
|---|---|---|
| ადელი-ჩხერიმელა | 1 | 1 |
| სამგურალი-მერცხალი | 3 | 2 |
| კოლხეთი (ხ)-გორი | 0 | 0 |
| გაგრა-სქური | 3 | 1 |
| მეშახტე-ჩიხურა | 2 | 0 |
| მარტვილი-ნ/დინამოელი | 1 | 2 |
| გურია-ჭიათურა | 3 | 1 |
| იმერეთი-ბათუმი | დღეს | |
| ლოკომოტივი ისვენებს | | |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჰ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეშახტე | 3 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 9 |
| 2 | გაგრა | 3 | 2 | 1 | 0 | 7 | 4 | 7 |
| 3 | გორი | 3 | 2 | 1 | 0 | 4 | 2 | 7 |
| 4 | მერანი | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | 2 | 6 |
| 5 | სამგურალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6 | 5 | 6 |
| 6 | გურია | 3 | 2 | 0 | 1 | 8 | 8 | 6 |
| 7 | მერცხალი | 3 | 1 | 1 | 1 | 5 | 5 | 4 |
| 8 | ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 4 | 4 |
| 9 | ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 5 | 2 | 3 |
| 10 | ნ/დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | 6 | 3 |
| 11 | ჩხერიმელა | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 |
| 12 | ლოკომოტ. | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 |
| 13 | კოლხეთი (ხ) | 3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| 14 | ადელი | 3 | 0 | 1 | 2 | 3 | 5 | 1 |
| 15 | სქური | 3 | 0 | 1 | 2 | 2 | 5 | 1 |
| 16 | იმერეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2 | 4 | 0 |
| 17 | ჭიათურა | 3 | 0 | 0 | 3 | 2 | 9 | 0 |

### დუბლიორები

**ოლიმპი-სპარტაკი 1:1**

0:1 მ. ჯიშკარიანი (75), 1:1 ვ. ყაზაიშვილი (81)

გაფრთხილება: ი. ბუზალაძე (სპარტაკი), ნ. ლომიძე (ოლიმპი), გ. სეფიაშვილი (სპარტაკი)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**კოლხეთი-დინამო 1:5**

0:1 გ. იჩქითი (6), 0:2 ზვ. ქანთარია (10), 0:3 ზვ. ქანთარია (22), 0:4 ზვ. ქანთარია (30), 1:4 ლ. გულუა (45), 1:5 ჯ. გილაური (90+1)

გაფრთხილება: ლ. გულუა (კოლხეთი), პ. ცხვიტარია (კოლხეთი).

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ბაია-ზესტაფონი 3:2**

0:1 ბ. შარვაძე (22), 0:2 გ. ჭანკვეტაძე (40), 1:2 მ. ჩანგელია (55), 2:2 მ. ჩანგელია (58), 3:2 ლ. კუკავა (65)

გაფრთხილება: მ. ჩანგელია (ბაია), ნ. აფაქიძე (ბაია), ი. კანდელაკი (ბაია), მ. სარდანიშვილი (ზესტაფონი), რ. გეწაძე (ზესტაფონი).

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**სიონი-ვიტ ჯორჯია 2:2**

1:0 ვ. ისიანი (26), 1:1 დ. ვაშაკიძე (35), 2:1 გ. გაბრიჭიძე (74), 2:2 მ. ლომსაძე (79)

გაფრთხილება: ლ. უგულავა (სიონი), არღვლიანი (სიონი), ლ. ჩხეტიანი (სიონი) ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია), გ. გაბრიჭიძე (სიონი)

გაძევება: ლ. უგულავა (სიონი)

არბიტრი: შ. ქუხილავა

**სამტრედია-ტორპედო 2:0**

*ოქმის გარეშე, რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო*

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჰ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 9 | 5 | 7 |
| 2. | ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 5 | 7 |
| 3. | ბაია | 4 | 2 | 1 | 1 | 8 | 8 | 7 |
| 4. | დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 10 | 7 | 6 |
| 5. | სამტრედია | 4 | 2 | 0 | 2 | 6 | 8 | 6 |
| 6. | სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 7 | 5 | 5 |
| 7. | სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 8 | 8 | 5 |
| 8. | ოლიმპი | 4 | 1 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 9. | ზესტაფონი | 4 | 1 | 1 | 2 | 10 | 12 | 4 |
| 10. | კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | 11 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდის იუბილე

# ლევან ნოდია
# სლავა მეტრეველს მხოლოდ გარინჩას შევადარებდი

ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი სლავა მეტრეველი გუშინწინ, 12 სექტემბერს 75 წლისა გახდებოდა. კორიფეს იუბილე მის მშობლიურ ქალაქ სოჭში დიდი ზარზეიმით აღნიშნეს. იუბილის ფარგლებში, სოჭში სლავა მეტრეველის ხსოვნის რიგით მე-12 ტურნირი გაიხსნა, რომელშიც ადგილობრივის გარდა, სარატოვის, ვოლგისპირეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და უკრაინის გუნდები მონაწილეობენ. სამწუხაროდ, 5 წლის წინანდელისგან განსხვავებით, სოჭში ამჯერად ვერ მოხერხდა ქართველი ვეტერანი ფეხბურთელების ჩასვლა. არა და, 2005 წელს ქართველი ვეტერანები სლავა მეტრეველის 70 წლის იუბილეს სოჭში დაესწრნენ. ეს იუბილე მაშინაც დიდი ზარზეიმით აღინიშნა. ლეგენდარული მეტრეველის შესახებ „ლელო“ ერთ-ერთ გამორჩეულ ვეტერან ფეხბურთელ ლევან ნოდიას გაესაუბრა. ინტერვიუმდე ჩვენი გაზეთის ახალგაზრდა მკითხველს განვუმარტავთ, თუ ვინ იყო სლავა მეტრეველი.

ოფიციალური მონაცემებით („ვიკიპედია“) სლავა მეტრეველი 1936 წლის 30 მარტს დაიბადა, რეალურად კი ლეგენდა 1935 წლის 12 სექტემბერს მოევლინა ქვეყნიერებას. 1953-54 წლებში მეტრეველმა კარიერა სოჭის „სპარტაკში“ დაიწყო. 1955 წელს გორკის „ტორპედოში“ გამოდიოდა. დიდმა ფორვარდმა, უფრო სწორად კი მარჯვენა გარემარბმა, 1955-62 წლებში მოსკოვის „ტორპედოს“ შემადგენლობაში 138 მატჩში 31 გოლი გაიტანა. თბილისის „დინამოში“ ასპარეზობისას 1963-71 წლებში 237 მატჩში 52 გოლი გაიტანა. 1958 წლიდან, 12 წლის განმავლობაში, მეტრეველი საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა და 48 შეხვედრაში 11 გოლის ავტორი გახდა. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, მეტრეველმა მწვრთნელობა დაიწყო. 1976-77 წლებში თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ ნოდარ ახალკაცის ასისტენტი იყო, ხოლო 1978-79 წლებში გორის „დილას“ წვრთნიდა. მას არაერთი ტიტული ეკუთვნის, თბილისის „დინამოსთან“ ერტად ორჯერ, 1960 და 1964 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 1960 წელს ქვეყნის თასი მოიგო. ამავე წელს მოიპოვა ევროპის თასი 4 წლის შემდეგ კი ევროპის პირველობაზე ვიცე-ჩემპიონი გახდა. 1962 და 1966 წლებში ასპარეზობდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1968 წელს კი ფიფას ნაკრებში ითამაშა ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. 1966 წელს ინგლისში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატში საბჭოური ნაკრების მეოთხე ადგილზე გასვლაში მეტრეველმა თავისი წვლილი შეიტანა. 1964 წელს სლავა მეტრეველი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. 9-ჯერ დასახელდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის (8-ჯერ პირველ ნომრად). 1996 წელს ღირსების ორდენი მიანიჭეს. 1998 წლის 7 იანვარს თბილისში გარდაიცვალა.



**- ბატონო ლევან, ორიოდე დღის წინ, სოჭში ლეგენდარული სლავა მეტრეველის იუბილე აღინიშნა. ამჯერად ქართველების გარეშე...**

- სლავა მეტრეველი უდიდესი ვარსკვლავი, გენიალური ფეხბურთელი გახლდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის მსოფლიოს დონის ვარსკვლავი იყო. ამიტომაც მიიწვიეს მსოფლიოს ნაკრებში. მისი ჩაგდებული თამაში არ მახსოვს. 18 წლის განმავლობაში შეუცვლელი იყო ნებისმიერ გუნდში. მის შესახებ შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო... ძალიან დამწყდა გული, რომ კვირას, 12 სექტემბერს დიდი სლავას იუბილე სოჭში ქართული დელეგაციის გარეშე ჩატარდა. ბევრს გვინდოდა ამ იუბილეზე დასწრება, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა. 5 წლის წინ, სლავას იუბილე დიდი ზარზეიმით აღინიშნა სოჭში და მაშინ სხვა ფეხბურთელებთან ერთად იქ მეც გახლდით. ჩვენმა სახელოვანმა სკულპტორმა ზურაბ წერეთელმა დიდ სლავას ბიუსტი უსახსოვრა, რომელიც სოჭში სტადიონის შესასვლელთან დგას. აღსანიშნავია ისიც, რომ სოჭის ცენტრალური სტადიონი სლავა მეტრეველის სახელობის გახლავთ. არენისთვის სლავას სახელის დარქმევა იოლი არ ყოფილა. დიდი წინააღმდეგობა იყო, მაგრამ სოჭში მცხოვრებმა ჩვენმა ვეტერანმა ფეხბურთელმა გიორგი სიჭინავამ თავისი გაიტანა და სტადიონს სლავას სახელი დაერქვა... სლავა მეტრეველი სოჭში კვლავაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. 5 წლის წინ, როცა ბიუსტი დაიდგა, იმავე სალამოს ვნახე, როგორ მიდიოდა ხალხი ბიუსტთან და სამახსოვრო ფოტოებს იღებდა. სლავამ მთელი თავისი ცხოვრება ფეხბურთს, სპორტს მიუძღვნა.

**- სლავა მეტრეველის მხარდამხარ თქვენც თამაშობდით. ბევრი გექნებათ გასახსენებელი...**

- დიახ, 4-5 წლის განმავლობაში ერთად ვთამაშობდით. სლავა მარჯვენა ფრთიდან, მე კი მარცხნიდან ვუტევდი მოწინააღმდეგეს. იმდენად დიდი პიროვნება იყო, რომ თამაშის მსვლელობისას ვინმე შეცდომას თუ დაუშვებდა, გაამხნევებდა. ჩინებული პიროვნება იყო - თბილი, მოსიყვარული, ხალხთან ურთიერთობის საოცარი ნიჭით გამოირჩეოდა... სწრაფი, ტექნიკური, შემტევი, მებრძოლი, მიზანსწრაფული... ამ და სხვა თვისებებით შეგვიძლია გამოვარჩიოთ დიდი სლავა. ერთ შემთხვევას გავიხსენებდი - ის ცნობილ ილუზიონისტ იგორ კიოსთან მეგობრობდა. ავტომობილი „ვოლგა“ ჰყავდა, ერთხელ ბაზაზე მოვიდა, გახსნა მანქანის კარი და იქიდან საფეხბურთო ფორმაში გამოწყობილი 11 ლილიპუტი გამოუშვა, ნახეთ რა ფეხბურთელები მოვიყვანეო, გვითხრა. ლილიპუტები ცირკიდან წამოეყვანა და ბაზაზე მართლაც ავარჯიშა.

**- მეტრეველის შემდეგ, მის პოზიციაზე ვლადიმერ გუცაევი თამაშობდა...**

- დიახ, სლავას კიდევ შეეძლო თამაში, მაგრამ როცა დაინახა, რომ გუცაევის სახით ჩინებული ფეხბურთელი მოდიოდა, გზა დაუთმო. უფრო მეტიც, თავისი 9-ნომრიანი მაისურა სწორედ გუცაევს გადასცა და გზა დაულოცა. ფეხბურთში ასეა - თაობებს წინა თაობები ზრდიან. ვფიქრობ, ლეგენდარული სლავა რომ არ გვყოლოდა, მისი მომდევნო თაობების გამორჩეული ფეხბურთელებიც არ გვეყოლებოდნენ. მინდა, ჩვენმა ახალგაზრდებმა იცოდნენ, თუ რაოდენ დიდი ფეხბურთელი იყო სლავა მეტრეველი. მისი ეპოქის შემდეგ წლები გავიდა, ფეხბურთი შეიცვალა... თანამედროვე ფეხბურთს რომ ვუყურებ, სლავას გვერდით ვერცერთ ვარსკვლავს ვერ დავაყენებდი. მეტრეველს მხოლოდ ლეგენდარულ გარინჩას შევადარებდი. ასეთი დიდი ფეხბურთელი იყო სლავა მეტრეველი...

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ინტერი მესამეა

აზერბაიჯანში ხუთი ტური მიილია, ჩემპიონატს ერთპიროვნულად (13 ქულა) „ხაზარ ლენქორანი“ ლიდერობს. ბოლო ტურში **დავით იმედაშვილის** გუნდმა ქართველის გარეშე დაამარცხა მოიკ-ი, აზერბაიჯანული არმიის კლუბი. სტუმართა კარს **ამირან გვენცაძე** იცავდა.

**კახა ცხადაძის** „ინტერი“ 10 ქულით მე-3 ადგილზეა, თუმცა ამდენივე ქულა აქვს მეორეადგილოსან „ნეფთჩის“და მეოთხეადგილოსან აზალ-ს. აზერბაიჯანის ყველაზე ქართულმა გუნდმა ტურის ცენტრალურ მატჩში 1:0 მოუგო „ყარაბახს“. ცხადაძეს სამი ქულა **ოლექსანდრ ჩერტანოგოვმა** მოუტანა მე-12 წუთზე გატანილი ბურთით. შეგახსენებთ, რომ ცხადაძე დისკვალიფიცირებულია და ამ თამაშში ბაქოს „ინტერს“ **გიორგი ჩიხრაძე** გაუძღვა. მასპინძელთა სასტარტოში **ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე** და **დავით ოდიკაძე** (73-ე წუთზე შეცვალეს) იყვნენ. სხვა ქართველებს „ინტერში“ არ უთამაშიათ. დამარცხებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ადამიამ**. „ყარაბახს“ სულ რაღაც 4 ქულა აქვს, თუმცა ევროთასების გამო გუნდს სამ მატჩზე მეტი არ უთამაშია.




აზალ-მა „სიმურგს“ 2:1 მოუგო. გამარჯვებულთა რიგებში მე-2 ტაიმი ითამაშა **ნუგზარ კვირტიამ**. „სიმურგში„ **ბაჩანა ცხადაძე** არ გამოჩენილა. **გიორგი სეთურიძის, ზურაბ ძამსაშვილის** და **ლევან მდივნიშვილის** „განჯა“ სტუმრად 1:1 დაუზავდა „ბაქის“. პირველმა ორმა შეუცვლელად ითამაშა, მდივნიშვილი 83-ე წუთზე შევიდა მოედანზე. „განჯას“ 4 ქულა აქვს.

„თურანის“ კონსულტანტი **რევაზ ძოძუაშვილია**. მე-5 ტურში ეს გუნდი შინ ტონი ადამსის „გაბალასთან“ 0:1 დამარცხდა. დამარცხებულთა რიგებში ითამაშეს **შალვა ფირცხალავამ, გიორგი მოდებაძემ** და **გიორგი ჭედიამ**. „გაბალაში“ კვლავ არ გამოჩენილა **გოგა ბერაია**. „თურანი“ 2 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, „სიმურგსაც“ ამდენივე ქულა აქვს და ბოლოა. „ნეფთჩისა“ და „მუღანის“ მატჩი დღეს გაიმართება.

## გოლი და ორი საგოლე პასი საოცარ მატჩში

მეორე ბუნდესლიგაში „კოტბუსმა“ და „კარლსრუემ“ უჩვეულო მატჩი გამართეს, გუნდებმა 10 გოლი გაიტანეს, 5:5 ითამაშეს და ქულები გაიყვეს. მოგეხსენებათ, **ალექსანდრე იაშვილი** „კარლსრუეს“ კაპიტანია, მისი გუნდი 0:2 აგებდა, თუმცა 30-ე წუთისთვის გაათანაბრა. მალე იაშვილის პასით **ფინკმა** სტუმრები დააწინაურა, შემდეგ თავად ქართველმა ფორვარდმა გაიტანა (39-ე წთ). მე-2 ტაიმის მე-10 წუთზე იაშვილის პასით **შტაფელდტმა** სულაც 5:2 გახადა „კარლსრუეს“ სასარგებლოდ! მაგრამ ქართველის გუნდმა ამხელა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და როცა კაპიტანმა 77-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, უკვე 5:5 იყო. „შპორტალმა“ იაშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა და 1,5 ბალი დაუწერა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ახალი ლეგიონერი

## ვიზა დღეს?

თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველმა **გურამ კაშიამ** 31 აგვისტოს „ვიტესთან“ კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ დღემდე თბილისში, „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს. მას არნემულ კლუბში თამაშის კი არა, ჯერ ვარჯიშის უფლებაც არ აქვს. მიზეზი - ევროკავშირში შესასვლელი ვიზის არქონაა. წესით, ეს პრობლემა დღეს უნდა მოგვარდეს - 23 წლის მცველმა საჭირო საბუთები ჰოლანდიის საკონსულოში ჩააბარა და ვიზას დღეისთვის ელოდება.


გურამ კაშია

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ


რაული და შალკე ლიონთან მატჩისთვის ემზადებიან

# კრიზისული დუელი სტად ჟერლანზე

## ინტერი, მანჩესტერი და ბარსა მარტივად დაიწყებენ?

**ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში მილანის „ინტერის“ ტრიუმფი [ალ]ეს უკვე საბოლოოდ გახდება ისტორიის კუთვნილება, რადგან ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონი, ანუ, ყველაფერი თავიდან იწყება.**

### A ჯგუფი

### ვერდერი-ტოტენჰემი

„ვერდერის“ კაპიტან **ტორსტენ ფრინგსს** ტყუილად არ უთქვამს, ეს ძალიან მძიმე ჯგუფიაო. „ინტერს“ რომ თავი დავანებოთ, ბრემენული კლუბისთვის „ტვენტე“ და მით უმეტეს „ტოტენჰემი“ იოლი მეტოქეები ნამდვილად არ არიან. ლოგიკურად, „ვერდერი“ „ტოტენჰემთან“ საშინაო მატჩში ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ - თუნდაც იმიტომ, რომ „მუსიკოსებს“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ, მაგრამ ეს „ტოტენჰემს“ ოდნავადაც არ აკნინებს. ბრემენულ კლუბს არც იმის გამო მივაკრავთ ფავორიტის იარლიყს, რომ „ტოტენჰემი“ დღეს წამყვანი ფეხბურთელების, **დოუსონის, დეფოს** და სავარაუდოდ **მოდრიჩის** გარეშე ითამაშებს. რაც მთავარია, ჯანზეა **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომელმაც კვირას „ვესტ ბრომვიჩთან“ (1:1) თავისი პირველი პრემიერლიგური საგოლე პასი მიითვალა.

ბრემენელებს კი მერტეზაკერის, ნალდოსა და კლაუდიო პისაროს გარეშე მოუწევთ თამაში, რაც „ვერდერისთვის“ სერიოზული დანაკლისია. „მუსიკოსებმა“ ამ უქმეებზე „ბაიერნთან“ ფრეს (0:0) მიაღწიეს და იმ მატჩში **პრიოდლმა** და **პასანენმა** დაცვის ცენტრი მშვენივრად გაამაგრეს, წინა ხაზზე კი საკმაოდ ეფექტური იყო პისაროს შემცვლელი **მარკო არნაუტოვიჩი**. ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** ამბობს, „ვერდერი“ ძალიან შემტევ ფეხბურთს თამაშობს და წესით, მაყურებლებმა კარგი სპექტაკლი უნდა იხილონო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე - ფრიტცი, პრიოდლი, პასანენი, სილვესტრი - ბარგფრედე, ფრინგსი - მარინი, ვესლი, ჰანტი - არნაუტოვიჩი.
**ტოტენჰემი (4-4-1-1):** კუდიჩინი - ჩორლუკა, გალასი, კინგი, ეკოტო - ლენონი, პალასიოსი, ჰადლსტოუნი, ბეილი - ვან დერ ვაარტი - კრაუჩი.
**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### ტვენტე-ინტერი

ჯგუფის მთავარი ფავორიტი, წინა სეზონის ტრიუმფატორი „ინტერი“ ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლას ჰოლანდიიდან იწყებს - **რაფა ბენიტესს** დღეს „ტვენტესთან“ ექნება საქმე. სხვათა შორის, მწვრთნელი ამ კლუბმაც გამოიცვალა: **სტივ მაკლარენი**, რომელმაც „ტვენტე“ გააჩემპიონა, ახლა გერმანიაში, კერძოდ „ვოლფსბურგში“ მუშაობს. ექსპერტები ჰოლანდიის ჩემპიონისგან დიდ სენსაციებს არ ელიან, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს თავს დებიუტანტი „ტვენტე“ ჩემპიონთა ლიგაში.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ტვენტე (4-3-3):** მიჰაილოვი - როსლესი, ვისგერჰოფი, დუგლასი, ტიენდალი - იანსენი, ბრამა, ლანდზაატი - რუისი, იანკო, ჩადლი.
**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ - კამბიასო, ხ. ძანეტი - პანდევი, სნეიდერი, ეტოო - მილიტო.
**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)

### B ჯგუფი

### ლიონი-შალკე

სეზონი ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა და საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი „ლიონი“ და მისი გერმანელი პენდანტი „შალკეც“ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებიან. გელზენკირხენელები სამი ტურის შემდეგ უქულოდ არიან, „ლიონი“ კი 5 ტურის შემდეგ მე-16 ადგილზეა. შესაბამისად, ორივე გუნდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ ფანებს ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული სტარტის ალებით მაინც მოუბოდიშოს - ფაქტია, რომ ამ წყვილში წაგებულის მდგომარეობა ჯოჯოხეთურად დამძიმდება. „შალკეს“ თავკაცმა **ფელიქს მაგათმა** ლიონში **კრისტოფ მეტცელდერი** არ წაიყვანა. „დესპოტი ფელიქსი“ მარჯვენა მცველის პოზიციაზე ალბათ ახალგაზრდა **ჯოელ მატიპს** ათამაშებს. „ლიონის“ სწრაფ გარემარბ **მიშელ ბასტოსს** სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა მიხედოს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რეველიერი, დიაქატე, ლოვრენი, სისოხო - ტულალანი, გონალონსი - ბრიანი, გურკუფი, ბასტოსი - ლისანდრო ლოპესი.
**შალკე (4-1-2-3):** ნოიერი - მატიპი, ჰიოვედესი, პლესტანი, შარპეი - ჯონსი - რაკიტიჩი, მორიტცი - ფარფანი, ჰუნტელაარი, რაული.
**არბიტრი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

### ბენფიკა-ჰაპოელი

პირველი ადგილისთვის ბრძოლაში, „ლიონთან“ და „შალკესთან“ ერთად, რა თქმა უნდა, ფავორიტია პორტუგალიის ჩემპიონი „ბენფიკაც“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას თელ ავივის „ჰაპოელთან“ საშინაო მატჩით იწყებს. ლისაბონურმა გრანდმა სეზონი მძიმედ დაიწყო - 4 ტურში ოდენ 3 ქულას მოუყარა თავი. ფაქტია, გუნდმა ჯერ ვერ გადაიტანა ის, რომ „ბენფიკა“ ლიდერებმა, **დი მარიამ** („რეალში“ გადავიდა) და **რამირესმა** („ჩელსის“ მიაშურა) დატოვეს. მიუხედავად ამისა, „ჰაპოელი“ მაინც აუტსაიდერია - თუმცა ალბათ ასე ფიქრობდნენ ზალცბურგის „რედ ბულის“ ფეხბურთელებიც, საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე რაუნდის წინ...

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბენფიკა (4-1-3-2):** გაგო - მაქსი პერეირა, ლუიზაო, დავიდ ლუისი, კოენტრაო - ხავი გარსია - მარტინსი, აიმარი, გაიტანი - სავიოლა, კარდოსო.
**ჰაპოელი (4-2-3-1):** ენიემა - კენდე, დ. სილვა, ფრანსმანი, ბ. დაიანი - როკი, იადინი - შივონი, ზაჰავი, ვერმუთი - შეხტერი.
**არბიტრი:** ალექსეი ნიკოლაევი (რუსეთი)

### C ჯგუფი

### ბურსა-ვალენსია

თურქეთის სენსაციური ჩემპიონი „ბურსა“ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას „ვალენსიასთან“ ბრძოლით იწყებს. ისე, სიტყვა სენსაციური „ბურსასპორს“ აღარ შეეფერება, რადგან **ერთუგრულ ზაგლამის** გუნდი თურქეთის ჩემპიონატს ახლაც ერთპიროვნულად ლიდერობს. საინტერესოა, რას იზამს „ბურსა“ ჩემპიონთა ლიგაში. კაპიტანი **ერდოღანი** ამბობს, ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ჩვენ გვიყვარს შეუძლებლის შესაძლებლად ქცევაო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბურსა (4-2-3-1):** ივანკოვი - თანდოგანი, სტეპანოვი, ერდოღანი, ვედერსონი - ერგიჩი, ჩიმშირი - სენი, ბატალია, იპეკი - ილდირიმი.
**ვალენსია (4-2-3-1):** სანჩესი - მიგელი, რ. კოშტა, ნავარო, მატიო - ალბელდა, მადურო - იოახიმი, დომინგესი, მატა - სოლდადო.
**არბიტრი:** სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

### მანჩესტერი-რეინჯერსი

2008 წლის გამარჯვებული და 2009 წლის ფინალისტი „მანჩესტერ იუნაიტედი“ შარშან მეოთხედფინალიდან „ბაიერნთან“ ბრძოლაში დამარცხდა და წელს შედეგის გაუმჯობესებას გეგმავს. **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდმა სეზონი ორი გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ მერე „ფულჰემთან“ 2:2-ს „ევერტონთან“ 3:3 მოაყოლა. ასე რომ, „რეინჯერსთან“ მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო. „მანჩესტერს“ დაცვის ბურჯი **რიო ფერდინანდი** უბრუნდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ო'ში - ევანსი, ნანი, სქოულზი, გიგზი - ბერბატოვი, რუნი.
**რეინჯერსი (4-4-2):** მაკგრეგორი - უეირი, ბრუდფუტი, პაპაცი, ბუგერა - ედუ, დევისი, ლაფერტი, ნეისმიტი - იელავიცი, მაკალოხი.
**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

### D ჯგუფი

### ბარსელონა-პანათინაიკოსი

ამ ჯგუფში ოთხმა ჩემპიონმა მოიყარა თავი, მაგრამ „ბარსელონა“ მაინც უპირობო ფავორიტია, დანარჩენებს კი მხოლოდ მეორე ადგილზე მოუწევთ ფიქრი. „ბარსამ“ უქმეებზე დაამტკიცა, რომ სუსტებთან წაფორხილება „შეუძლია“ - კატალონიელები „ნოუ კამპზე“ „ერკულესთან“ დამარცხდნენ (0:2). **პეპ გვარდიოლამ** ამ მატჩისთვის **ჩავი, ბუსკეტსი, დანი ალვეში** და **პედრო** დაასვენა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ვილია, პედრო.
**პანათინაიკოსი (4-2-3-1):** ცორვასი - მარინოსი, კანტე, ბუმსონგი, ვინტრა - ჟილბერტო სილვა, სიმაო - ლეტო, ნინისი, გოვუ - სისე.
**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

### კოპენჰაგენი-რუბინი

ყაზანის „რუბინმა“ ბოლო წლებში ისეთი პროგრესი განიცადა, რომ დღეს „კოპენჰაგენთან“ გასვლით მატჩში ფავორიტად უნდა შევრაცხოთ. ზაფხულში რუსეთის ჩემპიონმა **ობაფემი მარტინსი** (10 მილიონად) და **კარლოს ედუარდო** (20 მილიონად) შეიძინა და ცხადია, ყაზანელთა მიზანი ჯგუფიდან გასვლაა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**კოპენჰაგენი (4-4-2):** ვილანდი - პოსპეხი, ოტესენი, ანტონსონი, ვენდტი - ვინგაარდი, კვისტი, კლაუდემირი, გრონკიაერი - ნ'დოიე, სანტინი.
**რუბინი (4-4-2):** რიჟიკოვი - კუზმინი, ორეხოვი, ბოკეტი, ანსალდი - კასაევი, ნობოა, კარლოს ედუარდო, გორბანეცი - მედვედევი, მარტინსი.
**არბიტრი:** თომას აინვალერი (ავსტრია)

**გოტფრიდ ლენცი**

---

ლა ლიგა. გამოხმაურება

# მეტი, ვიდრე შეუძლებელი...

## ნელსონ ვალდესი: უსახლკარო, რომელმაც ბარსელონა დაამარცხა

შაბათს გაჩახჩახებულ „კამპ ნოუზე“ პარაგვაელი ფორვარდი **ნელსონ აედო ვალდესი** თავისი ახალი კლუბის ნამდვილი გმირი იყო. 26 წლის სამხრეთამერიკელს „ერკულესში“ დებიუტი ჰქონდა და მან ეს დებიუტი **ვიქტორ ვალდესის** კარში გატანილი ორი ბურთით აღნიშნა.

მისი კარიერის პირველი წლები კი სულ სხვანაირი იყო, „ერკულესის“ გმირი ზუსტად 10 წლის წინათ სამშობლოში თავისი გუნდის სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნის ქვეშ გამართულ სახელდახელო მიწურში ათენებდა ღამეებს, რომ ფეხბურთის თამაშით 6 დაძმა გამოეკვება. ნელსონი 1983 წლის ნოემბერში დაიბადა პატარა ქალაქ სან ხოაკინში, რომელიც კაგუაზუს მხარის ერთ-ერთი ცენტრია, პარაგვაის „კაპიტალ დე მადერაში“ (ესპანურად - ხის დედაქალაქი). კაგუაზუმ ეს დასახელება იმიტომ მიიღო, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხეტყის გადამამუშავებელი ქარხნებია, ყველაზე მეტი მთელ ქვეყანაში.

ჭაბუკი ფორვარდი ქალაქ იპანეს გუნდ „კლუბ ატლეტიკო ტემბეტარიში“ ვარჯიშობდა და მთავარ გუნდში ცდილობდა მოხვედრას. 2000 წელს ის მართლაც აიყვანეს მთავარ გუნდში, რომელიც პარაგვაის ჩემპიონატის რანგით მესამე დივიზიონში თამაშობდა - 16-17 წლის ვალდესმა 22 თამაშში 11 გოლი გაიტანა. ნელსონს სურდა მასზე 2,5 წლით უფროსი **ნელსონ კუევასის** გზა გაევლო, რომელიც ასევე „ტემბეტარიში“ თამაშობდა, 1998 წელს კი „რივერ პლეიტში“ გადაიყვანეს.

სწორედ მაშინ ბიჭი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა, ბინის ქირას და-ძმების გამო ზოგავდა და 5-ათასიანი სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნის მიწურში ცხოვრობდა, სადაც ზამთრობით სუსხისგან თავს „სახლის“ ერთადერთი ავეჯის წყალობით იცავდა - ნელსონმა საიდანღაც მოათრია ძველი საწოლი და იმაზე ეძინა. მაშინ ახალგაზრდა ფეხბურთელის ცხოვრება მეტად ერთფეროვანი იყო - დილაობით თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, თამაშობდა, ღამღამობით კი დრო თავის მიწურში გაჰყავდა. ასე გადიოდა დრო მშობლიური ქალაქიდან მოცილებული ფეხბურთელისთვის, რომელსაც თანაგუნდელებმა „უსახლკარო“ შეარქვეს. მაგრამ ვალდესს შრომა და მოთმინება დაუფასდა...

და სწორედ აქ გამოჩნდა **კლაუს ალოფსი**... წარსულში ცნობილი გერმანელი ბომბარდირი, ევრო 80-ის გამარჯვებული და 1986 წლის მუნდიალის ფინალისტი გუნდის წევრი. იმ ხანობას კლაუს ალოფსი ბრემენის „ვერდერის“ სკაუტი გახლდათ და თავის მისიას სამხრეთ ამერიკაში ასრულებდა. 2001 წლის დეკემბერში მან 18 წლის ნელსონ ვალდესის თამაში ნახა და მოეწონა. ალოფსმა ვალდესს ბრემენის „ვერდერში“ სინჯები შესთავაზა!

ვალდესს წამიც არ უყოყმანია, მოაგროვა ყველა პირადი ნივთი, რაც კი თავის „სახლში“ ებადა და ალოფსს ევროპაში გაჰყვა. სინჯები ფეხბურთელმა ჩააგდო, ის „ვერდერში“ არ მოეწონათ. მაგრამ ევროზღაპარი ამით არ დასრულებულა, კლუბის პრეზიდენტმა **იურგენ ბორნმა** გადაწყვიტა თინეიჯერისთვის მეორე შანსი მიეცა. ამის მიზეზი კი მისი მეუღლე იყო, რომელიც წარმოშობით პარაგვაელია.

ნელსონ ვალდესმა თამაში „ვერდერის“ მეორე გუნდში დაიწყო გერმანულ რეგიონალლიგაში. მას საშუალოდ ყოველ ორ თამაშში ერთი გოლი მაინც გაჰქონდა ეს კი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და **თომას შააფმა** „უსახლკარო“ პირველ გუნდში დააყენა. *„ეს ბიჭი ერთობ მონადირებულია და ერთი სული აქვს, როდის მიეცემა შანსი“*, - ირწმუნებოდა შააფი. მართლაც, ნელსონი მალე სასტარტო შემადგენლობის წევრი გახდა. მას ბრაზილიელ **აილტონთან** და **ივან კლასნიჩთან** გვერდიგვერდ უწევდა თამაში. „ვალენსიაში“ ახლაც ავად ახსოვთ ნელსონ ვალდესის სახელი. სწორედ პარაგვაელმა გამოაგდო „ლოს ჩე“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან - შეცვლაზე შევიდა და ორი გოლი გაიტანა, ის მატჩი „ვერდერმა“ 2:0 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ასე რომ, სანამ ვალდესი „კამპ ნოუს“ სკალპს მონადირებდა, დიდი ხნით ადრე „მესტალია“ ჰყავს დაჩოქებული.

შემდეგ „ვერდერში“ **მიროსლავ კლოზე** გადავიდა და ნელსონ ვალდესს სათამაშო დრო შეუმცირდა, 2004 წელს „უსახლკარომ“ კლუბი გამოიცვალა, დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა, სადაც შარშან დედით პარაგვაელ **ლუკას ბარიოსთან** ერთად შეტევის წყვილი შექმნა.

„უსახლკაროსთვის“ ეროვნული ნაკრების კარიც გაიხსნა, სადაც ნელსონ კუევასი, **სალვადორ კაბანიასი, როკე სანტა კრუსი** და **ოსკარ კარდოსო** თამაშობდნენ. მაგრამ თავიდან ყველაფერი რთულად იყო, ვალდესს ურუგვაელი **ანიბალ „მანო“ რუისი** იშვიათად აყენებდა. 2006 წლის მუნდიალის წინ ამის შესახებ ხმამაღლა გამოთქვა შეშფოთება ვალდესმა. *„ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ მე და სანტა კრუსი ვთამაშობთ წარმატებით, სანტა კრუსი თამაშობს ძირითად შემადგენლობაში, მე კი არც მიწვევენ, საოცარია“*, - განაცხადა მაშინ ვალდესმა. რუისმა წყენა გულში არ ჩაიდო და ვალდესიც მიიწვია, არც ინანა, ნელსონი „გუარანის“ (ასე ეძახიან პარაგვაის ეროვნულ ნაკრებს სამშობლოში) ფანთა ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდა, გაიტანა რამდენიმე გადამწყვეტი ბურთი ნაკრების მაისურით. სწორედ მისმა გოლმა მოუპოვა პარაგვაის ნაკრებს წლევანდელი მუნდიალის საგზური. ნაკრებმა აფრიკაში იმდენად კარგად ითამაშა, რომ სამშობლოში უკვე ლამის მუნდიალის მოგებაზე ალაპარაკდნენ. ვალდესისა და მისი გუნდელების ოცნება მეოთხედფინალში ესპანეთის ნაკრებმა დაასამარა.

ახლა მისი საფეხბურთო კარიერის ახალი ეტაპი დადგა, მან პირველად ითამაშა ესპანურ პრიმერა დივიზიონში, თანაც როგორ - ლამის უძლეველ „ბარსელონას“, რომლისაც ყველას ეშინია, მოკრძალებული „ერკულესი“ გაუსწორდა, ორივე გოლი კი სწორედ მან გაიტანა, „უსახლკარომ“, ერთ დროს საფეხბურთო გუნდის ტრიბუნის მიწურში მხოვრებმა ნელსონ აედო ვალდესმა!

26 წლის ფეხბურთელი უკვე გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე ის სტადიონი, რომლის მიწურშიც ცხოვრობდა მთელი წლის განმავლობაში, სანამ მხსნელად კლაუს ალოფსი არ მოევლინა. ალიკანტეური კლუბის ისტორიაში პარაგვაელი ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენია, მასში ყველაზე მეტი გადაიხადეს და მას ყველაზე დიდ ხელფასს უხდიან, **ტრეზეგეზე** მეტსაც კი... დანახარჯის მიუხედავად, „ერკულესის“ პრეზიდენტი **ვალენტინ ბოტელია** კმაყოფილი უნდა იყოს, ვალდესს სუპერდებიუტი გამოუვიდა.

*„ამ დღეს ცხოვრებაში არ დავივიწყებ - დებიუტი „კამპ ნოუზე“ დუბლით აღვნიშნე, ეს იმაზე მეტია, ვიდრე შეუძლებელი“*, - ამბობს ვალდესი. ამასობაში პარაგვაის უკიდურეს სამხრეთში პატარა ქალაქი სან ხოაკინი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი მხარეა, ყველასგან მივიწყებული და მიტოვებული. იქაური ფოლკლორი ამბობს, რომ ქალაქი პოეტებისა და მუსიკოსების სამშობლოა, თუმცა ყველაზე მეტად ამ ქალაქში იმით ამაყობენ, რომ იქ დაიბადა ბავშვი დიდი საფეხბურთო ნიჭით და ლომის გულით, რომ ერთ დროს უსახლკარო ნელსონ აედო ვალდესი, „ბარსელონას“ დამმარცხებელი, მათიანია...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

» მე-8 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. გამოხმაურება

« მე-5 გვერდიდან



კრიშტიანო რონალდო

## რონალდო: ერკულესმა დაგვანახვა, რომ ბარსას დამარცხება შეიძლება

*„ჩვენ ყველა საჭირო ინგრედიენტი გვაქვს იმისთვის, რომ მოვიგოთ წლევანდელი ლა ლიგა და ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ სიჩქარე არ გვარგებს, უნდა გადავდგათ ყოველი ნაბიჯი მიზანმიმართულად, დაუშვებელია გუნდზე უაზრო ფსიქოლოგიური ზეწოლა“*, - განუცხადა მადრიდის „რეალის“ ოფიციალურ საიტს გუნდის ლიდერმა **კრიშტიანო რონალდომ**, რომელიც მიიჩნევს, რომ „ერკულესმა“ ყველას დაანახვა - „ბარსელონა“ არ არის დაუმარცხებელი.

*„სეზონი ახალი დაწყებულია და რადგან „ბარსელონამ“ წააგო, ვერ ვიტყვი, რომ ეს გუნდი შარშანდელზე სუსტია. ასეთი დასკვნებისთვის მეტისმეტად მცირე დროა გასული. „ერკულესთან“ მარცხი მართლაც ძალიან მოულოდნელი იყო. როცა გავიგე, კარგა ხანს არ მჯეროდა, თუმცა ამ მოგებით „ერკულესმა“ დაგვანახვა, რომ „ბარსას“ დამარცხება შეიძლება“.*

რონალდო სეზონში პირველი მოგებით კმაყოფილია, თუმცა თავად უკეთ უწყის, რომ გუნდს კარგად არ უთამაშია: *„ახლა მთავარი შედეგია, რომელსაც ჩვენ „ოსასუნასთან“ მივაღწიეთ. ამიტომ კმაყოფილი ვარ. ჩვენ უკეთ თამაში და მეტი გოლის გატანა შეგვიძლია და ეს დროც მალე მოვა. „რეალს“ მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს, გუნდი კი შენების პროცესშია - ჩვენ ერთმანეთსაც კი არ ვიცნობთ კარგად. ყველაფერი მოვა, ოღონდ, არა ერთბაშად“.*

გახსოვთ, ალბათ, **ჟოზე მოურინიო** მსაჯებს შემოსწყრა კრიშტიანო რონალდოს ხშირად გამეტებით ურტყამენ ფეხებში, მსაჯები კი ხშირად რონალდოს სჯიანო. მადეირელი ამ საკითხსაც შეეხო: *„ვფიქრობ, მოურინიო მართალია, იმ ფეხბურთელებს, რომელთაც შექმნა შეუძლიათ, ხელფეხი უნდა გაეხსნათ, უხეშობა უნდა აღიკვეთოს. ვიცი, რომ მოურინიომ ეს განცხადება მხოლოდ ჩემი გულისთვის და მხოლოდ „რეალისთვის“ არ გააკეთა, ის პრინციპული წინააღმდეგია უხეშობით ფონს გასვლის, სურს, რომ ფეხბურთში იმან გაიმარჯვოს, ვინც უკეთესია“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ბანეგა ერთი თვით...

„ვალენსიამ“ მეორე ტურში 1:0 დაამარცხა სანტანდერის „რასინგი“ და „ატლეტიკოსთან“ ერთად უდანაკარგოდ, 6-6 ქულით ლიდერობს პრიმერა დივიზიონს, თუმცა ეს გამარჯვება „ლოს ჩეს“ ძალზე ძვირი დაუჯდა - ტრავმა მიიღო გუნდის ნახევარდაცვის ლიდერმა **ევერ ბანეგამ**. არგენტინის ნაკრების წევრმა „რასინგთან“ კოჭი დაიზიანა. მატჩის მე-15 წუთზე მას კოჭში სენეგალელმა **პაპაკული დიოპმა** ჩაარტყა. ბანეგამ ცოტა ხანი კიდევ გაძლო მოედანზე, მაგრამ რამდენიმე წუთში შეცვლა ითხოვა.

ტესტებმა „ვალენსიას“ ექიმების წინასწარი დასკვნა დაადასტურეს, კოჭი საკმაოდ მძიმედაა დაზიანებული და ფეხბურთელმა ერთი თვე მაინც უნდა დაისვენოს ფეხბურთისგან. ერთ თვეში კი... ფიფას მორიგი სანაკრებო ფანჯარა მოდის, ასე რომ, ბანეგა „ვალენსიაში“ ოქტომბრის მიწურულამდე ვერ ითამაშებს. არგენტინელი ლა ლიგის 4 და ჩემპიონთა ლიგის 2 მატჩს გამოტოვებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სერია A გამოხმაურება

## იტალიაში მსაჯებს მისდგნენ

სერია A-ს მეორე ტურს იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან არაერთი სენსაციური შედეგი დაფიქსირდა და საერთოდაც, მართლაც რომ საინტერესო ტური გამოვიდა. „მილანი“ დებიუტანტ „ჩეზენასთან“ დამარცხდა, „რომა“ „კალიარისთან“ განადგურდა, „ფიორენტინამ“ კი აუტსაიდერად შერაცხილ „ლეჩეს“ ვერ დააკლო ვერაფერი და მარცხი განიცადა. წინა პლანზეა წამოწეული სამსაჯო თემატიკა, რადგან „როსონერისა“ და „ვიოლას“ წარმომადგენლები განცდილ მარცხში დიდწილად სწორედ არბიტრებს ადანაშაულებენ.

თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ჩეზენამ“ აშკარად დაჩაგრა „მილანი', თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მატჩის არბიტრი რამდენჯერმე მართლაც შეცდა მასპინძელთა სასარგებლოდ. თავად განსაჯეთ, ბურთი სამჯერ შევარდა „ჩეზენელთა“ კარის ბადეში და სამივეჯერ მსაჯმა თამაშის წესების დარღვევა დააფიქსირა. ორი ეპიზოდი მეტად საკამათო იყო, აი **ალეშანდრე პატოს** კი სულ ტყუილად გაუუქმეს გატანილი გოლი - ერთ-ერთ ეპიზოდში, ბრაზილიელმა ფორვარდმა ბურთი მკერდით ჩამოიღო და გამოზომილი დარტყმით მასპინძელთა მეკარე უშანსოდ დატოვა. თუმცა, რეფერიმ მიიჩნია, რომ ალეშანდრემ ხელი წაიხმარა და ისე გაისწორა ბურთი დასარტყმელად - არადა, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ პატომ მკერდით ითამაშა. „მილანის“ მარცხს და უსუსურ თამაშს გამართლება ნამდვილად არ აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, არც მსაჯების შეცდომებზე თვალის დახუჭვა ივარგებს. აი, რას ამბობს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი**:

*„არ ვამბობ, რომ ვინმე ჩვენს წინააღმდეგ განზრახ მოქმედებს - უბრალოდ, იმის აღნიშვნა მინდა, რომ მსაჯობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გვაქვს და ამას გამოსწორება სჭირდება. „ჩეზენა“-„მილანის“ პაექრობაში ლაინსმენს მუდმივად აწეული ჰქონდა ალამი, რითიც როგორც ჩანს, შეცდომისგან თავის დაზღვევა სურდა. არადა, სწორედ მისი გადაწყვეტილებები გახლდათ მცდარი და ამაზე პასუხიც უნდა აგოს“.*

„მილანის“ მესვეურთა მსგავსად, მსაჯობით უკმაყოფილონი არიან „ფიორენტინას“ ბანაკშიც. თანაც, „ვიოლა“ ზედიზედ მეორე მატჩია, არბიტრთა შეცდომის მსხვერპლი ხდება - პირველ ტურში, „ნაპოლის“ თავდამსხმელის **ედისონ კავანის** მიერ დარტყმულის შემდეგ, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია, მაგრამ გოლი მაინც ჩაითვალა - განვლილ ტურში კი ფლორენციელი **პერ კროლდრუპის** მიერ წესების სრული დაცვით გატანილი ბურთი გააუქმეს. კლუბის სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** პრესასთან საუბარში აღშფოთებას ვერ მალავდა:

*„ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთი დაბალი დონის მსაჯობას გადავაწყდებოდით. „ნაპოლისთვის“ რომ აბსურდული გოლი არ ჩაეთვალათ და ჩვენ მიერ წესების დაცვით გატანილი ჩათვლილიყო, დღეს ოთხი ქულა გვექნებოდა და არა ერთი. ძალიან ცუდია, როდესაც არბიტრი ასე ერევა მატჩის მსვლელობაში და შედეგზე გავლენას ახდენს. არავინ დავობს იმაზე, რომ პრობლემები გვაქვს და გუნდი საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ ამასაც თუ მსაჯების შეცდომები დაემატა, კატასტროფულ სურათს მივიღებთ“.*

უფრო მოზომილი კომენტარი გააკეთა **სინიშა მიხაილოვიჩმა**: *„პირველ მატჩში მსაჯის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ძალიან გამაბრაზა, რადგან „ნაპოლის“ წინააღმდეგ მთლიანობაში კარგად ვიასპარეზეთ და გამარჯვებასაც ვიმსახურებდით.*



ადრიანო გალიანი მსაჯობით უკმაყოფილოა

*აი, „ლეჩესთან“ კი გუნდი არაფრად ვარგოდა და მსაჯთან სასაყვედურო ბევრი არაფერი მაქვს. გოლი უნდა ჩაეთვალა, მაგრამ იმასაც ვერ გავექცევით, რომ „ფიორენტინა“ მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა. თუმცა, იმაში ყველას ვეთანხმები, რომ მსაჯობასთან დაკავშირებული პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელია“.*

**ლაშა ნიკლაური**



დავიდ პისარო

## პისარო პირობას დებს...

„კალიარისთან“ განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ, „რომას“ ფეხბურთელები რეაბილიტაციაზე ფიქრობენ. არაერთი მოთამაშე გაესაუბრა ჟურნალისტებს და ყველა იმას იმეორებს, უახლოეს შეხვედრაშივე დავამტკიცებთ, რომ ის რაც მოხდა, შემთხვევითობა იყოო. მოკლედ, ცდილობენ ის ობსტრუქცია აიცილონ თავიდან, რომელსაც „ჯალოროსის“ გულშემატკივრები უახლოეს საშინაო თამაშზე უმზადებენ. აი, რას ამბობს „რომას“ ნახევარმცველი, **დავიდ პისარო**:

*„ასეთი საშინელი მატჩი არც კი მახსენდება - ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც არაფერი გამოგდის. „კალიარის“ ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში, იღბალიც მათ მხარეს იყო. მატჩის არბიტრმა პირველივე ტაიმში კაცნაკლული დაგვტოვა, რამაც კიდევ უფრო გაგვირთულა ამოცანა. ჩვენს გუნდში ნამდვილი ჩემპიონები ასპარეზობენ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ გამანადგურებელ მარცხს ღირსეულად მივიღებთ. მომდევნო პაექრობას „ბოლონიასთან“ ვმართავთ და ყველანაირად ვეცდებით, რომ არა მხოლოდ გამარჯვება მოვიპოვოთ, არამედ გულშემატკივარს სანახაობრივი ფეხბურთი შევთავაზოთ. კარგად გვესმის, რომ ჩვენი ტიფოზები იმედგაცრუებულნი არიან და მათი განბილების უფლება აღარ გვაქვს. მერწმუნეთ, მომდევნო პაექრობაში სულ სხვა „რომას“ იხილავთ“.*

**ლაშა ნიკლაური**

## დელ ნერი თავს იზღვევს

სერია A-ს მეორე ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა ტურინში გაიმართა, სადაც „იუვენტუსმა“ „სამპდორია“ მიიღო და სტუმარს ქულები გაუყო. მართალია, „იუვემ“ ვერც ამჯერად იმარჯვა და კვლავაც ცხრილის ქვედა ნაწილშია, მაგრამ პირველი მატჩისგან განსხვავებით, ტურინელებმა ფეხბურთი ითამაშეს და გულშემატკივრებს გარკვეული იმედები ჩაესახათ. საუბრის ხასიათზე დადგა **ლუიჯი დელ ნერი**, თუმცა მისი კომენტარიდან ნათლად ჩანს, რომ გარკვეულწილად, თავის დაზღვევის პოლიტიკას ატარებს. მოვუსმინოთ „ბიანკონერის“ მთავარ მწვრთნელს:

*„აშკარაა, რომ ის პრობლემები, რომელიც „ბარისთან“ პაექრობაში შეტევით ფაზაში შეგვექმნა, უკან მოვიტოვეთ. ძალიან კარგად წარმოჩნდა თავდასხმის ხაზი და ამაზე სამი გატანილი გოლი მეტყველებს. თუმცა, დაცვაში იჩინა თავი პრობლემებმა და ამის გამო ორი ქულა დავკარგეთ. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია და ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული, ამიტომ, არ მიკვირს, რომ სეზონის სტარტზე ამდენი შეცდომა დავუშვით. მეორე მხრივ, პირველ მატჩთან შედარებით უდიდესი ნაბიჯი გადავდგით წინ და ეს იმედით მავსებს. სკუდეტო? - დღეს ნამდვილად არ გვყავს ისეთი გუნდი, რომ მხოლოდ ჩემპიონობაზე ვიფიქროთ და შესაბამისად, ეს არც გვაქვს მიზნად დასახული. პირადად ჩემი ამოცანაა, რომ გუნდის შენება გაგრძელდეს და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ფაქტია, რომ რესურსი არის და ამ რესურსს გამოყენება სჭირდება. სწორედ ამიტომ ვარ აქ, მაგრამ დღესვე მხოლოდ მწვერვალებზე ფიქრი, ჩვენი მხრიდან უგუნურება იქნებოდა. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, „სამპდორიასთან“ შეხვედრამ ნათლად დამანახვა, რომ სწორ გზას ვადგავართ“.*

**ლაშა ნიკლაური**



ლუიჯი დელ ნერი

დაპირისპირება

## აბეტე: ბოიკოტი არ უნდა დავუშვათ



ჯანკარლო აბეტე დათმობაზე მიდის

ფედერკალჩოს გადაწყვეტილებამ, შეეზღუდათ ფეხბურთელების უფლებები სატრანსფერო საკითხებთან დაკავშირებით, იტალიურ სპორტულ სამყაროში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ორი სიტყვით შეგახსენებთ, რაშია საქმე და შემდეგ თემა განვავრცოთ - ანუ, ახალი წესის მიხედვით, კლუბებს ფეხბურთელის აზრის გაუთვალისწინებლად შეეძლებათ გადაწყვეტილების მიღება და გარიგების დადება. თუ მოთამაშე მხარეთა ნება არ დაკმაყოფილდება, არსებული კონტრაქტი გაუწყდება და ყველანაირი კომპენსაციის გარეშე უკლუბოდ დარჩება. ბუნებრივია, ამან ფეხბურთელთა აღშფოთება გამოიწვია და მათი დიდი ნაწილი გაფიცვითაც დაიმუქრა. „ფეხბურთელთა ასოციაცია“ - სწორედ ასე ჰქვია იმ ორგანიზაციას, რომელშიც მოთამაშეთა უდიდესი ნაწილია გაწევრებული და რომლებიც 25/26 სექტემბერს დაგეგმილ ტურში ასპარეზობაზე უარს აცხადებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ფედერკალჩოს პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** ისაუბრა:

*„ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ პრობლემა მოიხსნება და მეხუთე ტურის მატჩები ჩვეულებრივად ჩატარდება. მესმის ფეხბურთელთა გულის ტკივილი და ვფიქრობ, რომ შეიძლება კონსენსუსამდე მისვლა. გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები უკვე გადაიდგა კიდეც, რაც ჩემს ოპტიმიზმს კიდევ უფრო აღრმავებს. ბოიკოტი არ უნდა დავუშვათ, ეს იტალიურ ფეხბურთს არ წაადგება“.*

**ლაშა ნიკლაური**

დრიბლინგი ევროპაში

# ეს ის იბრა აღარ არის...

„მილანს“ ოთხი ფანტაზისტა ჰყავს და უქმეებზე ოთხივემ, განსაკუთრებით კი ერთმა ჩაისვარა; ინგლისში ფერნანდო ტორესის ვარცხნილობაზე მიდის დისკუსია, რობერტ გრინმა კი კიდევ ერთხელ „გამოიჩინა თავი“; „ბარსა“ ჰერკუსელესისგან მიღებული დარტყმის შემდეგ ტრავმატოლოგიურშია, გერმანიაში კი კატები ყეფენ.

თქვენ წინაშეა „ლელოს“ დრიბლინგი ევროპაში, რომელიც აღვადგინეთ და სამშაბათობით ვიდრიბლიორებთ ხოლმე.

## იტალია

### სილვიო და კომუნისტები

„მილანის“ ოთხივე „ფანტაზისტა“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ - ჯერ **რონალდინიო** თამაშობდა **იბრაჰიმოვიჩთან** და **პატოსთან** ერთად, მერე კი **რობინიო** შევიდა რონალდინიოს ნაცვლად. მაგრამ „ჩეზენასთან“ მოგებისთვის წესით, სამი „ფანტაზისტაც“ საკმარისი უნდა ყოფილიყო. „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა, 0:2-ის დრამატიზება აუცილებელი არ არის, „მილანის“ „ატომურ წინა ხაზს“ ერთად ერთი-ორჯერ თუ ჰქონდა ნავარჯიშებიო. შესაძლოა, ასეთი მოსაზრება მართალიც იყოს, მაგრამ არც ისეა საქმე, მატჩის მერე **ადრიანო გალიანიმ** და **სილვიო ბერლუსკონიმ** რომ დახატეს. პირველმა წაგება მსაჯს დააბრალა და ტრიბუნაზე მსაჯების შეფ **სტეფანო ბრასკის** დიდხანს ურჩევდა საქმეს, სილვიომ კი თქვა, პრობლემა ისაა, რომ „მილანს“ მემარცხენეების მსაჯებს უნიშნავენო. ანუ, „მილანმა“ „ჩეზენასთან“ რომ წააგო, ეს სულ კომუნისტების ინტრიგების ბრალი ყოფილა, რომლებიც ბერლუსკონის ებრძვიან. არადა, „მილანმა“ ისე ამაზრზენად ითამაშა (განსაკუთრებით დაცვაში და ფლანგებზე), რომ უპრიანი იქნებოდა, რობინიოს ყიდვის ნაცვლად, პრობლემური ზონებისთვის მიეხედათ. მაგრამ იქნებ სცადეს და ამაშიც კომუნისტებმა შეუშალეს ხელი?

იბრაჰიმოვიჩი ზოგადად ცალკე სალაპარაკო თემაა. სადებიუტო თამაშში ძალიან მონდომებსო, ფიქრობდა ალბათ **ალეგრი** და ზლატანს თავიდან ბოლომდე ენდო, მაგრამ როგორც ჩანს, იბრასთვის მონდომება უნიჭო კლოუნობას ნიშნავს. ვინც თამაში ნახა, მიხვდება, რასაც ვგულისხმობთ და ვინც არ ნახა, ვურჩევთ, არც უყუროს, რადგან ერთ დროს („აიაქსში“ და მერე „იუვენტუსში“, ოღონდ მარტო პირველ სეზონში) ზლატანი მართლა გენიალური ფეხბურთელი იყო და რომ ნახოთ, „ჩეზენასთან“ როგორ „ითამაშა“, მისი გვარის გაგონებაც არ მოგინდებათ და უმჯობესია, ცოტა სხვანაირი იბრა გახსოვდეთ.

პირადად ჩემთვის ყველაზე მიულებელი და ნერვების მომშლელი მაინც ის იყო, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, ზლატანს პენალტი დაარტყმევინეს - პენალტი, რომელიც ტრადიციული ილეთით მოიპოვა უბერებელმა **პიპო ინძაგიმ**, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე მხოლოდ 25 წუთი დაყო, ყველაზე პროდუქტიული მილანელი გახლდათ. ვინ არის იბრაჰიმოვიჩი, თანაც ასეთი ამაზრზენი თამაშის ფონზე და მით უმეტეს სადებიუტო შეხვედრაში, რომ მას პენალტს არტყმევინებენ? რატომ არ დაარტყა „როსონერის“ სტაჟიანმა პენალტისტმა **პირლომ**? რას წარმოადგენს ზლატანი „მილანისთვის“?

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ **ემანუელე ჯაკერინი** იყო. ის 25 წლისაა, სიმაღლეში მხოლოდ 167 სანტიმეტრია და ამიტომაც ეძახიან „ფაჯოლინოს“, რაც პატარა კანფეტს ნიშნავს. ამ ბიჭს ფეხბურთისთვის თავის დანებება უნდოდა, რადგან „ჩეზენაში“ ფეხს ვერ იკიდებდა და სამჯერ იყო მეოთხე ლიგაში (!) განათხოვრებული, იქ კი, მოგეხსენებათ, ფული არ იშოვება. მაგრამ შაბათს ჯაკერინიმ იფრინა! იქნებ იმიტომ, რომ **ჩეზარე პრანდელის** მოსწონს? საფინალო სასტვენის შემდეგ მან იბრას გაუცვალა მაისურა. სხვათა შორის, „ჩეზენას“ წლიური სახელფასო ფონდი 8.3 მილიონი ევროა, მარტო იბრაჰიმოვიჩი კი წელიწადში 9 მილიონს იღებს...



ზლატან იბრაჰიმოვიჩი გაფუჭებული პენალტის შემდეგ

## ინგლისი

### მაპეტ შოუ

„It's not easy being green,“ - ასე მღეროდა ცნობილ „მაპეტ შოუში“ მწვანე ბაყაყი Kermit the Frog და ასპროცენტიანი ყოფილა. მართლაც არაა იოლი, იყო გრინი - ინგლისის ნაკრების მუნდიალზე შერცხვენილი მეკარე „ჩელსისთან“ მატჩშიც ისე მოიქცა, როგორც ზოგადად ინგლისელ კიპერებს შეეფერებათ, მაგრამ „ვესტ ჰემის“ კარის დარაჯი მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა.

*„რობერტი ძალიან კარგი მეკარეა და ეს ყველაფერი ისე უნდა გადაიტანოს, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება,“* - თქვა „ვესტ ჰემის“ თავკაცმა **ავრამ გრანტმა**, მაგრამ თვითონ ამ უკანასკნელსაც მოუწევს რაღაც-რაღაცების ვაჟკაცურად გადატანა - მისმა გუნდმა ოთხივე თამაში წააგო და ფაქტია, რომ „ვესტ ჰემის“ ქომაგებს გრანტის ატანა დიდხანს ნაღდად აღარ მოუწევთ. სხვათა შორის, შეცდომა დაუშვა გრინის კონკურენტმა **ჯო ჰარტმაც** (მანჩესტერ სიტი) - ინგლისის ნაკრების ახალმა მეკარემ „ბლექბერნთან“ სასაცილო გოლი გაუშვა და ახლა უკვე ისიც „მაპეტ შოუს“ გმირია.

ინგლისში „სერიოზულად“ დაფიქრდნენ იმაზე, რომ ვარცხნილობა ფეხბურთელის თამაშზე დიდ გავლენას ახდენს. ჯერ იყო და, გარკვეულ წრეებში **უეინ რუნის** დასცინოდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდად იმიტომ ითამაშა, რომ აშშ-ისთან მატჩის წინ მკერდი გაიპარსაო. ახლა კი, ამ თეორიის მიმდევრებმა აღმოაჩინეს, რომ **ფერნანდო ტორესი** მას მერე ველარ თამაშობს კარგად, რაც ქერა თმა მოიშორა. „ელ ნინიოს“ თამაში „ბირმინგემთან“ (0:0) „სქაის“ ექსპერტმა **ჯეიმი რედნაპმა** ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, „ამაზრზენად“ და „გამაოგნებლად ცუდად“ შეაფასა. *„შეიძლება ფეხბურთელს ცუდი დღე გაუთენდეს, მაგრამ ფეხბურთელმა, როგორც მინიმუმ, უნდა მოინდომოს,“* - თქვა მან.

## ესპანეთი

### იოზილმა ბერნაბეუ დაიპყრო

„ბარსელონას“ ტრავმატოლოგიურში წოლა დიდხანს არ მოუწევს, სამაგიეროდ, „ერკულესის“ ფანებს ამ უქმეებზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვება სიკვდილამდე ეხსომებათ. სტატისტიკას რომ შევხედოთ, „ბარსას“ 1986 წლის მერე „ერკულესთან“ პრიმერადივიზიონის ყველა თამაში წაგებული აქვს. თუ კარგად დავაკვირდებით, იმასაც დავინახავთ, რომ კატალონიელები მათთვის სადღეისოდ ავადსახსენებელ მეტოქეს სულ სამჯერ შეხვდნენ, რადგან „ერკულესი“ უმეტესად ქვედა დივიზიონებში დაცურავდა, მაგრამ ჯუჯა კლუბი მაინც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

„ერკულესმა“ „ბარსა“ მანამდე ბოლოს 1997 წელს, მე-19 ტურში დაამარცხა და მაშინაც „კამპ ნოუზე“: კატალონიელები მაშინ 2:0-ის იგებდნენ და 2:3 წააგეს. პატივისცემას იმსახურებს **ნელსონ ვალდესიც**, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიაში“ აღარ სჭირდებოდათ, ახლა კი შურის თვალით უყურებენ, რადგან „ბარსას“ კარში ორივე გოლი პარაგვაელმა გაიტანა.

მადრიდში **მესუთ იოზილზე** გააფანატეს. „ასი“ წერდა, „რეალის“ ქომაგებს ბედნიერების მიზეზი აქვთ, „სამეფო გუნდში“ დიდი ფეხბურთელი გამოჩნდაო. „მარკაში“ კი ვკითხულობთ, რომ თურქული წარმოშობის გერმანელმა ფეხბურთელმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ გული მოიგო. დასკვნა კი ასეთი იყო: *„გერმანელი მეტოქის კართან სახიფათო მომენტების შექმნის მანქანაა“*. ფაქტია, ყოფილი ვერდერელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამაზე უკეთეს დებიუტს ვერ ინატრებდა.

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი კი უდავოდ „ლა რომარედაზე“ შედგა, სადაც მალაგელმა ბიჭებმა ადგილობრივი სარაგოსელები 35 წუთში გალახეს (5 გოლით). ყველაზე უბედური, რა თქმა უნდა, „სარაგოსას“ კიპერი **ლეო ფრანკოა** - მის თანაგუნდელებს ცოტაოდენი ფეხბურთის თამაშის სურვილი მხოლოდ მას მერე გაუჩნდათ, როცა ტაბლოზე უკვე 0:5 ენთო.

## გერმანია

### სანამ ძაღლები უძეიფოდ არიან...

უძაღლო ლიგაში კატები ყეფენ. **არიენ რობენი** ტრავმირებულია, **ფრანკ რიბერი** ჯერ კიდევ არ არის ფეხბურთის თამაშის იშტაზე, **დიეგო** უძეიფოდ იყო, **რაული** საძეიფოდ, **ჰუნტელაარი** „პახმელიაზე“, **ვან ნისტელროი** კი უბრალოდ მარცხენა ფეხზე ადგა - შესაბამისად, ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში ტურში ისეთმა სახეებმა გაიბრწყინეს, მანამდე მათ შესახებ ძალიან ცოტას რომ სმენია რამე.

**ისააკ ვორსა, მოჰამედ (მოა) აბდელაუ, ბენჯამინ კიოლერი, პაპის დემბა სისე, სრდიან ლაკიჩი** - პირველი „ჰოფენჰაიმის“ მცველია და ბოლო ტურში ორი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა („სოფლელები“ ცხრილს სათავეში უდგანან), მეორე „ჰანოვერის“ ახალი თავდამსხმელია, რომელსაც უკვე ორი გოლი აქვს გატანილი, მესამე „აინტრახტის“ ნახევარმცველი გახლავთ, მკვდრეთით რომ აღდგა, მეოთხე „ფრაიბურგის“ აღვირახსნილი ფორვარდია (4 გოლი სამ თამაშში), მეხუთე კი „კაიზერსლაუტერნის“ ბევრისგან დავიწყებული თავდამსხმელი.

სხვათა შორის, ლაკიჩს თბილისშიც უთამაშია - მაშინ „ჰერტას“ ფორვარდი იყო და ბერლინურ კლუბს ჩვენს დედაქალაქში „ამერთან“ სათამაშოდ (2:2) ჩამოჰყვა და გოლიც გაგვიტანა. დღეს არც „ჰერტაა“ ელიტაში, „ამერიც“ აღარ ამერობს, ლაკიჩი კი „კაიზერსლაუტერნის“ მთავარი დამრტყმელი ძალაა...

**გოტფრიდ ლენცი**

ერთი რადიოინტერვიუს ამონარიდი



კარლო ანჩელოტი

# კარლო ანჩელოტი: ნუ ჩაერევით პირად ცხოვრებაში!

„ჩელსის“ მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** მიიჩნევს, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ **ფაბიო კაპელოს** შემდეგ ნაკრების სათავეში კვლავ უცხოელის დანიშვნაზე უარი არ უნდა თქვას. მოგეხსენებათ, კაპელომ ამას წინათ განაცხადა, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობის დატოვებას აპირებს და ამ გადაწყვეტილებას ველარაფერი შეაცვლევინებს, ვერც მისი გუნდის წარმატებული და ვერც წარუმატებელი გამოსვლა. მკაფიოა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სურვილიც, იტალიელის შემდეგ ქვეყნის მთავარი საფეხბურთო პოსტი ოდინდელი ტრადიციის შესაბამისად ადგილობრივ მწვრთნელს ანდოს. ასეთივეა საზოგადოების მოთხოვნაც, თუმცა ანჩელოტის სხვა აზრი აქვს:

*„არა მგონია, რომ ინგლისის ნაკრებს მაინცდამაინც ინგლისელი უნდა წვრთნიდეს. ქვეყნად ძალიან ბევრი კარგი მწვრთნელია და ყველა მათგანი ინგლისელი სულაც არ არის. უკვე კარგა ხანია, რაც გუნდს სათავეში უცხოელები უდგანან, მაგრამ მათ ბედი არ სწყალობთ. გაიხსენეთ სვენ-გორან ერიკსონი, რომელსაც ამ თანამდებობაზე აშკარად არ გაუმართლა“.*

BBC 5-ის სპორტული პროგრამის პირდაპირ ეთერში ლაპარაკისას ანჩელოტი **უეინ რუნის** ყბადაღებულ სკანდალსაც შეეხო. უფრო სწორად, მან ზოგადად ფეხბურთელთა პირადი ცხოვრების თემაზე ილაპარაკა, რადგან გასულ სეზონში საკუთარ მოთამაშეებზე **ჯონ ტერისა** და **ეშლი კოულზე** იწვნია ყვითელი პრესის მწარე კალამი.

*„მე არ მსურს, ჩემი მოთამაშეების პირად ცხოვრებას ვაკონტროლებდე. მე მათ პატივს ვცემ“*, - თქვა ანჩელოტიმ.

**ილია ბაბუნაშვილი**

რუსეთი

# მომავალი წლიდან: რუსეთში შემოდგომა-გაზაფხულზე

ნაციონალური საფეხბურთო ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ორშაბათამდე უეფას 53 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 13-ში ტარდებოდა, მაგრამ ახლა მათ რიცხვს რუსეთი გამოაკლდა. ორშაბათს რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომის სხდომაზე გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადასვლა საბოლოოდ დამტკიცდა. საინტერესოა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო - მხოლოდ ერთმა სუბიექტმა შეიკავა თავი, ხოლო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ასევე ერთი კაცი წავიდა და ისიც როგორი - პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი **ნიკოლაი ტოლსტიხი**.



ნიკოლაი ტოლსტიხი

რუსეთის შიდასაფეხბურთო უთანხმოებები რუსებსვე დავუტოვოთ, ჩვენ კი ყურადღება იმაზე გავამახვილოთ, თუ რა გზით გადავლენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ევროპულ კალაპოტში.

მაშ ასე: რუსეთის მომდევნო ჩემპიონატი 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყება, სამ წრედ ჩატარდება და 2012 წლის გაზაფხულში დასრულდება.

მესამე წრეში 16 გუნდი ორ ჯგუფად დაიყოფა: პირველ-მერვე ადგილებზე გასულები ჩემპიონობას და ევროთასების საგზურებს გაითამაშებენ, ხოლო ვინც ორ წრეს მეცხრე-მეთექვსმეტეზე დაასრულებს, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს, თანაც ბოლო ორი პირველ ლიგაში გავარდება, ხოლო მე-13 და მე-14 გუნდები პირველ დივიზიონში მე-3 და მე-4 ადგილებზე გასულებს პლეი-ოფში შეერკინებიან, ამ წყვილებში გამარჯვებულები კი ელიტაში დარჩებიან.

აქვე ჩამოგითვლით იმ ქვეყნებს, სადაც ჩემპიონატები გაზაფხულზე იწყება და შემოდგომაზე სრულდება: ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ფარერები, ირლანდია, ბელარუსი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ყაზახეთი, სომხეთი. როგორც ხედავთ, აქ ძირითადად ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებია წარმოდგენილი, სადაც ხანგრძლივი ზამთრის გამო საერთო-ევროპულ წესზე უარის თქმა უწევთ, თუმც აქვე ირლანდია და სომხეთიცაა, სადაც, მართალია, მკაცრი ზამთარი იცის, მაგრამ არა 5-თვიანი, როგორც, ვთქვათ, ისლანდიაში ან ნორვეგიაში...

რუსეთში კი ფონს გასვლა მომრავლებული ხელოვნურსაფრიანი მოედნებით აქვთ გადაწყვეტილი, თუმცა წრეებს შორის ზამთრის შესვენება იქ მეტად ხანგრძლივი გამოუვათ - 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

**სლავა გასპაროვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ტრავმა

# როგორ აქვს ლუკას ფეხი?



ლუკა მოდრიჩის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა

**ლუკა მოდრიჩს** ფეხი არ მოუტეხია! ამ სასიხარულო ცნობით ფრთაშესხმულმა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** 25 წლის ხორვატს შეუცვლელი ფეხბურთელი უწოდა.

მოგეხსენებათ, შაბათს „სფურზმა" ვესტ ბრომვიჩში 1:1 ითამაშა და იმ შეხვედრაში მოდრიჩი დაშავდა. ექიმებს პირველი შთაბეჭდილება პესიმისტური ჰქონდათ, თითქოს შემტევმა ნახევარმცველმა შარშან მოტეხილი ძვალი დაიზიანა და ამიერიდან სამთვიანი მკურნალობა დასჭირდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, რენტგენზე საფუძვლიანად გაშუქების შემდეგ დადგინდა, რომ მას არაფერი სჭირს და ბრემენის „ვერდერის" წინაამდეგ სათამაშოდ გერმანიაში გამგზავრება შეუძლია.

*„მართალია, ჩვენ, როგორც გუნდი, ვართ ძლიერი, მაგრამ ყოველთვის, ყველგან არის ერთი ან ორი ფეხბურთელი, ვინც მეტოქესთან განსხვავებას ქმნის. ჩვენთან ერთ-ერთი ასეთი მოდრიჩი გახლავთ. ლუკა იმ დონის ფეხბურთელია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კლუბში შეძლებდა თავის გამოჩენას. ის ტოპმოთამაშეა, ფანტასტიკურია. მე თუ მკითხავთ, ლუკა მოდრიჩის შეცვლა შეუძლებელია".*

„ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრაში „ტოტენჰემი" 27-ე წუთზე სწორედ მოდრიჩმა დააწინაურა, მაგრამ 32-ეზე ის დაშავდა და მოედნიდან მისი გასვლის შემდეგ „სფურზი" საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. შეგახსენებთ, რომ რედნაპის გუნდს ამ სეზონში უკვე დაუშავდა ორი წამყვანი ფეხბურთელი, **ჯერმაინ დეფო** და **მაიკლ დოუსონი**. მათ ტრავმები სანაკრებო შეხვედრებში მიიღეს და ახლა, როდესაც კარს ჩემპიონთა ლიგაა მომდგარი, კიდევ ერთი ვარსკვლავის გამოკლება კატასტროფა იქნებოდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

გამოხმაურება

# ჰოჯსონი მკითხაობას არავის უკრძალავს

**სტივენ ჯერარდმაც** კარგად იცის, **როი ჰოჯსონმაც** და დანარჩენმა ინგლისმაც - „ლივერპულის" ფეხზე დაყენებას კოსმეტიკური რემონტი არ ეყოფა. კვირას „ბირმინგემმა" მერსისაიდელებს ყველაფერში აჯობა და მოუგებდა კიდეც, მეკარე **პეპე რეინას** ბრწყინვალე თამაში რომ არა. მოგეხსენებათ, შეხვედრა 0:0 დასრულდა. მატჩის შემდეგ „წითლების" მწვრთნელმა ჰოჯსონმა თქვა:

*„თუ მეკითხებით, შეუძლია თუ არა ამ „ლივერპულს" პრემიერლიგის ტიტულის მოპოვება, მე გპასუხობთ - არ ვიცი. ოთხი ტურის შემდეგ ასეთი კითხვის დასმა და მასზე სერიოზული პასუხის გაცემა მხოლოდ არასერიოზულ ხალხს შეუძლია. მე ნებისმიერ შეხედულებას პატივს ვცემ, მაგრამ გეტყვით, რომ კონკრეტული მიზნები არ დამისახავს. ერთადერთი, რისკენაც ვისწრაფვი, კარგად თამაშია. კარგი იქნება, შეძლებისდაგვარად ბევრ ქულას თუ დავაგროვებთ, ხოლო საბოლოოდ თავს სად ამოვყოფთ, გამოჩნდება. რაც შეეხება იმას, შევძლებთ თუ არა ჩემპიონობის მოპოვებას, ვიმეორებ - ამ კითხვაზე პასუხს არ გავცემთ, თუმცა სხვას მკითხაობას ნამდვილად ვერ ავუკრძალავ".*

**ბარი ფერგიუსონთან** შეჯახების გამო ლივერპულელთა კაპიტან **სტივენ ჯერარდს** სისხლდენა აუტყდა. ამის შესახებ ჰოჯსონმა ასე ბრძანა: *„დიდი არაფერი მომხდარა. ჯერარდი სერიოზულად არ დაშავებულა, უბრალოდ, ახლანდელ დროში სისხლის დანახვა ხალხში პანიკას იწვევს. სისხლდენა სტივენისთვის ოდნავი დაბრკოლება გახლავთ. ის შემდგომ შეხვედრებში ჩვეულებრივად მიიღებს მონაწილეობას".*

„ლივერპულის" ყოფილმა ვარსკვლავმა და „დეილი ტელეგრაფის" მიმომხილველმა **ჯეიმი რედნაპმა** კი მერსისაიდელთა ესპანელი ვარსკვლავი **ფერნანდო ტორესი** გააკრიტიკა: *„როდესაც ფეხბურთელი ბურთს ვერ ინარჩუნებს და მეტოქეს აბარებს, ფანებს კიდევ ესმით, მაგრამ როდესაც ტრიბუნებიდან აშკარად ჩანს, რომ ის არ ინდომებს, ეს უკვე გაუგებარი ხდება. ტორესი მთელი 45 წუთის განმავლობაში საშინლად თამაშობდა. ის ბურთისთვის არ იბრძოდა, არ იხსნებოდა და ასე შემდეგ. მე ეს ფეხბურთელი ძალიან მიყვარს და მისი თამაშის ნახვა ყოველთვის მსიამოვნებს, მაგრამ რაც „ბირმინგემთან" ვნახე, ასეთი არაფერი მინდა. რასაკვირველია, როდესაც თავდამსხმელი ცუდად თამაშობს, მეტოქის მცველების დამსახურებაც არის, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ იყო. ტორესი პასიურად და უგულოდ თამაშობდა".*

რედნაპის ეს კომენტარი ჰოჯსონმა უპასუხოდ არ დატოვა: *„ამ შეხედულებას ვერაფრით გავიზიარებ. ტორესმა გუნდისთვის ბევრი იმუშავა. დღევანდელი თამაშის მიწურულსაც გამოჩნდა, რომ ის მეტოქის დაცვაში მუდამ ეკალივით არის გაჩხერილი"*, - ბრძანა მწვრთნელმა, ჩვენ კი, რაკილა სიტყვამ მოიტანა, ბარემ რედნაპის სხვა შეფასებებსაც გადავხედოთ. რითი იყო ვეტერანის აზრით მეოთხე ტური საინტერესო?

### იან ჰოლოვეი

*იან ჰოლოვეი ერთი შეხედვით მოლიმარი, მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მე მის წინააღმდეგ მითამაშია და ვიცი, რომ ფეხბურთისადმი ძალიან სერიოზული დამოკიდებულება აქვს. ის „ბლექპულთან" ერთად თვალში საცემ წარმატებებს აღწევს და და რაც მთავარია, სტილით პირწმინდა ინგლისელი მწვრთნელია. ფეხბურთელებს მისი სწამთ.*

### ტრავმები

*როგორც ხედავთ, პრემიერლიგა, ტრავმების ახალმა ტალღამ მოიცვა. მიზეზი? ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის გამო გუნდებს სეზონის წინ მოსამზადებლად ცოტა დრო ჰქონდათ და ჯეროვნად ვერ ივარჯიშეს. სამწუხაროა, რომ ფეხი ბობი ზამორამაც მოიტეხა - ის ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ყოფილა.*

### ვესტ ჰემი

*ძნელი წარმოსადგენია, როგორ აპირებს „ვესტ ჰემი" ამ სეზონში გოლების გატანას. ოთხი თამაშიდან ოთხი მარცხი... საშინელებაა, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ არ ჩანს ის ორი-სამი ფეხბურთელი, რომელთაც სეზონში ათზე მეტი გოლი უნდა გაიტანონ. შაბათს სკოტ პარკერმა გულის მოსაფხანად ლამაზად კი შეაგდო „ჩელსის" კარში, მაგრამ ასეთი ლამაზი დარტყმებით მთელი სეზონი ფონს ვერ გახვალ.*

### სესკი

*დიდებულია, რომ სესკ ფაბრეგასი „არსენალში" ისევ საუცხოოდ ათამაშდა. ფეხბურთელმა მთელი ზაფხული „ბარსელონასთან" ფლირტში გაატარა, მაგრამ არ გაუშვეს და, როგორც ხედავთ, ამის გამო მან ცხვირი არ ჩამოუშვა. ის კვლავ საუცხოო პასებს აწვდის თანაგუნდელებს.*

### ენდით ფერგის

*ერთი ამბავი ატყდა იმის გამო, რომ ალექს ფერგიუსონმა „ევერტონთან" შეხვედრაში უეინ რუნი არ ათამაშა. დიახ, ამ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ქულები დაკარგა, მაგრამ მერწმუნეთ, ფერგიუსონი ნაბიჯს ტყუილად არ გადადგამდა. ის მოვლენათა სწორად შეფასების ოსტატია.*

**ილია ბაბუნაშვილი**



სტივენ ჯერარდს ბირმინგემში თავი გაუტეხეს

საუთჰემპტონი

# წმინდანთა დატემის შესაჩერებლად...

სულ რამდენიმე წლის წინათ „საუთჰემპტონი" ინგლისის პრემიერლიგაში ასპარეზობდა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. სწორედ ამ კლუბში აღიზარდა ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი **თეო უოლკოტი**. დღესდღეობით კი „წმინდანები" რანგით მესამე ლიგაში არიან და იქაც ცხრილის ფსკერთან ახლოს. ამ კლუბში უმძიმესი ფინანსური კრიზისია, თუმცა გულშემატკივარი ძველებურად უხვად ჰყავს.

ორშაბათს ამ გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი დაინიშნა: ჩემპიონშიფში მოასპარეზე „სკანთორპიდან" მოსულმა 45 წლის **ნაიჯელ ედკინსმა** კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ კაცმა ხსენებულ „სკანთორპში" 4 მეტად ნაყოფიერი სეზონი ჩაატარა - საკმაოდ ღარიბი კლუბი ორჯერ ალაზევა ინგლისის რანგით მეორე ლიგაში.

*„მიხარია, რომ „საუთჰემპტონი" ჩავიბარე. ჩემთვის დიდი პატივია ასეთი მდიდარი ტრადიციების კლუბში მუშაობა. „წმინდანების" მომავალს ოპტიმისტურად ვაფასებ. მთავარია, ჩვენი ერთგული გულშემატკივრის გახარება დავიწყოთ და მერე ნელ-ნელა დანარჩენსაც მოევლება. „საუთჰემპტონი" ბევრად მეტს იმსახურებს, ვიდრე ლიგა 1-ის აუტსაიდერობაა"*, - თქვა ედკინსმა, ვისაც, სხვათა შორის, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ერთბაშად რამდენიმე დიპლომი ჰქონია - ფსიქოლოგის, ბიზნესისა და ფინანსების სპეციალისტის, ფიზიოთერაპევტის, ასევე პროფესიული ფეხბურთის მენეჯმენტის სპეციალისტის.

**სლავა გასპაროვი**



# რეინა დროს ითხოვს

**პეპე რეინა** რომ არა, „ლივერპული" ბირმინგემიდან ქულასაც ვერ წამოიღებდა - ესპანელმა გოლკიპერმა ბრწყინვალედ ითამაშა ამ უმძიმეს გასვლით შეხვედრაში და თავისი გუნდის კარის მშრალად შენახვით მატჩის გმირის წოდებაც ალალად დაიმსახურა.

*„საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს ქულა გუნდმა მოიპოვა. წაგებას გადავურჩით და ცხადია, ეს ქულა აქტივშია ჩასაწერი. რაც პრემიერლიგაში ვარ, „ბირნინგემი" გასვლაზე ჯერ არ დაგვიმარცხებია. ეს არის კლასიკურად რთული გასვლა, „ლივერპულს" „ბირმინგემის" სტადიონზე წარმატების მიღწევა ტრადიციულად უჭირს*, - ამბობს რეინა, - *მოდი, ოპტიმისტები ვიყოთ. საჭიროა წინსვლა და არა უაზრო ოცნებებით ტვინის ამოტენა. ფაქტია, რომ ამ გუნდს ახალ სისტემაზე გადასვლისთვის დრო სჭირდება, ისევე, როგორც ახალი ფეხბურთელების ძველებთან შეთამაშება გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. რასაკვირველია, ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა, მაგრამ რეალობის ზღვარს ნუ გავცდებით. ჩვენი მიღწევების შეჯამება სეზონის ბოლოს მოხდება, იქამდე კი მოთმინება გვმართებს. აპრილი და მაისი - აი, როდის დადგება შეფასებების დრო".*

**სლავა გასპაროვი**

ჟურნალი რომელსაც კითხულობენ



სექტემბრის ნომერი

ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილაძე, ილია ბაბუნაშვილი, დათო ტურაშვილი, ელიშერ ბერაძე, ლაშა ბაბუნია, გაგა გოგრიჩიძე, დავით ქოჩიბრიძე, კოტე ჯანდიერი, ლელა ჯიყაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ნინო რეხვიაშვილი...

მოსაზრება

# მაკლარენმა, ისევ ინგლისელიო...

გერმანული „ვოლფსბურგის" თავკაცმა **სტივ მაკლარენმა** ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე არასრული ორი წელიწადი გაატარა, მაგრამ იმ პერიოდიდან სატრაბახო არაფერი დაიტოვა - მის მიერ გაწვრთნილი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მიღმა აღმოჩნდა, რაც ინგლისელ სპეციალისტს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა.

თუმცა, ეტყობა, მაკლარენი ყველა ინგლისელი მწვრთნელისთვის საოცნებო პოსტზე დაბრუნებას აპირებს, რაკი აცხადებს, როცა **ფაბიო კაპელოს** კონტრაქტი დაუმთავრდება, ჩვენი ეროვნული გუნდი ინგლისელმა მწვრთნელმა უნდა ჩაიბაროსო. იკითხავთ, სად ჩანს ამ სიტყვებში ნაკრებში დაბრუნების სურვილი და მართლებიც იქნებით, მაგრამ აი, რა ნიუანსი აღნიშნა მაკლარენმა:

*„ნაკრებს უნდა წვრთნიდეს ძალიან გამოცდილი ინგლისელი. ეროვნულ გუნდში წარმატების მისაღწევად ევროპული გამოცდილებაა საჭირო".*





აი, ესაა მთავარი - ინგლისელ მწვრთნელთაგან სერიოზულ ევროპულ გუნდში მხოლოდ სტივ მაკლარენი მუშაობს. ჯერ იყო და, ამ კაცმა ორი სეზონი ჰოლანდიური „ტვენტეს" სათავეში გაატარა - 2009 წელს მეორე ადგილზე გაიყვანა, ხოლო გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონობამდე მიიყვანა. დღეს კი ეს კაცი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბუნდესლიგურ „ვოლფსბურგს" წვრთნის. ასე რომ, როცა მაკლარენი აუცილებელ ევროპულ გამოცდილებაზე საუბრობს, ის უთუოდ საკუთარ თავს გულისხმობს. სხვა ინგლისელ მწვრთნელებს ევროპაში არ იწვევენ.

**სლავა გასპაროვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალის კვალდაკვალ


გამოსწორდება უეინ რუნი?

# სექსი, ფერგი და ლიგა

სანამ **უეინ რუნის** „ევერტონთან" შეხვედრიდან გაათავისუფლებდა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** მას „ტვინი გამოურეცხა". „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულ მწვრთნელს 24 წლის ფორვარდისთვის კატეგორიულად უთქვამს, ამიერიდან სწორ გზას აღარასოდეს გადაცდეო. როგორც ჩანს, ინგლისურმა მასმედიამ ჯეროვნად ვერ აღწერა, როგორ იმოქმედა ფერგიზე მისი საყვარელი ფეხბურთელის „სექსსკანდალმა" - მოგეხსენებათ, კვირაზე მეტია, რაც ბრიტანული გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ღალატობდა რუნი ფეხმძიმე ცოლს 1.200 გირვანქად ღირებულ მეძავთან.

მაინც რატომ არ ათამაშა ფერგიუსონმა რუნი შაბათს მისი ბავშვობის გუნდ „ევერტონთან"? თავად მწვრთნელმა განაცხადა, რომ არ უნდოდა „ევერტონის" ფანებს თავიანთი ოდინდელი კერპისთვის ტრიბუნებიდან შეურაცხყოფა მიეყენებინათ და დღეს, როდესაც მას ცხოვრებაში რთული პერიოდი უდგას, დამატებით დაეთრგუნათ, „იუნაიტედიდან" კი ხმა გამოვიდა, რომ სინამდვილეში ამით სერ ალექსმა რუნი სულელური საქციელისთვის დასაჯა. შოტლანდიელი გაბრაზებულია, თავდამსხმელმა თავი ასეთ დღეში რომ ჩაიგდო და მკაცრად მოსთხოვა, მომავალში სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამს, მეტი იფიქროს.

„ევერტონთან" შეხვედრამდე 24 საათით ადრე რუნიმ ჩვეულებრივ ივარჯიშა გუნდთან ერთად და სასტუმრო „ლოურიშიც" შეკრებაზე თანაგუნდელებთან ერთად იყო. სხვათა შორის, სასტუმრო „ლოური" ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც მას სკანდალური ამბები გადახდა თავს. ხოლო შაბათ დილას, როდესაც ფერგიუსონმა გამოაცხადა, რომ რუნი შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებდა (მანჩესტერს და ლივერპულს შორის 50 კილომეტრია და გუნდი თამაშზე შაბათს გაემგზავრა), მანჩესტერელთა ბანაკში ბევრმა გაოცებისგან პირი დააღო.

ეს ამბავი გასაოცარი იმიტომაც იყო, რომ თავად ფეხბურთელს ძალიან უნდოდა მოედანზე გასვლა. ბევრმა ისიც კი აღნიშნა, რომ ეს ფერგიუსონის საქციელს არ ჰგავდა - სერ ალექსი ჩვეულებრივ სხვანაირად იქცევა ხოლმე. იხსენებდნენ **დევიდ ბექჰემის, ერიკ კანტონას** და **კრისტიანო რონალდოს** შემთხვევებს, როდესაც მწვრთნელმა ისინი პირდაპირ მოედანზე, ბრძოლაში დააბრუნა, მაგრამ იმასაც დასძენენ, რომ მათი შემთხვევები ფეხბურთთან იყო დაკავშირებული და არა სექსთან.

მოგეხსენებათ, „ევერტონისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა 3:3 დასრულდა. მანჩესტერელები 3:1-ს იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა მსაჯის წამატებულ წუთებში მოახერხეს ორი გოლის გატანა და ანგარიშის გაქვითვა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონის ასისტენტმა **მაიკ ფილანმა** სიტყვასიტყვით ასე თქვა: „რუნი მზად არ იყო", ხოლო „ევერტონის" თავკაცმა, სერ ალექსის თანამემამულემ და უმცროსმა მეგობარმა **დევიდ მოიესმა** რუნის „შინ" დატოვებაზე ასე ბრძანა:

*„ყველაფერი ხალხის სამსჯავროზე კი არ უნდა გამოვიდეს. რა ხდება მისი ფეხბურთელების თავს, ყველაზე კარგად მწვრთნელმა იცის და სერ ალექსმაც გააკეთა ის, რაც მისი აზრით დღეს ყველაზე სწორი იქნებოდა. შესაძლოა, ფერგიუსონის გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ყველა, ვინც „იუნაიტედში" თამაშობს, ვალდებულია, ქცევის გარკვეულ ნორმებს დაემორჩილოს და ამასთან, არავის უნდა ეგონოს, აქაოდა ვარსკვლავი ვარ და ჩემთვის ყველაფერი შეიძლებაო".*

მაგრამ სად-სად და ჩემპიონთა ლიგაში ვარსკვლავების გარეშე არაფერი გამოდის. ჯობს ფეხბურთელი პრემიერლიგის შეხვედრაში დასაჯო, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მატჩში - ფერგიუსონმა კვირასვე გამოაცხადა, რომ რუნი „ოლდ ტრეფორდზე" „რეინჯერსთან" ითამაშებს. მართალია ფორვარდი „ევერტონთან" მოედანზე არ იყო, მაგრამ უქმადაც არ მჯდარა - მანჩესტერში დატოვებულ ფეხბურთელებთან ერთად კერინგტონის ბაზაზე ვარჯიშობდა. ისე კი, რომ იცოდეთ, გლაზგოელი ფანები იმუქრებიან, ბოლოდროინდელი ამბების გათვალისწინებით, მაგ რუნის ტრიბუნიდან ნახეთ, რა დღეში ჩავაგდებთო. თან, გაითვალისწინეთ, თამაში მანჩესტერშია.

**ილია ბაბუნაშვილი**

ბუნდესლიგა. ტურის გამოხმაურება

# მდიდრებიც ტირიან!

## ...აღლუმი კი ღარიბებს მიჰყავთ

**ფელიქს მაგათის** „შალკე", **კრისტიან გროსის** „შტუტგარტი", **სტივ მაკლარენის** „ვოლფსბურგი" - ამ ამბიციური მწვრთნელების ამბიციურმა გუნდებმა გერმანიის ჩემპიონატის ახალი სეზონი სამ-სამი წაგებით დაიწყეს და თუ ისტორიას დავაჯერებთ, ხსენებულ კლუბებს საშინელი პერსპექტივა ელით: გუნდები, რომლებიც ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში სამივე თამაშს აგებდნენ, ვერასდროს ხდებოდნენ გერმანიის ჩემპიონები. ეს განსაკუთრებით „შალკესთვისაა" მძიმე პერსპექტივა, რადგან ამბიციური სამეულიდან, რომლებსაც ქულების გრაფაში ჯერ კიდევ ნულები უწერიათ, ჩემპიონობაზე პრეტენზიას ყველაზე მეტად სწორედ გელზენკირხენული კლუბი აცხადებს (უფრო სწორად, აცხადებდა).

მოკლედ რომ ვთქვათ, ბუნდესლიგური საგიჟეთი გრძელდება. იმ დროს, როცა „პატარა გუნდები" „ჰანოვერი", „კაიზერსლაუტერნი" და „მაინცი" სამი ტურის შემდეგ საუკეთესო ხუთეულში არიან, ფინანსურად მძლავრი და ამბიციური ტრიო ცხრილის ფსკერზეა.

კრისტიან გროსი „შტუტგარტში" წინა სეზონის პირველი წრის შემდეგ დაინიშნა (**მარკუს ბაბელი** შეცვალა) და მის ხელში შვაბებმა მეორე წრე იმდენად კარგად ჩაატარეს, რომ ახალ სეზონში VFB-ისგან მინიმუმ ომახიან სტარტს ველოდით. ამ უქმეებზე „ფრაიბურგთან" განცდილი მარცხის (1:2) შემდეგ კი, „შტუტგარტი" უმძიმეს კრიზისშია. თვითონ განსაჯეთ: შვაბებს ასეთი ცუდი სტარტი ბუნდესლიგაში არასდროს ჰქონიათ. გროსი კი ამბობს, ამ კრიზისს ყველანი ერთად გადავიტანთო, მაგრამ ახლა „შტუტგარტისთვის" გაცილებით მძიმე კვირები იწყება: გუნდს სამ კვირაში 6 თამაშის ჩატარება მოუწევს. **მაურო კამორანეზით** გაძლიერებულ შვაბებს მომდევნო გამოცდა ხუთშაბათს, ევროპის ლიგაში, ბერნის „იანგ ბოიზთან" ელით, მერე კი ბუნდესლიგაში მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ეთამაშებიან.

შავ დღეშია ბუნდესლიგაში დასაქმებული პირველი ინგლისელი მწვრთნელი **სტივ მაკლარენიც**. დიდი ხანი არაა, რაც სტივი „ვოლფსბურგს" ხელმძღვანელობს და მინიმუმ დორტმუნდის „ბორუსიასთან" წაგების (0:2) შემდეგ მან უკვე გაამართლა თავისი მეტსახელი: სტივი „ლუზერია"! ზედიზედ მესამე მარცხისა და უქულოდ დარჩენის გამო მაკლარენმა თქვა, ვიცოდი, რომ დასაწყისი რთული იქნებოდა, მაგრამ ასეთ კატასტროფას ნაღდად ვერ წარმოვიდგენდიო.

რაც შეეხება „შალკეს": გელზენკირხენულ კლუბში მოჩვენებითი სიმშვიდეა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მწვრთნელიც და მენეჯერიც **ფელიქს მაგათია**. „აბენდცაითუნგმა" ორშაბათის ნომერში სავსებით სამართლიანად დასვა შემდეგი კითხვა: ვის შეუძლია მაგათის გაგდება? საქმეც ისაა, რომ არავის, რადგან მილიონების დახარჯვის შემდეგ, ფელიქსის გათავისუფლებას ვერავინ გაბედავს, რადგან მაგათს „შალკესთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და ისედაც ვალებში ჩაფლული გუნდი მის კომპენსაციას ნაღდად ველარ აუვა. „შალკე" დღეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს (სტუმრად „ლიონთან"), მომავალ უქმეებზე კი დორტმუნდის „ბორუსიასთან" უწევს რურის რურის დერბი და თუ „ხუმარებმა" ეს თამაშები მაინც მოიგეს, მნიშვნელოვნად განიტვირთებიან. მაგათი კი ისედაც განტვირთულია.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ტიმ ვიზე (ვერდერი) - პეტრი პასანენი (ვერდერი), პედრო ჟერომელი (კიოლნი), ისააკ ვორსა (ჰოფენჰაიმი), მარსელ შმელცერი (ბორუსია დ) - ალექს მაიერი (აინტრახტი), ნური შაჰინი (ბორუსია დ) - მარკო მარინი (ვერდერი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი) - ია კონანი (ჰანოვერი), თეოფანის გეკასი (აინტრახტი)**

ბრემენელთა კიპერმა „ბაიერნთან" მატჩში ძალიან კარგად ითამაშა და ძველი **ვიზე** გაგვახსენა. ტიმმა საერთო ჯამში შვიდი დარტყმა მოიგერია, **რიბერის, მიულერსა** და **კროოსს** კი სულაც მკვდარი ბურთები აუღო. „კიოლნის" დაცვის ბურჯი **პედრო ჟერომელი** პირველ ორ ტურში ტრავმირებული გახლდათ და დაბრუნდა თუ არა მოედანზე (ეს ამ უქმეებზე, „ზანკტ პაულისთან" მატჩში მოხდა) „თხების" დაცვა მაშინვე დასტაბილურდა - ჟერომელი კარგად გაუმკლავდა „კიცელთა" ფორვარდ **მარიუს ებერსს** და მოედანზე საუკეთესო იყო. „ჰოფენჰაიმის" მცველი **ისააკ ვორსა,** აგერ უკვე ორი თამაშია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, რითაც ის „ჰოფეს" წარმატებების ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლოა. დორტმუნდის „ბორუსიას" საყრდენმა ნახევარმცველმა **ნური შაჰინმა** „ვოლფსბურგთან" მატჩში **გუუს ჰიდინკზე** ჯავრი იყარა - თურქეთის ნაკრების თავკაცმა შაჰინი არც ერთ საკვალიფიკაციო მატჩში არ ათამაშა და განრისხებულმა ფეხბურთელმა ჰოლანდიელ მწვრთნელს შაბათს დაუმტკიცა, რომ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია - შაჰინი „ვოლფსბურგთან" შეუდარებელი იყო და თანაც, ულამაზესი გოლიც გაიტანა.

### ტურის გმირი

#### თეოფანის გეკასი (აინტრახტი)

ბერძენმა თავდამსხმელმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო: პირველ ტურში მან იმდენად ამაზრზენად ითამაშა, რომ „კიკერისგან" 5 ბალი მიიღო და მეორე ტურში ძირითად შემადგენლობაში აღარც ათამაშეს. მან ვერც საბერძნეთის ნაკრებში გაიბრწყინა, რის გამოც საყოველთაო კრიტიკის ობიექტი გახდა, მაგრამ „აინტრახტის" თავკაცმა **მიხაელ სკიბეს** გეკასზე ცუდი სიტყვა არ დასცდენია. პირიქით, მან თქვა, გეკასის მეიმედებაო. როგორც ჩანს, ამან ბერძენზე კარგად იმოქმედმა: „გლადბახის" კარში გატანილი ორი გოლი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს.

### საუკეთესო ფეხბურთელები*

| ფეხბურთელი | კლუბი | საშუალო შეფასება |
|---|---|---|
| 1. ივო ილიჩევიჩი | კაიზერსლაუტ. | 2.0 |
| 2. ანდრე შიურლე | მაინცი | 2.25 |
| 3. მაჰამადუ იდრისუ | ბორუსია (მ) | 2.33 |
| 4. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.33 |
| 5. სრდიან ლაკიჩი | კაიზერსლაუტ. | 2.33 |

*შენიშვნა: * - სამი ტურის შემდეგ „კიკერის" შეფასებების მიხედვით*

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 4 | 0 | 4 |
| 2. სრდიან ლაკიჩი | კაიზერსლაუტ. | 4 | 0 | 4 |
| 3. მაჰამდუ იდრისუ | ბორუსია (მ) | 2 | 2 | 4 |
| 4. ივო ილიჩევიჩი | კაიზერსლაუტ. | 2 | 2 | 4 |
| 5. მოჰამედ აბდელაუ | ჰანოვერი | 2 | 1 | 3 |

**გოტფრიდ ლენცი**


გაჭირვებული მდიდრები: სტივ მაკლარენი (ვოლფსბურგი), კრისტიან გროსი (შტუტგარტი) და ფელიქს მაგათი (შალკე)

ამბები

## ბალაკის ექვსკვირიანი შოკი

გუშინ „ლევერკუზენის" ექიმებმა **მიხაელ ბალაკს** საბოლოო დიაგნოზი დაუსვეს: 33 წლის ნახევარმცველმა ამ უქმეებზე, „ჰანოვერთან" მატჩში (2:2) ტრავმა მიიღო და მინიმუმ ექვსი კვირა დაისვენებს. მოკლედ, ბალაკის უიღბლობა უკვე ყველანაირ ჩარჩოებს გასცდა: როგორც იცით, მიხაელი ახლახან გამოჯანმრთელდა, წინა ტრავმის გამო კი სულაც მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა. გერმანიის ნაკრების კაპიტანი ფორმის აღდგენას და ბუნდესგუნდში დაბრუნებას აპირებდა და ახლა ისევ დაშავდა.

*„ძალიან ვწუხვარ მიხაელის გამო. ბოლო დროს მას უდიდესი უიღბლობა დასჩემდა, რაც ძალიან ცუდია. მიხაელს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ,"* - ეს ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვის** სიტყვებია.

## შიურლე ლევერკუზენისკენ?

ახალგაზრდა თავდამსხმელი **ანდრე შიურლე** „მაინცში" ბრწყინვალედ ასპარეზობს და შაბათის ნომერშიც ვწერდით, რომ მისთვის რამდენიმე გრანდი იბრძვის, მათ შორის, მიუნხენის „ბაიერნი" და „მანჩესტერ იუნაიტედიც". „კიკერის" ინფორმაციით, შიურლეს გადაბირებასთან ყველაზე ახლოს „ლევერკუზენია". მეტიც, ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ ანდრეს „ბაიერში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია და 19 წლის თავდამსხმელი მომავალ ზაფხულს „ფარმაცევტებში" ითამაშებს. „კიკერის" ცნობით, „ლევერკუზენი" „მაინცს" 10 მილიონ ევროზე შეუთანხმდა.

**გოტფრიდ ლენცი**

## ქართული სპორტი

ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი




# ბოლო და ნარუმატებელი

ქართველი ძიუდოისტები აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც ისევე წარუმატებლად გამოვიდნენ, როგორც წინა დღეებში დანარჩენ წონებში. ეს შეჯიბრება გუშინ ჩატარდა, ტოკიოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო დღეს. წინასწარი მონაცემებით, მასში ოთხ ქართველს უნდა ეჭიდავა, მაგრამ **ლაშა გუჯეჯიანმა** მონაწილეობა იუარა და სამეულის იმედად დავრჩით. თუმცა რაღა იმედი - მათაც ნაჩქარევად დაასრულეს ტურნირში მონაწილეობა. **ლომერ ყორყოლიანმა** პირველივე შეხვედრა ვაზარით დათმო ესპანელ **ანგელ პარასთან, ადამ ოქრუაშვილმა** და **სოსო მსხალაძემ** კი თითო შეხვედრა მოიგეს. ოქრუაშვილმა დამატებით დროში გაფრთხილებით მოუგო მასზე ლამის ორჯერ უფრო მაღალ პოლონელ **იანუშ ვოინაროვიჩს**, მსხალაძემ კი ავსტრალიელი **ჯოშუა დაჰლი** წმინდად დაამარცხა. მომდევნო წრეში ოქრუაშვილმა იაპონელ ოლიმპიურ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **კეიჯი სუძუკისთან** წააგო, მსხალაძემ - ასევე იაპონელ **კაზუჰიკო ტაკაჰაშისთან.**

აბსოლუტური პირველობა იაპონელთა დიდი უპირატესობით წარიმართა - ნახევარფინალში სამი მათგანი გავიდა - სუძუკი, **ჰოროკი ტაჩიამა** და **დაიკი კამიკავა**, მსხალაძის მომგებ ტაკაჰაშის კი ფინალის გზა ფრანგმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **ტედი რინერიმ** გადაუღობა. ამდენად, გადამწყვეტ ეტაპზე ფრანგი მარტო დარჩა სამ იაპონელთან და ასეთ უთანასწორო ბრძოლაში შეეცადა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მეხუთედ მოპოვებას. მიზანთან ახლოსაც იყო - ტაჩიამას დამაჯერებლადაც მოუგო და ფინალშიც გავიდა. მეორე ნახევარფინალში თბილისის წლევანდელ მსოფლიოს თასზე ნაჭიდავებმა და ჯერ ოქრუაშვილთან, მერე კი **ზვიად ხანჯალიაშვილთან** დამარცხებულმა კამიკავამ (თბილისში ის მეხუთეზე გავიდა, ხანჯალიაშვილთან კი პარიზშიც წააგო) სუძუკი დაიპონა, ფინალში კი „მამლის ყივილიც" შეწყვიტა - რინერი დამატებით დროში დაამარცხა და მეხუთედ გაჩემპიონების დიადი ოცნებაც ჩაუხშო. კამიკავა წლეულს ნამდვილად არ ატარებდა საუკეთესო სეზონს, თუმცა ჯერჯერობით კარიერის ყველაზე დიდ წარმატებას ახლა მიაღწია.

ქალთა ტურნირში კვლავ მოეცარა ხელი რუსეთის სახელით მოასპარეზე **თეა დონღუზაშვილს** - მესამეზე გავიდა, მსოფლიოს ჩემპიონობა კი ისევ აუხდენელ ოცნებად ურჩება.

**კვარცხლბეკი**

ვაჟები. აბსოლუტური: 1. დაიკი კამიკავა (იაპონია), 2. ტედი რინერი (საფრანგეთი), 3. კეიჯი სუძუკი, ჰიროკი ტაჩიამა (იაპონია).

ქალები. **აბსოლუტური: 1. მიკა სუგომოტო (იაპონია), 2. ქიან ქინი (ჩინეთი), 3. მეგუმი ტაჩიმოტო (იაპონია), თეა დონღუზაშვილი (რუსეთი).**

# ფიქრები და მოსაზრებები ჩემპიონატის შემდეგ

ახლა, როცა მსოფლიოს პირველობა უკვე დამთავრდა, გარკვეული შეფასებები უკვე შეიძლება. ჩვენმა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ კრახით დაასრულა გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რაც პირდაპირ კავშირშია ქართულ ძიუდოში ბოლო დროს მომხდარ ამბებთან. თუმცა შარშანდლისგან განსხვავებით, ამჯერად ამ ნაგებას ძიუდოს ფედერაციაშიც და ნაკრებშიც ძირფესვიანი ცვლილებები მოჰყვება. ჩვენი ინფორმაციით, შეიცვლება ყველა და ყველაფერი. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო საჭიდაო სახეობებში, როგორც სტრატეგიულებში, გაცილებით ფართო და გლობალურ რეფორმას გეგმავს. სამწვრთნელო შტაბის შეცვლა-განახლებაზე სამივე ნაკრებშია ლაპარაკი, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი მხოლოდ ძიუდოშია, თუმცა, სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნას არც სხვებს აპატიებენ. სამინისტრო გეგმავს ნაკრებებში ისეთი სისტემა ჩამოაყალიბოს, რომელიც მთავარ მწვრთნელს მართვის ბერკეტებს ხელიდან გამოაცლის და მხოლოდ სამწვრთნელო საქმეს დაუტოვებს. მიზეზთა გამო, დღემდე ისე ხდებოდა, რომ მწვრთნელი ზრუნავდა შეკრების მოწყობაზე, მენიუს შედგენაზე, მერე თვითონვე დადიოდა ბაზარში ხორცის საყიდლად, თავადვე ზრუნავდა საკონსულოებში საბუთების შეტანაზე, ვიზების მიღებასა და ათასგვარ ამგვარ დეტალზე. ამ სისტემამ სათავე იმ ძნელბედობის პერიოდიდან აიღო, როცა ხელისუფლებას სპორტისთვის არ ეცალა და ცალკეული სახეობის ბედი ენთუზიასტებზე იყო დამოკიდებული. მაშინ ფედერციებში პრეზიდენტები ნომინალურად არსებობდნენ, თორემ მათ უმეტესობას თვიდან თვემდე თვალითაც ვერ ხედავდნენ და საქმის მთელი სიმძიმე, მთელი მუშა პროცესი მწვრთნელების მხრებზე გადადიოდა. მას შემდეგ, რაც ნაციონალურმა ხელისუფლებამ ფედერაციების სათავეში საკუთარი ხალხი მოიყვანა, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ მწვრთნელებს მაინც ბევრი საფიქრალ-საზრუნავი რჩებოდათ, ვინაიდან ჩვენთან მენეჯერის ინსტიტუტი არ არსებობს. ამას ისიც დაემატა, რომ დროთა განმავლობაში მწვრთნელების ირგვლივ კლანურ-ახლობლური წრე შეიკრიბა, სადაც უცხოსთვის ან განსხვავებულად მოაზროვნისთვის შეღწევა შეუძლებელი ხდებოდა. ცხადია, ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ბევრგან ნაკრებში სპორტსმენის დაყენებაც ამ კლანის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, ანუ წინა პლანზე გამოდიოდა სუბიექტური მომენტი. დღევანდელმა სამინისტრომ სწორედ ამ სისტემის მოშლა მოინდომა და განიზრახა, ამიერიდან შემოიღოს ტექნიკური დირექტორის თანამდებობა, რომელიც იქნება ყველა ასაკობრივი ნაკრების კურატორი, ცალკეულ გუნდებთან კი კვლავაც მთავარი მწვრთნელები იმუშავებენ, ოღონდ ისინი ამ დირექტორთან შეთანხმების გარეშე, ანუ ერთპიროვნულად გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ. ამით მწვრთნელებს სამეურნეო საქმეებს და მართვის სისტემას ჩამოაშორებენ და მათი ერთადერთი მოვალეობა სავარჯიშო პროცესის სრულყოფილად წარმართვა იქნება, ანუ იმ ვიზებზე, შეკრების მოწყობასა და მენიუს შედგენაზე სწორედ ის დირექტორი იზრუნებს და არა მწვრთნელი. ცხადია, ერთპიროვნულ მმართველობას არც დირექტორს ჩააბარებს ვინმე - ის ერთდროულად იქნება პასუხისმგებელი აქეთ მწვრთნელთა საბჭოსა თუ მსგავს გაერთიანებასთან, იქით – ფედერაციასთან, ანუ შედეგები თუ არ იქნება, მასაც მოეთხოვება პასუხი. ეს რეფორმა მიმართულია მიკერძოების, სუბიექტური მომენტის გამოსარიცხად და იდეაში მართლაც კარგია, ხოლო პრაქტიკულად როგორ განახორციელებენ, ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ცხადია, სახელმწიფოს საზოგადოებრივი ფედერაციის საქმიანობაში ჩარევის უფლება იურიდიულად არ გააჩნია, მაგრამ საამისოდ მაინც მოიძებნება ბერკეტები. მაგალითად, იმ შემთხვევისთვის, თუ ფედერაცია თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, ანუ არ ხდება სახეობის განვითარება, არაა მედლები, ნაკრები ვერ აღწევს წარმატებას. ამასთან, ვიდრე ფედერაციები ფინანსურად ცენტრალურ ბიუჯეტზე იქნებიან დამოკიდებულნი, მთავრობა ჩასარევად მუდამ მოძებნის საჭირო გზას. ესეც არ იყოს, საქართველოში ყველაფერი როგორც ხდება, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, განვითარების ამ საწყის ეტაპზე ცენტრალიზებული ჩარევა ნამდვილად საჭიროა, თორემ ხშირ შემთხვევაში ფედერაციები თუ ნაკრებები მართლაც ფეოდალურ სამფლობელოებად გადაიქცნენ. ოღონდ აქ ხელისუფლებამაც უნდა დაიცვას ოქროს შუალედი - ჩარევა არ უნდა გადაიზარდოს დიქტატში.

რაც ბოლოს ვთქვით, ეს მხოლოდ საჭიდაო სახეობებს არ ეხება და მთავრობა სხვაგანაც აპირებს ძირეულ რეფორმებს. კერძოდ, ბევრი ფედერაციის „უძრაობის ეპოქიდან" გამოყვანა განუზრახავს და სულ მალე ზოგიერთ ფედერაციაში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებსაც ვიხილავთ. ერთ-ერთი უპირველესი მძლეოსნობის ფედერაციაა, სადაც, საკმაოდ სანდო წყაროს ცნობით, უკრაინაში მოსაქმე ქართველი ბიზნესმენი მოდის, რომელსაც თავად გამოუთქვამს ქართულ მძლეოსნობაში ფულის დაბანდების სურვილი. მძლეოსნობა ის სახეობაა, სადაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოლიმპიადაზე რაოდენობრივად სხვებზე გაცილებით მეტი მედალი თამაშდება, ჩვენში კი „სპორტის დედოფალი" ყოველმხრივ პატივაყრილი და გერის როლშია. ამასთან, მძლეოსნობა, საფუძველია სპორტის სხვა სახეობებისთვის. გავიხსენოთ ფეხბურთელ **ლევან ყენიას** მაგალითი, რომელიც ესპანურ „ლევანტეში" ერთი შეხედვით უჩვეულო მიზეზით დაიწუნეს - სწორად ვერ დარბისო!

სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ ბევრია ისეთი ფედერაცია, რომლებიც ოლიმპიურ ციკლში ისეთ სპორტსმენს ვერ ზრდიან, დამოუკიდებლად რომ მოიპოვოს ოლიმპიადის ლიცენზია. უახლოეს მომავალში ასეთი „უძრავი" ფედერაციების ჯერიც დადგება.

ისევ ძიუდოს დავუბრუნდეთ, სადაც აქტიურად განიხილება ახალ მწვრთნელთა საკითხი. ჩვენი ინფორმაციით, ამაზე ჯერ გამოკვეთილი პოზიცია არც ხელისუფლებაშია, თუმცა საკმაოდ სანდო წყაროებიდან ორი ზოგადი ინფორმაცია მაინც მივიღეთ. ერთია უშუალოდ ხელისუფლებიდან, ანუ „ზევიდან" მიღებული ცნობა, მეორე კი ძიუდოს სამყაროში გავრცელებული, ანუ „ქვევიდან" მიღებული. „ზევიდან" მოსული ცნობით, ტოტიკაშვილის შემცვლელად ევროპელი სპეციალისტი განიხილება, ოღონდ ვინაობა არც ჩვენ ვიცით. ამბობენ, რომ ის ოლიმპიური ჩემპიონია. სხვა წყარომ ჩემპიონობის საკითხი კიდევ უფრო დაგვიკონკრეტა და მისი ვინაობის გამოცნობა ლამის 10-პროცენტიანი ცდომილებით შეგვეძლო, მაგრამ, რადგან გარკვეულ დეტალებში ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია, აჯობებს, ჯერ დაკონკრეტებისგან თავი შევიკავოთ. სამაგიეროდ, გაცილებით ზუსტია „ქვემოდან" მიღებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ტოტიკაშვილის შემცვლელად, სხვებთან ერთად, ახალგაზრდულის თავკაცის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ოლიმპიურ მედალოსნის **სოსო ლიპარტელიანის** კანდიდატურა განიხილება. ვიმეორებთ - განიხილება, მაგრამ გადაჭრით არაფერია ცნობილი. ცხადია, ამ ვარიანტის გასვლის შემთხვევაში დღის წესრიგში ახალგაზრდულის ახალი თავკაცის საკითხიც დგება - ძიუდოს სამყაროში გავრცელებული ხმებით, ამ პოსტზე **გია გუგავას** კანდიდატურა მოიაზრება. ინფორმაციის გადამოწმება ლიპარტელიანთან ვცადეთ, რომელმაც განგვიცხადა, რომ ამაზე მას არავინ დალაპარაკებია, თუმცა ეს ხმები მასაც სმენია. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, მაგრამ გუგავას ვარიანტი რეალური გვგონია ერთი მიზეზის გამო - ისაა ერთადერთი სპეციალისტი, რომელიც ჩოქბჯენში ჭიდაობაში ავარჯიშებს. ჩვენთვის „აქილევსის ქუსლად" ქცეულ ამ კომპონენტში, რაც განსაკუთრებით საგრძნობი ევროპელებთან ჭიდაობაშია (თუმცა არც აზიელები გვაკლებენ ხელს), უკვე ზრდასრული სპორტსმენების ვარჯიში ძალზე არაეფექტურია, აი, ახალგაზრდებთან კი სხვაა - ეს მაინც ზრდა-განვითარების და ჩამოყალიბების ეტაპია. ასეა თუ ისე, გუგავა ნაკრებში საჭირო კაცი გვგონია.

თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და ეს კანდიდატურები განხილვის დონეზეა, ვითარება კი ნებისმიერ წამს შეიძლება შეიცვალოს. ჩვენი ნაკრები იაპონიიდან 16 სექტემბერს დაბრუნდება და ბევრი რამ ამის შემდეგ გაცხადდება.

**ირაკლი თავაძე**

სუმოს სამყარო. აკი ბაშო (ტოკიო)



# ისევ სამი გამარჯვება ტოკიოში

ასეთი რამ პირველად მოხდა, სამმა ქართველმა სუმოისტმა უმაღლესი დივიზიონი ზედიზედ ორ-ორი მოგებით დაიწყო. შემოდგომის ბაშოს წარმატებული დასაწყისი იმედს გვიტოვებს, რომ ქართველი ფალავნები ამჯერად მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ. მაკუუჩის დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა წევრი 22 წლის მე-2 მაეგაშირა **ტოჩინოშინია (ლევან გორგაძე)**. ასაკის მიუხედავად, ლევანმა უკვე მოასწრო კომუსუბის ტიტულის მოპოვება და ჩამოქვეითებაც. ახლა კი ის დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად იბრძვის.

ასპარეზობის მე-2 დღეს ტოჩინოშინის მეტოქე 27 წლის მონღოლი მე-4 მაეგაშირა **ტოკუსეგავა** იყო. თავიდან აზიელმა ჩასჭიდა მავაშში ხელი ქართველს, თუმცა ღონიერმა ტოჩინოშინმა ხელი გააშვებინა და უვატენაგეს ილეთი განახორციელა. მართალია, მონღოლი არ დაცემულა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ჩვენებურს მისი გაყვანა რკალიდან (იორიკირი) აღარ გასჭირვებია.

მოიგო აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირა „შავმა ზღვამაც". **კოკაის (ლევან ცაგურია)** მეტოქე მე-7 მაეგაშირა **კიტატაიკი** იყო. ჩვენებურმა, ცოტა არ იყოს, კურიოზული გამარჯვება მიითვალა - მართალია, ჰატაკიკომის ილეთი (მეტოქეს გამოეცალა) შეასრულა, მაგრამ კიტატაიკიმ მაინც მოასწრო დარტყმა. ორი გოლიათი ერთდროულად „გაფრინდა" დოჰიოს სხვადასხვა კუთხეში, იაპონელმა წამის მეათედით ადრე მოადინა ზღართანი დოჰიოზე.

ელიტაში ყველაზე მძიმე **გაგამარუა (თეიმურაზ ჯუღელი)**, ის 200 კილოგრამს იწონის. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა მე-15 მაეგაშირას მძლავრი ოშიდაშით მაყურებელთა დარბაზში მოესროლა 36 წლის ვეტერანი **ტოიოძაკურა.**

დიდმა ჩემპიონმა (იოკოძუნა) **ჰაკუჰომ** პროფესიულ კარიერაში ზედიზედ 49-ე გამარჯვება იზეიმა. 25 წლის დიდი მონღოლი ისეთი ძალით ეკვეთა თანამემამულე **ტოკიტენკუს**, რომ 30 წლის ექსკომუსუბი დოჰიოს ცენტრშივე დაეცა. ჩემპიონთა (ოძეკი) ამქარში კი პირველი მარცხია, წააგო 25 წლის ესტონელმა **ბარუტომ**, რომელსაც ახალგაზრდა იაპონელმა **კისენოსატომ** აჯობა. ევროპელმა ყველაფერი კარგად შეასრულა, მაგრამ გადამწყვეტი მიწოლისას დაიბნა და კისენოსატო ველარ გაიყვანა რკალიდან, რითაც ბრწყინვალედ ისარგებლა იაპონელმა. მოიგეს სხვა ოძეკებმა: მონღოლმა **ჰარუმაფუჯიმ**, იაპონელმა **კაიომ** და ბულგარელმა **კოტოოშუმ**.

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე აღმოსავლეთის ოძეკი ჰარუმაფუჯია (მისი ყოფილი საბრძოლო სახელია - **ამა**), რომელიც 26 წლისაა და „სულ რაღაც" 130 კილოგრამს იწონის. ლევანი მასზე თითქმის 30 კილოგრამით მძიმეა. ტიტულოვან მონღოლთან ტოჩინოშინის ბალანსი ჯერ უარყოფითია - 2:3.

„შავი ზღვა" მე-9 მაეგაშირა **ბუშუიამას** (0-2) შეხვდება. როგორც წესი, 34 წლის მეტოქეს კოკაი უგებს ხოლმე - 7:1. გაგამარუს მეტოქე ტიტულოვანი **ტოსანოუმია** (1-1). 38 წლის იაპონელი ახლა მე-16 მაეგაშირაა, თუმცა 90-იანი წლების ბოლოს, როცა გაგამარუ სკოლაში სწავლობდა, სეკივაკეს ტიტულს ფლობდა. თეიმურაზი წლეულს უკვე ორჯერ შეხვდა ტოსანოუმის და ორივეჯერ აჯობა.

**II დღე:** ჰაკუჰო-ტოკიტენკუ (ჰატაკიკომი), კოტოოშუ-კაკურიუ (იორიკირი), კისენოსატო-ბარუტო (ოშიდაში), კაიო-ვაკანოსატო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ჰომაშო (სუსოტორი), ტოჩიოძანი-კიოკუტენჰო (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი), ტოჩინოშინი-ტოკუსეგავა (იორიკირი), ამინიშიკი-ჰაკუბა (ოშიტაოში), ტაკამისაკარი-მოკონამი (ცუკიოტოში), ასასეკირიუ-ტოსაიუტაკა (იორიტაოში), კოკაი-კიტატაიკი (ჰატაკიკომი), ჰოკუტორიკი-ბუშუიამა (ჰიკიოტოში), კიმურაიამა-შიმოტორი (სუკუინაგე), იოშიკაძე-კორიუ (სუკუინაგე), ტაკეკაძე-კოტოკასუგა (ჰიკიოტოში), სოკოკურაი-ტოჩინონადა (უვატენაგე), კასუგაო-ტამავაში (იორიკირი), კიოკუნანკაი-კაკიძოე (ოკურიდაში), გაგამარუ-ტოიოძაკურა (ოშიდაში), ტოიონოშიმა-ტოსანოუმი (ჰატაკიკომი).

**III დღე:** ჰაკუჰო-ვაკანოსატო, ბარუტო-ტოკიტენკუ, კაიო-ტოჩიოძანი, ტოჩინოშინი-ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ-ჰომაშო, არანი-კაკურიუ, კისენოსატო-კოტოშოგიკუ, კიოკუტენჰო-ტაკამისაკარი, ტოკუსეგავა-ამინიშიკი, ჰაკუბა-ასასეკირიუ, მოკონამი-კიტატაიკი, ტოსაიუტაკა-კიმურაიამა, კოკაი-ბუშუიამა, ჰოკუტორიკი-იოშიკაძე, შიმოტორი-კოტოკასუგა, კორიუ-კასუგაო, ტაკეკაძე-სოკოკურაი, ტოჩინონადა-კაკიძოე, ტამავაში-ტოიოძაკურა, გაგამარუ-ტოსანოუმი, კიოკუნანკაი-მიაბიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარიღი კომენტარით

# ვასილ ელაშვილი



ქართულ სპორტს, ისევე, როგორც ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროს, თავისი გამოჩენილი მეცნიერები და მკვლევარები ჰყავდა და ჰყავს. მათ შორისაა მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი **ვასილ ელაშვილი,** რომელიც 1914 წლის 14 სექტემბერს დაიბადა. გარდაიცვალა 1997 წელს.

**გიული კახიძე**, პროფესორი: „ბატონმა ვასილმა სერიოზული გამოკვლევები მიუძღვნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებს. გამოაქვეყნა 150-მდე ნაშრომი. 26 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრას, საფუძვლიანად გამოიკვლია ქართული ხალხური სპორტი, მათ შორის საბრძოლო ხელოვნების უძველესი სახეობები. ამ თემატიკას მიუძღვნა არაერთი წიგნი და მონოგრაფია. მიენიჭა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, იყო პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1980 წელს აირჩიეს იუნესკოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომისიის წევრ-კორესპონდენტად.

## მილოცვა

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ჯემალ ლორიას**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებებს ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ვულოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს.

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტები



# საქართველოსა და იაპონიის ეოკ-ებმა მემორანდუმი გააფორმეს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აგრძელებს სხვადასხვა ქვეყნის ეოკ-ებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და საქმიანი ურთიერთობების განმტკიცებას. ევროპის რამდენიმე ქვეყნის ეოკ-ებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, მათ რიცხვს კი ახლა იაპონიაც შეემატა.

ტოკიოში ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ცუნეკაზუ ტაკედამ** და მისმა ქართველმა კოლეგამ **გია ნაცვლიშვილმა** მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი,** იაპონიის ეოკ-ის აღმასკომის წევრები, ვიცე-პრეზიდენტი **მასატო მიზუნო,** რომელიც მსოფლიოში ცნობილი სპორტული ბრენდის „მიზუნოს" პრეზიდენტია.

დოკუმენტი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს და ორი ქვეყნის ეოკ-ებს შორის გრძელვადიან თანამშრომლობას უყრის საფუძველს.

მემორანდუმი ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის ოლიმპიური პრინციპების განმტკიცებას, ეფექტურ თანამშრომლობას მაღალი მიღწევების სპორტში და სპორტი ყველასათვის პროცესში, ათლეტებისა და ხალხების დაახლოებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპორტსმენებისა და მწვრთნელების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, სხვადასხვა სპორტის სახეობაში ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების მოწყობას და ა.შ.

მემორანდუმი იმოქმედებს ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა მხარეები უფლებას იტოვებენ, 6 თვით ადრე დოკუმენტს გადახედონ და სურვილის შემთხვევაში კვლავ გაახანგრძლივონ მისი მოქმედების ვადა.

სეოკ-ის პრესსამსახური

დიდი სპორტის კარიბჭესთან

# მსაჯის შეცდომა სახელმძღვანელოში შევიდა



ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ყველაზე დრამატული ფინალი 60 კგ-ში გაიმართა. ერთმანეთის წინაშე საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების ფალავნები **თენგიზ ჩოჩიშვილი** და **ანვარ გაზიმაგომედოვი** წარდგნენ.

**ნუგზარ სხირელი:** *„პირველი პერიოდის მიწურულს, როდესაც თენგიზი 1:0-ს იგებდა, მორიგი ფანდი წამოიწყო და, მართალია, კონტრილეთიც მიიღო რუსისგან, მაგრამ შეხვედრის სამივე მსაჯის გადაწყვეტილებით ანგარიში 4:2 დაფიქსირდა ქართველის სასარგებლოდ. ორთაბრძოლა შეჩერდა, საქმეში მსაჯთა კოორდინატორი ქალბატონი ჩაერთო (რომლის გადაწყვეტილებებით ადრეც არაერთხელ დარჩენილა უკმაყოფილო ჩვენი გუნდი) და საბოლოოდ 3:3 გამოცხადდა. მეორე პერიოდიც ფრით დასრულდა, წილისყრამ კი რუსს მიანიჭა უპირატესობა. ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ცენო ცენოვმა შეხვედრის განმეორებით ნახვის შემდეგ ქართველ მწვრთნელებს ბოდიში მოუხადა, ხოლო ჩოჩიშვილი-გაზიმაგომედოვის ფინალური პაექრობა მისი მითითებით მსაჯთა საკვალიფიკაციო-საგამოცდო საკითხებში შეიტანეს, როგორც არბიტრის საბედისწერო შეცდომის მაგალითი"!*

ეს პირველი სეზონი იყო თენგიზისთვის ახალგაზრდულ ნაკრებში, შარშან ჭაბუკთა შორის გახდა კონტინენტის საუკეთესო ფალავანი. ახალგაზრდებშიც მოსინჯა ძალა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ფინალში გასასვლელი შეხვედრა თანადარბაზელ გორელ **გიგლა მაყიშვილთან** დათმო, რომელმაც შარშან ევროპის პირველობა მოიგო ახალგაზრდებში. მოკლედ, მწვრთნელებმა შარშანვე ივარაუდეს, რომ თენგიზი ახალგაზრდებში გადასვლის მერე ხელმოცარული არ დარჩებოდა. სხირელის სკოლაში დაოსტატებული წლეულს ზემოხსენებულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატების გარდა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი, საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი გახდა.

2010 წლის სეზონი თენგიზ ჩოჩიშვილმა საქართველოს ჩემპიონობით დაიწყო, მერე კი რიგის და ანკარის საერთაშორისო ტურნირებზე მიღწეული წარმატებები იყო.

კონტინენტის პირველობაზე მოპოვებულ ვერცხლს ერთ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატზე (ბუდაპეშტი) ბრინჯაოს მედალი მოჰყვა.

*„19 წლის სპორტსმენისთვის ევროპის ჩემპიონატის ოქრო, ვერცხლი და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო, ცხადია, ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ თენგიზს აქვს საამისო პოტენციალი, რომ მომავალში გაცილებით შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვოს"* — ვარაუდობს პირადი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი.

ტიტულოვანმა გორელმა ფალავანმა **დავით პოლოსიანმა** კი (მისი ერთ-ერთი მწვრთნელია) ამ სპორტსმენის ჭიდაობის სტილს გაუსვა ხაზი: *„ახალგაზრდებისა და დიდების ჭიდაობის სტილი არცთუ მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩოჩიშვილის ჭიდაობის სტილი კი ზედგამოჭრილია დიდებში ასპარეზობისთვის. ამიტომ ვფიქრობ, რომ თენგიზი უფროს ასაკში ბევრად წარმატებული სპორტსმენი დადგება. თუმცა არც ამჟამად განიცდის ტიტულების სიმცირეს და თან ჯერ ერთი წელიც აქვს ახალგაზრდებს შორის სასპარეზოდ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მედლების გარეშე არ ჩაივლის"* - თქვა დავით პოლოსიანმა.

ვასილ ბალახაძე

ჭადრაკი

# რეკორდული თავყრილობა ხანტი-მანსიისკში

წლეულს 20 აგვისტოს რუსულ ხანტი-მანსიისკში საზეიმოდ გაიხსნება 2010 წლის მსოფლიოს 39-ე საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 160 ქვეყნის 159 ვაჟთა და 119 ქალთა გუნდი (1375 მოთამაშე) იასპარეზებს. საათები კი 21 აგვისტოს ჩაირთვება.

ამ მნიშვნელოვანი ფესტივალისთვის სხვებთან ერთად მონდომებით ემზადებიან ქართველი დიდოსტატები. ამჟამად ისინი ბოლო საწვრთნელ შეკრებას ბაზალეთზე გადიან.

ქალთა ნაკრები 2008 წლის დრეზდენის ოლიმპიადის ჩემპიონია და ხანტი-მანსიისკში ჩვენს მანდილოსნებს ტიტულის დაცვა მოუწევთ. უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენი გუნდი შეჯიბრებაზე გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრება. ვერა მენჩიკის თასის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ **ნანა ძაგნიძე** (2534), **ლელა ჯავახიშვილი** (2451), **ნინო ხურციძე** (2435), **ბელა ხოტენაშვილი** (2464) და **სალომე მელია** (2439). კაპიტანია **ნინო გურიელი.** მართალია, ხანტი-მანსიისკში თამაშზე უარი თქვა **მაია ჩიბურდანიძემ,** მაგრამ რეიტინგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ დაბალანსებული გუნდი გვყავს და ჩემპიონობისათვის ბრძოლა ძალუძს.

ვაჟებში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ბაადურ ჯობავა** (2710), **მიხეილ მჭედლიშვილი** (2628), **მერაბ გაგუნაშვილი** (2598), **თამაზ გელაშვილი** (2611) და **ლევან ფანცულაია** (2599). ქალებისგან განსხვავებით მათ, როგორც გვითხრეს, უფრო მოკრძალებული მიზანი აქვთ — საუკეთესო ათეულში შესვლა. მაგრამ ეს ხომ თავისთავად საპრიზო სამეულსაც გულისხმობს.

ხანტი-მანსიისკში ძლიერი მოჭადრაკეები მოიყრიან თავს და ჩვენს დიდოსტატებს დაძაბული ორთაბრძოლების გადატანა მოუწევთ. ოლიმპიადის უპირველეს ფავორიტებად, ცხადია, მასპინძლებს მიიჩნევენ. ისინი ტურნირზე ვაჟთა 4 და ქალთა 3 გუნდით წარსდგებიან. უძლიერეს შემადგენლობებსაც მოუყარეს თავი. მაგალითად, ქალთა პირველ გუნდში გამოვლენ ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (2573) და მისი და — კონტინენტის პირველობების მრავალგზის პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა** (2565), ამჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2524), **ალისა გალიამოვა** (2482) და **ვალენტინა გუნინა** (2465). შარშან ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრებმა ქართველების მსგავსად 16 ქულა მოაგროვა, მაგრამ გუნდის წევრთა მოგროვებული ქულები მეტი აღმოჩნდა და ოქროს მედლებიც ჩრდილოელ მეზობლებს ერგოთ. ისინი, ცხადია, შინ ოლიმპიური ჩემპიონობისთვის არაფერს დაიშურებენ.

უწინდელი დიდების დაბრუნება სურთ რუს ვაჟებს, ამიტომ მათი პირველი გუნდი შეჯიბრებაზე უძლიერესი შემადგენლობით წარსდგება: **ვლადიმირ კრამნიკი** (2780), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (2760), **პეტერ სვიდლერი** (2731), **სერგეი კარიაკინი** (2747), **ვლადიმირ მალახოვი** (2725).

ოლიმპიადაზე კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება უკრაინის გაერთიანებული გუნდი, რომელმაც წინა ოლიმპიადაზე ქალთა და ვაჟთა ნაკრებების საუკეთესო შედეგისთვის ნონა გაფრინდაშვილის თასი დაისაკუთრა, თანაც უკრაინელ ქალთა გუნდმა ჩვენებთან პირველი ადგილი მინიმალური დამატებით მაჩვენებლებით წააგო (ვაჟებმა ამერიკელებთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს). მედლებისთვის ისინი ასეთი შემადგენლობით იბრძოლებენ: **ქალები.** ორგზის ევროპის ჩემპიონი **კატერინა ლახნო** (2539), ევროპის ჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა** (2499), **ანა უშენინა** (2466), **ინა გაპონენკო** (2469), **მარია მუზიჩუკი** (2464). **ვაჟები. ვასილი ივანჩუკი** (2754), **პაველ ელიანოვი** (2761), **რუსლან პონომარიოვი** (2749), **ზახარ ეფიმენკო** (2683), **ალექსანდრ მოისეენკო** (2658).

ხანტი-მანსიისკში ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით იასპარეზებენ ვაჟებში წინა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი სომხები: **ლევონ არონიანი** (2783), **ვლადიმირ აკოფიანი** (2691), **გაბრიელ სარგისიანი** (2677), **არმენ პაშიკიანი** (2639), **ავეტიკ გრიგორიანი** (2579). ქალთა გუნდში ითამაშებენ: **ელინა დანიელიანი** (2466), **ლილით მკრტიჩიანი** (2484), **ლილით გალოიანი** (2373), **ნელი აგინიანი** (2282), **ანაიდ ხარატიანი** (2039).

ქართველ მოჭადრაკეთა დანარჩენ კონკურენტებს მომდევნო ნომრებში გაგაცნობთ.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო



ბაზალეთზე მორიგი ვარჯიშისას




# ვინ უფრო სწრაფია და უძლეველი?

დღეს მოსკოვში, რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის შენობაში, დაიწყება და 19 სექტემბრამდე გასტანს მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბლიცში, რომელიც სამ ეტაპად გაიმართება.

მეოთხედფინალში საერთაშორისო რეიტინგის მქონე მოჭადრაკეები იასპარეზებენ შვეიცარიული სისტემით 11 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის მიეცემა 3 წუთი ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით. ათი საუკეთესო ნახევარფინალში ტურნირის შესატანის გარეშე ითამაშებს, მომდევნო ათი კი ნახევარ ფასს (4 ათასი რუბლი) გადაიხდის.

ამ ოცეულს 15-16 სექტემბერს ნახევარფინალში შეუერთდებიან: **სოფიო გვეტაძე** და **სალომე მელია** (ორივე-საქართველო), 2001 წლის ევროპის ჩემპიონი **ელმირა სკრიპჩენკო** (საფრანგეთი), 2000 წლის ევროპის ჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა, ინა გაპონენკო, მარია მუზიჩუკი** (სამივე-უკრაინა), **ირინა კრუში** (აშშ), **ხადერი** (ირანი), 2010 წლის მსოფლიოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატის გამარჯვებული **ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი), **მარტა ფიერო** (ეკვადორი), 2001-2004 წლების მსოფლიოს ჩემპიონი **ჟუ ჩენი** (ყატარი), ევროპის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი **ნატალია პოგონინა, სვეტლანა მატვეევა, ტატიანა გრაბუზოვა, დარია ჩამოჩკინა, კარინა ამბარცუმოვა, ალინა კაშლინსკაია, ოლგა გირია, დინა დროზდოვა, ელენა ტომილოვა, დარია პუსტოვოიტოვა, მარია რომანკო, ბაირა კოვანოვა, მარია ფომინიხი** (ყველა-რუსეთი). ამათ დაემატებათ ორგანიზატორთა 10 და ფიდეს პრეზიდენტის 6 ნომინანტი. ფინალის 6 საგზურისთვის სულ 60 ქალბატონი იბრძოლებს. საპრიზო ფონდია 400 ათასი რუბლი.

17-18 სექტემბერს გადამწყვეტი ორთაბრძოლები გაიმართება, სადაც პერსონალურად არიან მიწვეულნი მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი,** ორგზის ევროპის ჩემპიონი (2007, 2009) **ტატიანა კოსინცევა,** კონტინენტის პირველობების პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა, ვალენტინა გუნინა** (ყველა-რუსეთი), ქალთა რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი), 2004-2006 წლების მსოფლიოს და 2002 წლის ევროპის ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი), ორგზის ევროპის ჩემპიონი (2005, 2008) **კატერინა ლახნო** (უკრაინა), ოცწლიანთა 2010 წლის მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია), **ნაზი პაიკიძე** (საქართველო) და **მარი სებაგი** (საფრანგეთი). ფინალური ტურნირის საპრიზო ფონდია ორი მილიონი რუბლი. აქვე შევნიშნავთ, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ქალთა რეიტინგის უპირობო ლიდერმა **იუდით პოლგარმა** (2682), ორგზის ევროპის ჩემპიონმა (2003, 2010) **პია კრამლინგმა** (შვედეთი), 1996-1999 წლების მსოფლიოს ჩემპიონმა **ჟუჟა პოლგარმა** (აშშ) და ფიდეს გრან-პრის გათამაშების ლიდერმა **ჰოუ იფანმა** (ჩინეთი).

საგულისხმოა, რომ ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონატის დახურვისას გაიმართება ქალთა ოსკარის გადაცემა. ამ საპატიო მისიას ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** შეასრულებს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები. ევროპის ჩემპიონატი




# რა სისტემით ჩატარდება ევრობასკეტი 2011?

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჩემპიონატი მოახლოვდა, ყველაზე მეტი კითხვა მაინც საქართველოს ნაკრების ირგვლივ ტრიალებს: როდის გაიმართება ევროპის ჩემპიონატის წილისყრა? რა სისტემით ჩატარდება ევრობასკეტი? რა შანსი აქვს ჩვენს ნაკრებს?**
**ბოლო კითხვაზე პასუხს მომავალი წლის სექტემბერში მივიღებთ - ევროპის პირველობა 3-18 სექტემბერს გაიმართება. არც დანარჩენ კითხვებზე გვაქვს ზუსტი პასუხი, რადგან ფიბა-ევროპის მესვეურებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციისთვის ჯერ არც წილისყრის გამართვის თარილი და არც შეჯიბრების გამართვის სისტემა უცნობებიათ. ასე რომ, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, შეიძლება ასი პროცენტით არ განხორციელდეს, თუმცა უცხოურ გამოცემებზე დაყრდნობით უკვე შეგვიძლია ევროპის ჩემპიონატის ფორმატზე მსჯელობა. ხოლო, რადგან სისტემა ვიცით, წინასწარ გუნდების კალათებში განაწილებაც იოლია.**

## სად?

დავიწყოთ იქიდან, რომ ევრობასკეტი-2011 მომავალი წლის სექტემბერში ლიტვაში გაიმართება. მას ექვსი ქალაქი უმასპინძლებს: ალიტუსი, შიაულიაი, კლაიპედა, პანევეჟისი, კაუნასი, ვილნიუსი.

სხვათა შორის, სწორედ ლიტველებზე იყო დამოკიდებული დაგვიშვებდნენ თუ არა ჩემპიონატზე საკვალიფიკაციო ტურნირის გარეშე. ბალტიისპირელები ამა წლის 5 სექტემბრამდე 16 ნაკრების მასპინძლობისთვის ემზადებოდნენ და თუ 5-ში იტყოდნენ - 24 გუნდსაც სიამოვნებით მივიღებთო, ფიბა-ევროპა მონაწილეთა რაოდენობას რვით გაზრდიდა. საბოლოოდ, ლიტველებმა რა თქვეს, ამის შეხსენება არ დაგჭირდებათ.

## ვინ?

ახლა ტურნირის მონაწილეებზე. ათმა ევროპულმა გუნდმა (ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ხორვატია, გერმანია, ლიტვა, რუსეთი, თურქეთი) გუშინწინ დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა. ისინი ევრობასკეტი 2011-ის შესარჩევი ტურნირიდან თავისუფალნი იყვნენ.

ტოპ-ათეულს დაემატა ხუთი გუნდი, რომელმაც აგვისტოში შესარჩევი ტურნირის ბარიერი გადალახეს: ბრიტანეთი, მაკედონია, ჩერნოგორია, ისრაელი, ბელგია.

შესარჩევის მონაწილე დანარჩენ ათ ნაკრებს ევრობასკეტის დარჩენილი ერთი საგზურისთვის უნდა ებრძოლა, თუმცა 5 სექტემბრის გადაწყვეტილების წყალობით 7 გუნდი პირდაპირ მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე: ბოსნია, ბულგარეთი, საქართველო, იტალია, ლატვია, პოლონეთი, უკრაინა.

შესარჩევ ჯგუფებში სამი ბოლოადგილოსანი აგვისტოში ერთ ქვეჯგუფად შეიკვრება და ლიტვის ორი ბოლო ლიცენზიისთვის იბრძოლებს. ამ ტრიოსაც ჩამოგითვლით: პორტუგალია, ფინეთი, უნგრეთი.

## როგორ?

რადგან ზუსტად ვიცით ევრობასკეტი 2011-ის მონაწილეთა რაოდენობა, შეგვიძლია ფორმატზე მსჯელობაც. ბრიტანული გამოცემები გვიმტკიცებენ, რომ ლიტვაში ჩასული 24 გუნდი 4 ექვსგუნდიან ჯგუფად გაიყოფა. მეორე ეტაპზე ისინი გადავლენ, რომლებიც ჯგუფებში ზედა სამეულში მოხვდებიან. დანარჩენი 12 გუნდი ლიტვიდან გუდა-ნაბადს აიკრავს.

ოთხი ქვეჯგუფის საუკეთესო 12 ნაკრები ორ ექვსგუნდიან ჯგუფად გაიყოფა. მათგან მეოთხედფინალში საუკეთესო ოთხეულები გავლენ... მეოთხედფინალს ნახევარფინალი მოჰყვება, ხოლო ნახევარფინალს რა მოსდევს, ყველამ კარგად ვიცით.

ამ ფორმატის მიხედვით, პლეი ოფში გასული გუნდების მატჩების რაოდენობა 11-მდე გაიზრდება (მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადასულ სამ-სამ გუნდს წინა ეტაპის ურთიერთშეხვედრების შედეგები გადაჰყვებათ), რაც ორით მეტია 2009 წლის ევრობასკეტის მაჩვენებელთან შედარებით. სწორედ ამიტომ არ სურდათ ესპანეთსა და საბერძნეთს მონაწილეთა რაოდენობის 24-მდე გაზრდა, თუმცა საბოლოოდ „გლეხებმა“ თავისი გაიტანეს და 16-გუნდა ჩემპიონატები ისტორიას მიაბარეს.

*- თურქეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე 10-დან 9 ევროპულმა გუნდმა მერვედფინალამდე მიაღწია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს კონტინენტზე კალათბურთი საგრძნობლად განვითარდა. ასე რომ, ევრობასკეტის მონაწილეთა 24-მდე გაზრდა სამართლიანია. 7 გუნდს აგვისტოში გაწეული დიდი შრომა დავუფასეთ. მათ ლიტვაში თამაში დაიმსახურეს,* - განაცხადა ფიბა-ევროპის გენერალურმა მდივანმა **ნარ ძანოლინმა.**

ფიბა-ევროპა მეორე ფორმატსაც განიხილავს - სწორედ ისეთს, როგორიც თურქეთის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა: 24 გუნდი 4 ექვსგუნდიან ჯგუფად გაიყოფა, თითოეული ჯგუფის საუკეთესო ოთხეული მერვედფინალში გავა, ამას მოჰყვება, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი.

*- 24-გუნდიანი ტურნირისთვის ფორმატის მხოლოდ ორი ვარიანტია. ერთი - მსოფლიო ჩემპიონატის სისტემის ანალოგიური, მეორე - ორი ჯგუფური ეტაპით. ფიბა-ევროპა მათგან ერთ-ერთს შეარჩევს და წილისყრამდე გამოაქვეყნებს. ევროპის ჩემპიონატის სატურნირო სისტემა სავარაუდოდ ნოემბერში გამოცხადდება,* - გვითხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა.**

## რამდენი?

რადგან ზემოთ განხილულ ორივე ვარიანტში საწყის ეტაპზე ოთხი ექვსგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება, განთესვის სისტემაც ორივე შემთხვევაში ერთნაირი იქნება. დროა, 24 გუნდი ექვს კალათში დავახარისხოთ. როგორც ყოველთვის, ფიბა-ევროპა ნაკრებების კლასიფიკაციისას ბოლო წლის შედეგებს ითვალისწინებს. ასე რომ, პირველ კალათში პირველ რიგში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი თურქეთი უნდა ჩავსვათ. მას მოჰყვება მსოფლიოს ბრინჯაოსმედალოსანი ლიტვა, სერბეთი (მეოთხე), ესპანეთი (მეექვსე)...

ასე სათითაოდ ჩამოთვლას, სჯობს, კალათები ჩამოვწეროთ და გუნდები ერთად „ჩავყაროთ“.

I კალათი: **თურქეთი, ლიტვა, სერბეთი, ესპანეთი.**
II კალათი: **რუსეთი, სლოვენია, საბერძნეთი, საფრანგეთი.**
III კალათი: **ხორვატია, გერმანია, ჩერნოგორია, ბელგია.**
IV კალათი: **დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, საქართველო.**
V კალათი: **იტალია, ბულგარეთი, უკრაინა, პოლონეთი.**
VI კალათი: **ბოსნია, ლატვია...**

მეექვსე კალათში დარჩენილ ორ ადგილს საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილე გუნდები (ფინეთი, უნგრეთი, პორტუგალია) შეავსებენ. ეს შეჯიბრება აგვისტოში გაიმართება.

ასეთსავე გამოთვლებზე დაყრდნობით შარშან შესარჩევი ტურნირის კალათები „დავახარისხეთ“. მაშინ არ შევმცდარვართ. თუ ფიბა-ევროპას მოულოდნელად ახალი აზრი არ გაუჩნდა, გუნდები კალათებში სწორედ ისე განაწილდება, როგორც ზემოთ ჩამოვწერეთ. წილისყრა 25 იანვარს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# ლიტვაში საბრძოლველად ჩავალთ

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში სიახლე გამცნეთ - გიორგი ცინცაძე ესტონურ „ტარტუ როკს“ დაუბრუნდა. იგი ბალტიისპირეთში გუშინ გაფრინდა და შეუერთდა „როკერებს“, რომლებიც პოლონეთში საკონტროლო მატჩებს მართავდნენ და ესტონეთში ახლახან დაბრუნდნენ. გიორგის ტარტუში გაფრენამდე ვესაუბრეთ. თავდაპირველად დავინტერესდით, რატომ გადაწყვიტა „როკში“ დაბრუნება.**

- გასულ სეზონში ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც მსურდა. რამდენიმე გუნდი გამოვიცვალე. ბოლოს პოლონურ „სოპოტში“ გადავედი, მაგრამ კოჭის ტრავმა მივიღე და გადამწყვეტ სტადიაზე გუნდს ვერ დავეხმარე. რთული სეზონის შემდეგ მინდოდას ისეთ გუნდში გადასვლა, სადაც მეტი სათამაშო დრო მექნებოდა. სწორედ ასეთია „ტარტუ როკი“, რომელშიც აქამდე სამი წელი გავატარე.

**- 2009 წლის შემდეგ მწვრთნელი არ შეუცვლიათ?**

- არა. გუნდს ისევ ინდრიკ ვესპაანუ წვრთნის. ახალგაზრდა, კარგი სპეციალისტია.

**- სამ ტურნირში მოგიწევს თამაში...**

- ევროჩელენჯზე, ბალტიის თასსა და ესტონეთის ჩემპიონატში. სამივეგან სერიოზული მეტოქეები გვეყოლება და იმედი მაქვს, როგორც წინა წლებში, ამჯერადაც კარგად ვითამაშებთ.

**- ევროჩელენჯზე „სამარისა“ და „ურალ გრეიტის“ გამოგდების ამბავი ესტონელებს ახლაც ახსოვთ...**

- რუსულ კლუბებთან ყოველთვის კარგად ვირჯებით. 2008 წელს ის ტურნირი მეოთხე ადგილზე დავასრულეთ. იმედი მაქვს, ჩვენს ჯგუფში რუსები წლეულსაც მოხვდებიან. ბალტიის თასზე კი ლიტვურ გრანდებთან, „რიტასთან“ და „ჟალგირისთან“ მოგვიწევს დაპირისპირება.

**- „როკში“ შენ გარდა გამთამაშებლად კიდევ ვინ ითამაშებს?**

- სოკი. იგი ახალგაზრდა კალათბურთელია, 2008-09 წლებში ჩემ შემცვლელად თამაშობდა.

**- „ტარტუ როკზე“ საუბარი კონტრაქტის ვადით დავასრულოთ...**

- ერთწლიანი ხელშეკრულება გავაფორმე. ესტონეთში სეზონის ბოლომდე დავრჩები.

**- საქართველოს ნაკრების ევრობასკეტზე დაშვების ამბავს როგორ შეხვდი?**

- 5 სექტემბერს კალათბურთელები ზაზა ფაჩულიას ჯვრისწერაზე ვიყავით. თურქეთიდან ზაზას დაურეკეს და იოლი წარმოსადგენია, როგორ გაგვიხარდებოდა ამ ამბის შეტყობა. ემოციებს ვერ ვიკავებდით. კარგია, რომ შრომა დაგვიფასეს.

**- შესარჩევ ტურნირში გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

- მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი მეტოქეები გვყავდა და ტურნირიც თითქმის ერთი თვე გაგრძელდა, სტაბილურად ვითამაშეთ. მხოლოდ ერთი მატჩი ჩაგვივარდა - ბელგიასთან შინ წაგება ძალიან განვიცადეთ. თუმცა იმ თამაშს გადაღლილები შევხვდით, ბელგიელებმა კი ჩვენთან დაპირისპირებამდე დაისვენეს და მატჩსაც უფრო ენერგიულად შეხვდნენ.

**- შენი გარჯით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- კმაყოფილი არ ვარ. მეტის გაკეთება შემეძლო...

**- ნაკრების ახალწვეულ ტორინ გრინზეც გკითხავ.**




- ტორინი დადებითი პიროვნებაა. იგი მონდომებული იყო, გულით თამაშობდა. ძნელია, ახალწვეულ კალათბურთელს განსაკუთრებული ეფექტურობა მოსთხოვო. ჩემი აზრით, გრინმა თავი დადებითად წარმოაჩინა.

**- ბოლოს ორი სიტყვა ევრობასკეტი 2011-ის შესახებ ვთქვათ.**

- ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ჯგუფში ჩვენს მეტოქეებზე, ბევრიც — ჩვენს თამაშზე - რა შემადგენლობით წავალთ ლიტვაში, ღმერთმა ინებოს, გუნდში ტრავმები არ იყოს... ევროპის პირველობაზე უმაღლესი დონის ნაკრებების წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ უძლეველი არავინაა. ზოგიერთ გრანდს ჩავარდნებიც ახასიათებს, გავიხსენოთ, ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე ლიტვამ როგორ ითამაშა. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატზე საბრძოლველად ჩავალთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

## კალიფორნიაში აინაზღაურებს

ATP-ის რეიტინგ-ლისტში საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ერთბაშად [illegible]00-ზე მეტი ადგილით დაიხია უკან. ამის მიზეზი მისი მონაგარიდან შარშან სოჭში მოგებული ტურნირისთვის დარიცხული ქულების ამოღებაა, ერთი წელიწადი გავიდა, ნიკამ ეს ქულები ვერ „დაიცვა“ და წესის მიხედვით, მას ისინი დააკლდა. დღეისთვის 18 წლის ჩოგბურთელს 12 სარეიტინგო ქულაღა შერჩა და ის მსოფლიოს 865-ე ჩოგანია. ბასილაშვილი დაკარგულის ანაზღაურებას კალიფორნიის ქალაქ კლარმონტში გეგმავს, სადაც 10-ათასიან ტურნირში მე-3 ნომრად განთესეს.

მიუხედავად ამისა, ბასილაშვილი კვლავ ქვეყნის პირველი ჩოგანია - ჩვენში ვაჟთა ჩოგბურთის კრიზისის კიდევ ერთი მანიშნებელი: სპორტსმენს სულ რაღაც 12 ქულა აქვს რეიტინგში და მაინც პირველია ქვეყანაში. 10 ქულა აქვს **ლადო ჩიხლაძეს**, რომელიც მსოფლიოს 890-ე ჩოგანია. **ლაზარე კუხალაშვილი** 2 ქულით 1334-ე ადგილზეა.

ახალგაზრდულ რეიტინგში კიდევ რამდენიმე ქართველია, თუმცა ქულათა სოლიდური მარაგი მხოლოდ **ალექსანდრე მეტრეველს** აქვს, 17 წლის მეტრეველი 235 ქულით 146-ე პოზიციაზეა თანატოლთა შორის.

## ტატიშვილმა მოლიკს მოუგო

**ანა ტატიშვილმა** (147) წარმატებით დაძლია WTA-ს ტურნირის პირველი წრის მატჩი და მერვედფინალში გავიდა. საქართველოს პირველი ჩოგანი კვებეკში (კანადა) მიმდინარე „ბელ ჩელენჯზე“ ლამის ყველაზე ცუდი რეიტინგისაა, რადგან ტურნირის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. პირველ წრეში მისი მეტოქე მსოფლიოს ყოფილი მე-8 ჩოგანი **ალისია მოლიკი** (ავსტრალია, 90) იყო. ჩვენებურმა ფავორიტს სამ სეტში აჯობა - 3:6, 6:2, 6:2. ანას მომდევნო მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი **მელანი ოუდინისა** (აშშ) და **ალისონ რისკეს** შორის გამარჯვებული იქნება. ეს თამაში წუხელ გვიან გაიმართა. ამ მოგებით ტატიშვილმა 30 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამი ერი



ადამ ეშლი-კუპერის ლელო

# ბექდაუდებელი ოლ ბლექსი

**ავსტრალია-ახალი ზელანდია 22:23**

ავსტრალია (15-9) **ბეილი, ოკონორი, ეშლი-კუპერი (ე.ფაინგაა 75), გიტო, ტერნერი, კუპერი (ბარნსი 69), გენია (ბარჯესი 72). (1-8) რობინსონი, მური, მააფუ (სლიპერი 53), ჩისჰოლმი (მამი 56), შარპი, ელსომი, პოკოქი, მაკკალმენი (ბრაუნი 73).**

*2ლ: ეშლი-კუპერი, ოკონორი. 4ს: გიტო (3), ბეილი.*

ახალი ზელანდია (15-9) **მულიაინა, ჯეინი (რეინჯერი 69), სმითი, ნონუ, დაგი, კრადენი (სლეიდი 61), ვიპუ (ქოუანი 78). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ, ო.ფრენქსი (აფოა 61), თორნი, დონელი (ბორიჩი 61), ვიტო (კაინო 49), მაკქოუ, რიდი.**

*2ლ: მაკქოუ, რიდი. 2გ3ს: ვიპუ*

მსაჯი: **მარკ ლოურენსი (ს.აფრიკა)**

სამი ერის წლევანდელი გათამაშება ახალი ზელანდიის ნაკრებმა წაუგებლად დაასრულა. „ოლ ბლექსი" ამ შეჯიბრების ისტორიაში პირველი გუნდია, რომელმაც სეზონში ყველა თამაში მოიგო.

ბოლო მატჩი ახალზელანდიელებმა ავსტრალიის ნაკრებთან სიდნეიში გამართეს. „ვოლაბებმა" მეორე ადგილი გაინაღდეს, თუმცა მათთვის მატჩს მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასპინძლებს „ოლ ბლექსთან" წაგებათა ცხრამატჩიანი სერია უნდა შეეწყვიტათ. მიზანთან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ...

ავსტრალიელებმა ყველაფერი გააკეთეს, სამი ერის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული შინ განბილებული რომ გაეშვათ. „ვოლაბები" იმდენად კარგად ირჯებოდნენ, რომ მე-60 წუთისთვის ცამეტი ქულის სხვაობით - 22:9-ს იგებდნენ. მერე კი ყველაფერი თავდაყირა დადგა.

თამაში ახალზელანდიელების შეტევებით დაიწყო და ცხრა ნომერმა **პირი ვიპუმ** ანგარიში საჯარიმოთი გახსნა - 3:0. მასპინძლებს ბევრი არ დაუხანებიათ და ოთხ წუთში შუამარბმა **მეთ გიტომ** საჯარიმოთივე გაათანაბარა - 3:3. კიდევ ოთხ წუთში კი ისევ ვიპუმ იყოჩაღა - 6:3 და მალე, მე-16 წუთზე საჯარიმოებით ჩხვლეტებს ბოლო გარემარბმა **ჯეიმზ ო'კონორმა** მოუღო.

ახალზელანდიელებმა მარტივი, თითქმის ბავშვური შეცდომა დაუშვეს. მასპინძელთა სასარგებლოდ შერკინება „ოლ ბლექსის" ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან დაინიშნა. იქიდან ბურთი რვა ნომერმა **ბენ მაკკალმენმა** აიტაცა და მარჯვენა, მოკლე ფრთისკენ დაიძრა. იქ დაცვაში მყოფი სამივე ახალზელანდიელი, რატომღაც მის შესაჩერებლად გაეშურა და ოკონორის მანევრი გამოეპარათ. მაკკალმენმა სამივეს ახლოს მისვლა აცადა და თანაგუნდელს ბურთი დროულად გადააწოდა. ოკონორის მიერ გატანილი ლელო გიტომ ვერ გარდასახა - 8:6.

სამაგიეროდ, ავსტრალიელთა გარემარბმა პირველი ნახევრის ბოლო ათ წუთში ორი საჯარიმოს გატანა შეძლო - 14:6, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ სათამაშო უპირატესობას ისევ ავსტრალიელები ფლობდნენ. 46-ე წუთზე მგეზავმა **ქუადე კუპერმა** „ვოლაბების" მრავალფაზიანი შეტევის მიმართულება დროულად შეცვალა, ბურთი მარცხნივ, მოკლე ფრთაზე შუამარბ **ადამ ეშლი-კუპერს** გადააწოდა, ის მეტოქის ლელოსკენ ძალიან სწრაფად დაიძრა. მას გარემარბი **ლეჩი ტერნერი** მიჰყვა, ეშლი-კუპერმა მანევრით აჩვენა, რომ გადაცემის გაკეთებას აპირებდა და მოტყუებულ მცველებს ხელიდან დაუსხლტა. გიტომ ეს ლელოც ვერ გარდასახა - 19:6.

მე-60 წუთამდე ვიპუმ და გიტომ თითო საჯარიმო გაცვალეს - 22:9 და აი, აქ დაიწყო. ახალი ზელანდიის ნაკრები თითქოს მთლიანად გამოცვალესო, როგორც სჩვევია, სწრაფი, თავბრუდამხვევი კომბინაციებით ათამაშდა. „ოლ ბლექსი" შეტევას საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ხელდახელ ბურთაობით იწყებდა და მეტოქის ლელომდე აღწევდა.

67-ე წუთზე ავსტრალიელებმა დაახლოებით ისეთივე შეცდომა დაუშვეს, როგორიც სტუმრებმა პირველი, ჯეიმზ ო'კონორის ლელოსას. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შერკინება „ვოლაბების" ოცდაორმეტრიან ზონაში, ლელოდან 15 მეტრის დაშორებით დაინიშნა. აქ ყველაზე უკეთ ვითარებაში ახალზელანდიელთა კაპიტანი **რიჩი მაკქოუ** გაერკვა, რომელმაც მასპინძელთა დაცვის ხაზს ლამის შემოურბინა და ეფექტური ლელო გაიტანა. ვიპუმ გარდასახა - 16:22.

მატჩის დასრულებამდე დრო საკმარისად იყო. ახალზელანდიელებმა თამაშის გადარჩენის შანსი იგუმანეს და უფრო გააქტიურდნენ, რასაც ვერაფრით ვიტყვით „ვოლაბებზე". ისინი ბოლო წუთებში რატომღაც ძალზე უსუსურად გამოიყურებოდნენ.

73-ე წუთზე „ოლ ბლექსმა" კიდევ ერთი შედეგიანი იერიში განახორციელა. ამ ეპიზოდში ბრწყინვალედ გაისარჯნენ მორკინელები. რომელთა იერიშიც მესამეხაზელმა **კირან რიდმა** დააბოლოვა. ვიპუმ ხელსაყრელი პოზიციიდან კიდევ ერთხელ გარდასახა და ახალზელანდიელები ერთი ქულით დააწინაურა - 23:22.

„ვოლაბებს" დარჩენილ ექვს წუთში მატჩის ბედის შემობრუნების მცდელობაც კი არ ჰქონიათ. ახალზელანდიელები წარმატების მოლოდინში გაათკეცებული ენერგიით ირჯებოდნენ და ავსტრალიის ნაკრებს ზედიზედ მეათედ მოუგეს - 23:22.

სამი ერის წლევანდელი გათამაშება ძალზე საინტერესო, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენით, უცნაური ამბებით დახუნძლული გამოდგა. ახალზელანდიელმა რიჩი მაკქოუმ ლეგენდარული **შონ ფიცპატრიკის** რეკორდი გააუმჯობესა. მან „ოლ ბლექსს" 52-ე მატჩში უკაპიტნა.

„სამი ერის" ბოლო შეხვედრა ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორიც სხვა დანარჩენი. ერთი კვირა გამალებით, დიდი რუდუნებით ვემზადებოდით. მატჩის სამი მეოთხედი ისე მიილია, რა გეგმაც დავისახეთ, ვერ განვახორციელეთ, ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ. წაგების საფრთხემ გუნდი ერთბაშად გამოაფხიზლა. ბოლო ოც წუთში საკუთარ თამაშს მივაგენით, უკვე ყველაფერი გამოგვდიოდა და ჩვენი შეჩერება ნებისმიერი გუნდისთვის შეუძლებელი იქნებოდა.

ეს ძალიან მახარებს, რადგან გუნდს მებრძოლი ხასიათი გამოუმუშავდა. მომავალ წელს მსოფლიოს თასის გათამაშება გველის, სადაც უამისოდ წარმატების მიღწევაზე ოცნებაც არ შეიძლება," - თქვა მსოფლიოს საუკეთესო ნაკრების კაპიტანმა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახ.ზელანდია | 6 | 6 | 0 | 0 | +73 | 27 |
| 2. ავსტრალია | 6 | 2 | 0 | 4 | -26 | 10 |
| 3. ს.აფრიკა | 6 | 1 | 0 | 5 | -47 | 7 |

● ქარის თასი

# ლურჯი ხარები ძველებურად ვეღარ ხნავენ

ქარის თასის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა კი ტურიდან ტურამდე მწვავდება. ნახევარფინალში გასვლის შანსს ერთბაშად ექვსი გუნდი ინარჩუნებს.

მეათე ტურის ცენტრალური მატჩი ბლუმფონტეინში გაიმართა, სადაც „ჩიტაზმა" შარშანდელ გამარჯვებულს, პრეტორიის „ბლუ ბულზს" უმასპინძლა და ურთულეს ბრძოლაში 20:14 მოუგო.

პრეტორიელები წლეულს უჩვეულოდ წარუმატებლად ასპარეზობენ. ათიდან ხუთი წაგება ისეთი ტიტულოვანი გუნდისთვის, „ბლუ ბულზი" რომ არის, კატასტროფის ტოლფასია. **ფრანს ლუდეკის** ბიჭებმა ზე 14-ის გათამაშებაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ პოზიციები საგრძნობლად დათმეს.

„ლურჯმა ხარებმა" ბლუმფონტეინში ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. პირველი ნახევარი სტუმრებმა მინიმალური სხვაობით -11:10 მოიგეს. მეორეში კი „ჩიტაზი" უკეთ გაისარჯა, მონაგარს კიდევ ათი ქულა მიუმატა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

მასპინძლებმა მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს, რაზეც პრეტორიელებმა ვეტერან **იაკო ფან დერ ვესტჰოიზენის** ერთი ლელოთი უპასუხეს.

მომდევნო შეხვედრას „ბლუ ბულზი" შინ გამართავს იოჰანესბურგის „ლაიონზთან", რომელმაც შინ „გრიკასს" მოუგო - 40:29 და სატურნირო ცხრილში ორივეს გადაასწრო. თამაში, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, უხვლელოიანი გამოდგა. გუნდებმა ოთხ-ოთხი ლელო გაიტანეს. ლაიონზელთაგან ორჯერ მეტოქის ჩათვლის მოედანში ფულბეკმა **იოჰანეს ტეუტმა** შეაღწია.

გამარჯვება კი მასპინძლებს მგეზავ **თომას იანტისის** ფეხჩუბინობამ მოუტანა. მან ოთხი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა გაიტანა (20 ქულა). მისი ვიზავის, „გრიკასის" მგეზავ **პეტრუს ულიფიეს** მონაგარი კი ასეთია: ორი გარდასახვა და ერთი არეკნი (7 ქულა).

„ბლუ ბულზის" მძლეველ „ჩიტაზს" მე-11 ტურში უძნელესი გამოცდა ელის სტუმრად გათამაშების ლიდერ დურბანის „ნატალ შარქსთან", რომელმაც მე-10 ტურში სტუმრად დაამარცხა „პუმასი" - 30:14. დურბანელებს ამ მატჩში, როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემა არ შეჰქმნიათ და მე-20 წუთისთვის უკვე 27:7-ს იგებდნენ. **ოდოვა ნდუნგანემ, ლუაზი მვოვომ, იაკო ბოთამ** და **კრეიგ ბარდენმა** მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და გუნდს ერთი საპრემიო ქულაც შესძინეს.

ყველაზე შედეგიანი კი მეორეადგილოსან „ვესტერნ პროვანსისა" და აუტსაიდერ „ლეოპარდსის" დაპირისპირება გამოდგა. „დასავლელებმა" მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს და 59:17 მოუგეს.

**X ტური**

**პუმასი-ნატალ შარქსი 14:30, ვესტერნ პროვანსი-ლეოპარდსი 59:17, ჩიტაზი-ბლუ ბულზი 20:14, ლაიონზი-გრიკასი 40:29.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნატალ შარქსი - 41 ქულა, 2. ვესტერნ პროვანსი - 33, 3. ჩიტაზი - 32, 4. ლაიონზი - 30, 5. ბლუ ბულზი - 29, 6. გრიკასი - 25, 7. პუმასი - 17, 8. ლეოპარდსი - 5.**

**XI ტური**

**გრიკასი-ლეოპარდსი, პუმასი-ვესტერნ პროვანსი, ბლუ ბულზი-ლაიონზი, ნატალ შარქსი-ჩიტაზი.**



ჩიტაზი-ბლუ ბულზი

● ITM-ის თასი

# ოთხიდან ორმა მოიგო

ITM-ის თასის გათამაშების მე-7 ტური ერთ-ერთი ლიდერის, „საუთლენდის" საშინაო გამარჯვებით დაიწყო. სამხრეთელებმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაამარცხეს მე-11 ადგილზე მყოფი „ნორთ ჰარბორი" - 47:21.

„საუთლენდმა" მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანა, აქედან ორი შუამარბ **კენ ლინის** ანგარიშზეა, მგეზავმა **რობი რობინსონმა** შვიდიდან ექვსი გარდასახა.

ლიდერთა ჯგუფის სხვა სამი წარმომადგენელი, „ქენთერბერი", „ველინგტონი" და „მანუკაუ" მე-7 ტურში სტუმრად თამაშობდა. ამათგან გამარჯვებას მხოლოდ ერთმა - „ქენთერბერიმ" მიაღწია. ქრაისთჩერჩელებმა სტუმრად დაამარცხეს პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი „ნორთლენდი" - 27:23.

სტუმრებმა პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს და 21:16 მოიგეს. მეორე ნახევარში მასპინძლებმა სათამაშო უპირატესობის მოპოვება შეძლეს, თუმცა მხოლოდ ანგარიშის ოთხ ქულამდე შემცირება მოახერხეს.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა ოკლენდში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა მოწინავე ოთხეულის წარმომადგენელ „ველინგტონს" სძლია - 21:15 და სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურზე გადაბარგდა. სტუმრებს თხუთმეტივე ქულა მგეზავმა **ლიმა სოპოაგამ** მოუტანა, რომლის ანგარიშზეც ხუთი საჯარიმოა. ოკლენდელებმა კი საპასუხოდ ორი ლელო გაიტანეს. მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი **მეთ ბერკვისტი** იყო, რომელმაც ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და სამი საჯარიმო მიითვალა (16 ქულა).

კიდევ ერთი პოტენციური ნახევარფინალისტი „ვაიკატო" სტუმრად ვერას გახდა „ტარანაკისთან" - 19:28. მასპინძლებმა პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით - 15:16 წააგეს, თუმცა მეორეში მეტოქეს მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანის საშუალება მისცეს, თვითონ კი მონაგარს 13 ქულა შემატეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**VII ტური: საუთლენდი-ნორთ ჰარბორი 47:21, ბეი ოფ პლენტი-მანავატუ 41:13, ჰოუქს ბეი-ვაიკატო 27:27, ნორთლენდი-ქენთერბერი 23:27, ოკლენდი-ველინგტონი 21:15, ტარანაკი-მანუკაუ 28:19, ტასმანი-ოტაგო 11:13.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ქენთერბერი - 26 ქულა, 2. საუთლენდი - 26, 3. ოკლენდი - 22, 4. ტარანაკი - 22, 5. ვაიკატო - 21, 6. ველინგტონი - 21, 7. მანუკაუ - 19, 8. ნორთლენდი - 17, 9. ბეი ოფ პლენტი - 17, 10. ჰოუქს ბეი - 10, 11. ტასმანი - 10, 12. ოტაგო - 9, 13. ნორთ ჰარბორი - 9, 14. მანავატუ - 7.**

**VIII ტური: ვაიკატო-საუთლენდი, მანავატუ-ოქლენდი, ველინგტონი-ჰოუქს ბეი, ტარანაკი-ქენთერბერი, ტასმანი-ნორთ ჰარბორი, ოტაგო-ნორთლენდი, ბეი ოფ პლენტი-მანუკაუ.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ამბები

**ფორმულა 1**

### რომში რბოლა გადაწყდა

იტალიური უქმეების დროს ხელი მოეწერა რომის გრან-პრის ჩატარებას. გადაწყდა, რომ ქვეყნის დედაქალაქში ქუჩის რბოლა ხელს არ შეუშლის მონცას ეტაპს და ეს ორი რბოლა კალენდარში დამოუკიდებლად შევა.

კონტრაქტი ხუთ წელზეა გათვლილი, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის, როდის დაიწყებს ის მოქმედებას - პირველი რბოლის ჩატარება 2012 ან 2013 წელს არის დაგეგმილი. ასე ნაადრევად ხელშეკრულების გაფორმება რბოლის ორგანიზატორებს სპონსორებთან მუშაობის საშუალებას მისცემს, რადგან ეტაპის სტატუსი უკვე ოფიციალურად არის დამტკიცებული.

### ბულგარეთის შანსი

უახლოეს დღეებში ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** ბულგარეთს ეწვევა და ამ ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარების შესაძლებლობას განიხილავს.

აბუ დაბის გრან-პრის ერთ-ერთ ორგანიზატორთან (მან არ ისურვა სოფიაში ტრასის მშენებლობის დაფინანსება) დაკავშირებული ამასწინანდელი სკანდალის მიუხედავად, ბულგარეთში ეტაპის ჩატარების შანსები იზრდება. იტალიის გრან-პრის დროს ბულგარეთის ფინანსთა მინისტრმა **ტრაიჩო ტრაიკოვმა** ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის კონკრეტული დეტალები განიხილა. ტრასა დობროსლავიჩის ყოფილ ავტოდრომზე აშენდება, რომელიც სოფიიდან 15 კილომეტრში მდებარეობს. ორგანიზატორები სადებიუტო რბოლის ჩატარებას 2012 ან 2013 წლებში გეგმავენ.

### ჰაიდფელდი ბრუნდება?

ფორმულა 1-ის სამყაროში გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი**, შესაძლოა, სინგაპურის გრან-პრიზე დაბრუნდეს „ზაუბერის" რიგებში. ის შვეიცარიულ საჯინიბოში ვეტერან **პედრო დე ლა როსას** შეცვლის. თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს.

ჰაიდფელდმა „ზაუბერში" შვიდი სეზონი ჩაატარა. გერმანელი წელს „მერსედეს გრან-პრის" ტესტპილოტი იყო, შემდეგ კი „პირელის" საბურავის ტესტებზე გადაერთო. გასულ უქმეებზე ნიკი იტალიის გრან-პრის ესწრებოდა და შემჩნეული იყო „ზაუბერის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებში.

### ჯარიმა ავარიისთვის

იტალიის გრან-პრის დროს HRT F1-ის ერთ-ერთმა მექანიკოსმა ტრავმა მიიღო. მას **საკონ იამამოტოს** ბოლიდი იმ დროს დაეჯახა, როცა იაპონელმა პიტ-სტოპის დასრულებისას მანქანა დაძრა. დაზარალებული მაშინვე მონცას სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

რბოლის სტიუარდებმა ინციდენტი შეისწავლეს და იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ესპანურმა გუნდმა უსაფრთხოების ნორმები დაარღვია. რეგლამენტის უგულებელყოფისთვის HRT-ს 20 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

**ჩოგბურთი**

### დელ პოტრო ტოკიოში ითამაშებს

არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** ATP-ის ტურში დაბრუნებაზე ალაპარაკდა. როგორც იცით, აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელი ჩემპიონი მაისის შემდეგ ვერ თამაშობს მაჯაზე გადატანილი ოპერაციის გამო. მან „დიდი სლემის" ზედიზედ სამი ტურნირი გამოტოვა და ასევე ვერ ითამაშებს მომავალ უქმეებზე დევისის თასის ნახევარფინალში. არგენტინელმა ტურში დაბრუნება ტოკიოს ტურნირზე დაგეგმა.

*„ხელი წესრიგშია და თანდათან ფიზიკური ფორმაც უმჯობესდება. როცა ვიგრძნობ, რომ სათამაშოდ მზად ვარ, მაშინვე დავბრუნდები. ჩემთვის მძიმე იქნება დევისის თასის ტელევიზორში ყურება, მაგრამ მთელ ქვეყანასთან ერთად ვუქომაგებ ჩვენს გუნდს"*, - ამბობს დელ პოტრო.

### ვენუსი წასვლას არ აპირებს

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა** უარყო გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს უახლოეს ხანში აპირებს აქტიური კარიერის დასრულებას. ამერიკელმა ცოტა ხნის წინ აშშ-ის ღია პირველობაზე ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც მომავალ გამარჯვებულთან, ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან** წააგო. ჩოგბურთელმა, რომელიც ზაფხულში 30 წლის გახდა, უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობას შორის პერიოდი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა.

*„ვგრძნობ, რომ შემიძლია მომავალ წელს თამაში. ამას აუცილებლად გავაკეთებ. მინიმალური მზადყოფნის შემთხვევაშიც შემიძლია საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება"*, - განაცხადა ვენუსმა tennis.com-თან კომენტარისას.

**კალათბურთი**

### ბარნსი დამნაშავე არ ყოფილა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ახალწვეული **მეტ ბარნსი** შეყვარებულთან ჩხუბში დამნაშავე არ ყოფილა. როგორც იცით, პოლიციამ ბარნსი ოჯახური ძალადობისთვის დააპატიმრა, მაგრამ თავად ქალმა აღიარა, რომ კალათბურთელს არაფერი დაუშავებია.

*„ძალადობაზე ნებისმიერი ბრალდება არასამართლიანია. მეტს ფიზიკური ძალა არ უხმარია არც ჩემი და არც ოჯახის წევრების მიმართ"*, - ამბობს კალათბურთელის საცოლე.

*„მსგავსი კონფლიქტების დროს ათიდან ცხრა შემთხვევაში მამაკაცს აპატიმრებენ. ასე მოხდა ამჯერადაც. მე მსხვერპლი აღმოვჩნდი, მაგრამ მაინც წამიყვანეს პოლიციაში. მნიშვნელობა არ აქვს რას ვილაპარაკებ, ხალხი მაინც ისე იფიქრებს, როგორც თავად სურს"*, - განაცხადა ბარნსმა.

**ჭადრაკი**

### დანიამ ლეგენდა დაკარგა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ბუენოს აირესში 75 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი დანიელი დიდოსტატი **ბენტ ლარსენი**. მოჭადრაკე არგენტინის დედაქალაქში მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. დანიის ჭადრაკის კავშირის ცნობით, ლარსენი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

დანიელი გასული საუკუნის 60-80-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე იყო. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებში, იყო ტიტულის ოთხგზის პრეტენდენტი და სხვადასხვა დროს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონებთან - **ბორის სპასკისა** და **ბობ ფიშერთან**. მოგებული აქვს 40 საერთაშორისო ტურნირი, სათავეში ედგა მსოფლიოს ნაკრებს „საუკუნის მატჩში" სსრკ-ის წინააღმდეგ (1970), დაწერა წიგნი - „50 რჩეული პარტია"...

აგვისტოში კოპენჰაგენში გაიმართა საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც ლარსენის 75 წლისთავს მიეძღვნა.

## კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სტატისტიკური შედეგები



ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი

ტურნირზე მივლენილი 288 მოთამაშიდან 272-ს მიეცა თუნდაც ერთი წუთი თამაშის საშუალება.

ჯამში, ჩატარებულ 80 შეხვედრაში ამ კალათბურთელებმა 12 388 ქულა ჩააგდეს, აქედან 9076 ქულა ჯგუფურ ეტაპზე მოდის. ასე რომ, მატჩში შედეგიანობის საშუალო მაჩვენებელმა 154,2 ქულა შეადგინა (ერთი გუნდისთვის - 77,1). საინტერესოა, რომ მხოლოდ 12-მა ნაკრებმა შეძლო შედეგიანობის საშუალო ზღვრის გადალახვა.

ტურნირზე ყველაზე შედეგიანი მატჩი ამერიკასა და ანგოლას შორის ჩატარდა, რომელიც 121:66 დასრულდა - 187 ქულა. იგივე შედეგი გაიმეორეს მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში ლიტვამ და სერბეთმა (99:88). შემდეგ მოდის მერვედფინალი არგენტინასა და ბრაზილიას შორის (93:89) და მეოთხედფინალი - სერბეთი-ესპანეთი (92:89).

ყველაზე დაბალი შედეგიანობა ორ მატჩში (ორივე ჯგუფურ ეტაპზე) დაფიქსირდა - 121 ქულა. ეს შეხვედრებია: თურქეთი-რუსეთი (65:56) და ავსტრალია-გერმანია (78:43).

სწორედ გერმანიის მიერ დაგროვილი 43 ქულა გახდა ტურნირის ანტირეკორდი. რეკორდი კი ამერიკას ეკუთვნის, რომელმაც მერვედფინალში ანგოლას 121 ქულა ჩაუგდო. გარდა ამისა, გერმანიამ იმით გამოიჩინა თავი, რომ მის გარდა ორი ოვერტაიმი არც ერთ გუნდს არ უთამაშია.

### გუნდური სტატისტიკა

**ქულა (საშუალო)**

| | |
|---|---|
| 1. აშშ | 92,8 |
| 2. სერბეთი | 88,9 |
| 3. ესპანეთი | 85,2 |
| 4. არგენტინა | 83,3 |
| 5. ლიტვა | 82,9 |

**ქულა (სულ)**

| | |
|---|---|
| 1. აშშ | 835 |
| 2. სერბეთი | 800 |
| 3. ესპანეთი | 767 |
| 4. არგენტინა | 750 |
| 5. ლიტვა | 746 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| 1. აშშ | 41,7 |
| 2. პუერტო რიკო | 40,4 |
| 3. ლიტვა | 37,8 |

**პასი**

| | |
|---|---|
| 1. ესპანეთი | 18,2 |
| 2. აშშ | 18,2 |
| 3. სერბეთი | 18,1 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| 1. ესპანეთი | 4,9 |
| 2. კოტ დ'ივუარი | 4,8 |
| 3. აშშ | 4,0 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| 1. აშშ | 10,4 |
| 2. კოტ დ'ივუარი | 8,4 |
| 3. ბრაზილია | 8,2 |

**შეცდომა**

| | |
|---|---|
| 1. ირანი | 18,4 |
| 2. ლიბანი | 16,8 |
| 3. საფრანგეთი | 16,2 |

### პირადი სტატისტიკა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 1. ლუის სკოლა (არგ) | 27,1 |
| 2. კირკ პენი (ზელ) | 24,7 |
| 3. კევინ დურანტი (აშშ) | 22,8 |
| 4. კარლოს დელფინო (არგ) | 20,6 |
| 5. იი იანლიანი (ჩინ) | 20,2 |

ტურნირის რეკორდი დაამყარა **კევინ დურანტმა**, რომელმაც ნახევარფინალში ლიტვას 38 ქულა ჩაუგდო. მეორე ადგილზეა **კირკ პენის** გმირობა ტურნირის პირველ დღეს, აგრეთვე **ლუის სკოლას** კიდევ ერთი ბრწყინვალე თამაში ბრაზილიის წინააღმდეგ - 37 ქულა.

**ქულები (სულ)**

| | |
|---|---|
| 1. ლუის სკოლა (არგ) | 244 (9) |
| 2. კევინ დურანტი (აშშ) | 205 (9) |
| 3. კარლოს დელფინო (არგ) | 185 (9) |
| 4. ლინას კლეიზა (ლიტ) | 171 (9) |
| 5. კირკ პენი (ზელ) | 148 (6) |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| 1. იი იანლიანი (ჩინ) | 10,2 |
| 2. ჰამედ ჰადადი (ირა) | 8,6 |
| 3. ზაიდ აბაასი (იორ) | 8,4 |

**იი იანლიანს, საშა კაუნს** (რუსეთი), **ჰოაკიმ გომეშსა** (ანგოლა) და **არსალან ქაზემის** (ირანი) ეკუთვნის ერთ მატჩში საუკეთესო შედეგი - 14 მოხსნა.

**პასი**

| | |
|---|---|
| 1. პაბლო პრიჯონი (არგ) | 6,4 |
| 2. მარსელო უერტასი (ბრა) | 5,8 |
| 3. მილოშ ტეოდოშიჩი (სერ) | 5,6 |

ესპანელებმა აქ მაინც გამოიჩინეს თავი. **რიკი რუბიომ** ახალ ზელანდიასთან მატჩში 11 პასის დარიგება მოახერხა. თუმცა ტურნირის რეკორდში ესპანელს რუსი **ანტონ პონკრაშოვი** (პუერტო რიკო წინააღმდეგ) და სერბი **მილოშ ტეოდოშიჩი** (თურქეთის წინააღმდეგ) შეეცილნენ.

**დაფარება**

| | |
|---|---|
| 1. მამადუ ლამიზანა (კ-დივ) | 3,2 |
| 2. ჰამედ ჰადადი (ირა) | 2,6 |
| 3. მარკ გასოლი (ესპ) | 2,3 |

ლოგიკურია, რომ **მამადუ ლამიზანა** გახდა ერთ მატჩში დაფარებების რაოდენობით რეკორდსმენი. თანაც აფრიკელმა ორ მატჩში - პუერტო რიკოსთან და თურქეთთან მიითვალა ხუთ-ხუთი დაფარება. მისი შედეგი გაიმეორეს ირანელმა **ჰამედ ჰადადიმ** და ტუნისელმა **სუად მეჯრიმ** - ორივემ ბრაზილიასთან მატჩებში გამოიჩინა თავი.

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| 1. არსალან ქაზემი (ირა) | 2,8 |
| 2. ალი მაჰმუდი (ლიბ) | 2,6 |
| 3. მულუკუ დიაბატე (კ-დივ) | 2,4 |

ჩაჭრების რაოდენობით რეკორდი **სინან გიულერს** ეკუთვნის. თურქმა, რომელიც საშუალო მაჩვენებლით მეოთხე ადგილზე გავიდა (2,1 ჩაჭრა მატჩში), ჩინეთთან შეხვედრაში რვა ჩაჭრა მოიპოვა. 7 ჩაჭრა ჰქონდა ივუარელ **მულუკუ დიაბატეს** რუსეთთან მატჩში.

**შეცდომა**

| | |
|---|---|
| 1. ოსამა დაგლასი (იორ) | 4,0 |
| 2. მეჰდი ქარმანი (ირა) | 3,8 |
| 3. ჯავად დავარი (ირა) | 3,6 |

აქ ერთპიროვნული ლიდერია კევინ დურანტი - ბრაზილიასთან ურთულეს შეხვედრაში ამერიკელთა ლიდერმა და ტურნირის MVP-მ შვიდჯერ დაკარგა ბურთი.

**წუთი**

| | |
|---|---|
| 1. კარლოს დელფინო (არგ) | 36,3 |
| 2. ლიუ ვეი (ჩინ) | 36 |
| 3. ლუის სკოლა (არგ) | 35,9 |

# ივკოვიჩი ფედერაციის წინააღმდეგ

## დრიმ თიმს ლონდონშიც კრჟიჟევსკი ეყოლება

ლიტვასთან წაგებული მესამე ადგილისთვის მატჩის შემდეგ, სერბეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დუშან ივკოვიჩმა** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია გააკრიტიკა. სერბმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ FIBA-ის ხელმძღვანელობამ სერბებს ბოდიში უნდა მოუხადოს ან გადადგეს. ივკოვიჩის აღშფოთება თურქეთთან ნახევარფინალში მსაჯების მოქმედებამ გამოიწვია.

*„ეს ძალიან საინტერესო ჩემპიონატი იყო. ამერიკის ნაკრებმა შესანიშნავი თამაში აჩვენა, ჩვენ კი პირიქით, ვერ შევძელით ტურნირის წარმატებით დასრულება. ფინალში გასვლას ვიმსახურებდით. მოთამაშეები იმედგაცრუებული არიან ასეთი შედეგის გამო. თურქეთის წინააღმდეგ ხარისხიანი თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ მსაჯებმა ყველაფერი გააფუჭეს. აღნიშნული მატჩის დასაწყისში და ბოლო წუთებზე განსხვავებული სამსაჯო კრიტერიუმები მოქმედებდა. არანაირი ბოდიში არ მიგვიღია. ეს ნორმალურია? ნუთუ სასპონსორო კონტრაქტები და ჟენევაში ახალი სახლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი საყვარელი კალათბურთი? თუ ასეა, მაშინ დიდი პრობლემების წინაშე ვყოფილვართ.*

*ვერ გამიგია, ორი ევროპული გუნდის თამაშისას რატომ არ შეიძლება მსაჯები ევროპელები იყვნენ? არბიტრები დარღვევებზე თვალს ხუჭავდნენ, შენიშვნებს არ აძლევდნენ, ვიდეოჩანაწერებს არ იყენებდნენ... ლუბომირ კოტლებესა და პატრიკ ბაუმანს ეთიკური მოსაზრებებით თანამდებობების დატოვებას ვთავაზობ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კალათბურთი დაიღუპება. ვიცი, რასაც ვამბობ. ბორისლავ სტანკოვიჩმა თავისი მმართველობის შემდეგ შესანიშნავი მემკვიდრეობა დატოვა, მაგრამ ახლა მისი მუშაობის შედეგი განადგურებულია. მოკლედ, რთული სიტუაციაა.*

*მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს შეგირდებს გაწეული სამუშაოსთვის. 28 ივნისიდან ვვარჯიშობდით და წარმატებას მივაღწიეთ. ასევე მადლობას ვუხდი თურქეთის კალათბურთის ფედერაციას, რომელმაც ტურნირის სტარტამდე ერთი კვირის განმავლობაში სტამბოლში ვარჯიშის საშუალება მოგვცა"*, - ამბობს ლეგენდარული სპეციალისტი.



დუშან ივკოვიჩი

■ ■ ■

გაცილებით ამაღლებული განწყობით ტოვებს თურქეთს ტურნირის ტრიუმფატორი, ამერიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მაიკ კრჟიჟევსკი**. მან ფინალის შემდეგ განაცხადა, რომ 2012 წლის ოლიმპიადაზეც აპირებს „დრიმ თიმის" გაწვრთნას და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს ნაკრებიდან წასვლაზე.

63 წლის სპეციალისტი ამერიკის ნაკრებს 2006 წლიდან ხელმძღვანელობს და მეორე ჯილდო მოიგო - მანამდე კრჟიჟევსკიმ გუნდი ოლიმპიური ჩემპიონი გახადა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სახურავის ფული არ აქვთ



კვირას ნიუ იორკში წვიმდა

ამერიკის ღია პირველობის კვირას დასრულება ვერ მოხერხდა. მამაკაცთა ფინალის დღეს ნიუ იორკში განვიმდა და გადამწყვეტი მატჩის მონაწილეებს - **რაფაელ ნადალსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** კორტზე გასვლის საშუალება არ მიეცათ. ამის გამო შეხვედრა ორშაბათისთვის გადაიტანეს. აღსანიშნავია, რომ უკვე ზედიზედ მესამედ ამერიკის ღია ჩემპიონატში კაცებს შორის გამარჯვებული ორშაბათს ვლინდება. ასე მოხდა 2008 წელს **როჯერ ფედერერისა** და **ენდი მიურეის** შეხვედრაში, მომდევნო წელს კი იმავე ფედერერისა და **ხუან მარტინ დელ პოტროს** დაპირისპირებისას.

მამაკაცების ფინალის გარდა, დასამთავრებელია ქალ წყვილთა გადამწყვეტი მატჩი. წვიმა მაშინ წამოვიდა, როცა **ლიზელ ჰუბერისა** (აშშ) და **ნადია პეტროვას** (რუსეთი) წყვილი მესამე სეტში 5:4-ს უგებდა ამერიკელ **ვანია კინგსა** და ყაზახ **იაროსლავა შვედოვას**.

ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავის დამონტაჟება, თუმცა ამერიკის ჩოგბურთის ასოციაცია დიდ ნაკლად არ მიიჩნევს იმას, რომ „ფლეშინგ მედოუს“ სტადიონზე არ არსებობს თანამედროვე ჩოგბურთო არენებისთვის საჭირო ეს აუცილებელი ატრიბუტი. „დიდი სლემის“ მეოთხე ტურნირის ორგანიზატორებს არ აღელვებთ ფინალური მატჩების გადატანა, რომელიც უსიამოვნო ტრადიციად ჩამოყალიბდა.

*„ეს რთული პროექტია, როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. როგორ უნდა განვავითაროთ ქვეყანაში საჩოგბურთო პროგრამები, როცა სახურავის მონტაჟისთვის 150 მილიონი დოლარი დაიხარჯება?“* - ამბობს ფედერაციის წარმომადგენელი **კრის ვიდმაიერი**. „ფლეშინგ მედოუს“ მოდერნიზაციაზე ბოლო წლებში ისედაც 100 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ამ თანხის დიდი ნაწილი საწვრთნელი ცენტრის მოწყობას დასჭირდა.

როგორც იცით, მოძრავი სახურავით არის აღჭურვილი ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის ცენტრალური კორტები, ხოლო იმავე პროექტის განხორციელებაზე ფიქრობს როლან გაროსის საორგანიზაციო კომიტეტი.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოები იაპონიაში ჩავარდა


სებასტიან ოჟიე იაპონიის რალიზე

იაპონიის რალიმ სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს პირველობისთვის ლამაზი ბრძოლა აჩუქა. პირველ რიგში ეს იმიტომ მოხდა, რომ საერთო ჩათვლის ლიდერმა **სებასტიან ლოებმა** ვერ იპოვა თავისი ტემპი. ფრანგი, რომელსაც სამი კვირის შემდეგ სამშობლოში შეუძლია მორიგი ჩემპიონობის გაფორმება, ამჯერად წარუმატებლად გამოვიდა. რა თქმა უნდა, მეხუთე ადგილი ბევრისთვის საოცნებოა, მაგრამ არა სებასტიანისთვის, რომელიც წელს მუდმივად პოდიუმზე ადიოდა.

სხვა ფავორიტებმა იაპონიის ეტაპი სტაბილურად გაიარეს. ვინ იცის, როგორი იქნებოდა საბოლოო შედეგი, „ფორდის“ მანქანებს პრობლემები რომ არ შეექმნოდათ. შაბათის სპეცმონაკვეთების შემდეგ ლიდერთა მჭიდრო ჯგუფი ჩამოყალიბდა და ნებისმიერს შეეძლო გამარჯვებაზე ფიქრი. კვირას პირველი ბრძოლას **ლატვალა** გამოაკლდა. „ფორდის“ მეორე ნომერი ისევ ჯობდა თანაგუნდელს, მე-15 სპეცმონაკვეთის შემდეგ ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ტექნიკური პრობლემა შეექმნა. ფინელმა მხოლოდ მესამე ადგილისთვის იბრძოლა, არადა, გაცილებით მეტი შეეძლო.

კვირას „ფორდის“ ბოლო იმედი **მიკო ჰირვონენი** იყო, მაგრამ მან მაშინვე წააგო - ფინელის მანქანაზე გადაცემათა კოლოფი გამოვიდა მწყობრიდან. საერთოდ ასე ხდება - თუ „ფორდის“ პილოტები დისტანციას შეცდომების გარეშე გადიან, მაშინ მათ ტექნიკური პრობლემები უშლით ხელს. იაპონიაში ასეთი რამ ორ მანქანას დაემართა. იმედი ვიქონიოთ, რომ გუნდი ტყუილად არ ხარჯავს ენერგიას Ford Fiesta S2000-ის გასაძლიერებლად.

პირველობისთვის ბრძოლა გააგრძელეს **პეტერ სოლბერგმა** და **სებასტიან ოჟიემ**. ნორვეგიელი პირველი გავიდა ტრასაზე და ე. წ. „მწმენდავის“ როლს ასრულებდა. შესაძლოა, ამის გამო აგებდა ოჟიესთან, მაგრამ დროის მთავარი დანაკარგი შეცდომამ გამოიწვია. ამის წყალობით ოჟიემ კარიერაში მეორე ეტაპი მოიგო, რაც ბრწყინვალე შედეგია ამ ახალგაზრდა რალისტისთვის. ჯერ კიდევ შარშან, ოჟიე ქულათა ზონასთან მიახლოების გამო ხარობდა, ახლა კი ორი გამარჯვება დაუგროვდა. უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ფრანგი კლასის ხარჯზე იგებს სპეცმონაკვეთებს.

**X ეტაპი. იაპონიის რალი**

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 3:10.26,4; 2. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - +15,7; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი“) - +26,0; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი“) - +35,2; 5. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - +53,3; 6. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი“) - +1.13,5; 7. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +3.03,1; 8. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - +10.17,9; 9. **იარი კეტომაა** (ფინეთი, „ფორდი“) - +14.47,1; 10. მარტინ პროკოპი (ჩეხეთი, „ფორდი“) - +15.20,8...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 201 ქულა; 2. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 158; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი“) - 132; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 118; 5. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი“) - 107; 6. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი“) - 94; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი“) - 56; 8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 31; 9. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - 30; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 21.

დოპინგი

# დისკვალიფიკაცია ინდოეთს

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა საწვრთნელ ბანაკში ერთი და იმავე აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის 12 ინდოელი სპორტსმენი გამოიჭირეს, ქვეყნის ეროვნული ანტისადოპინგო სააგენტო ირწმუნება, რომ ასეთ შემთხვევებს სისტემატური ხასიათი არ აქვს და უბრალო დამთხვევასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ექვს ინდოელ მოცურავეს ორგანიზმში მეთილგექსანამინის კვალი აღმოუჩინეს. ამ სპორტსმენებს 13-14 ოქტომბერს, დელიში ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მოგვიანებით ანალოგიური დოპინგის მიღებაში კიდევ ექვსი ათლეტი ამხილეს. ყველა მათგანს უკვე დაატოვებინეს ნაკრების რიგები.

როგორც ინდოეთის ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენელი, დოქტორი **ჩანდრანი** ამბობს, მეთილგექსანამინი შეიძლება შედიოდეს საკვები ზეთის რამდენიმე სახეობაში და დოპინგის მიღების მასობრივი ხასიათიც სწორედ აქედან მომდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ინდოეთში დოპინგის მიღება 101 სპორტსმენს დაუდგინეს, რაც ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში აბსოლუტური ანტირეკორდია. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ინდოეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ოლიმპიადებზე საკუთარი გუნდის გაყვანა აუკრძალონ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| სტოკ სიტი-ასტონ ვილა | 2:1 |

**სტოკ სიტი:** სიორენსენი, ფაიე, შოუკროსი, დ. კოლინზი, პუთი, უითეჰედი, უილსონი (65. პენანტი), ეთერინგტონი, დელაპი (87. უილანი), ჯოუნსი, უოლტერსი (61. ფულერი).

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, დანი, ჯ. კოლინზი, უორნოკი, ლ. იანგი, ს. პეტროვი, რეო-კოკერი, ე. იანგი, დაუნინგი, ოლბრაიტონი, აგბონლაჰორი (87. ჰესკი).

**გოლები:** 0:1 დაუნინგი (35), 1:1 ჯოუნსი (80), 2:1 პუთი (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 22-11 (9-5); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 28 383

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| კროტონე-მოდენა | 3:1 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| სალერნიტანა-პაგანეზე | 2:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ალმერია-სოსიედადი | 2:2 |

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - ხუან ორტისი, მბამი, აკასიეტე, მასედო - ვარგასი (57. ულოა), ბერნარდელო - ვალერი (72. კორონა), პიატი, კრუსატი - გოიტომი (84. ხოსე ორტისი).

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - მარტინესი, ანსოტეგი, მიკელ გონსალესი, დე ლა ბელა - არანბურუ, რივასი - პრიეტო, ზურუტუზა (76. ვიგერა), სუტილი (64. გრიზმანი) - ტამუდო (87. ბერგარა).

**გოლები:** 0:1 ტამუდო (8), 1:1 პიატი (21), 1:2 სუტილი (33), 2:2 ულოა (90)

**გაფრთხილება:** ვარგასი, ხუან ორტისი, აკასიეტე, კორონა-რივასი, მიკელ გონსალესი.

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 18-15 (7-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 13 000

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კოტბუსი-კარლსრუე | 5:5 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ევიანი-აიაჩო | 1:1 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტელსტარი-დორდრეხტი | 1:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| სეტუბალი-ბეირა მარი | 0:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-რანდერსი | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტრიომსგოდსეტი-მიოლდე | 1:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-გაის | 2:1 |
| კალმარი-ბრომაპიოკარნა | 3:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვასბი-ჰამარბიუ | 3:1 |
| დეგერფორსი-ბრაგე | 1:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰონკა-ოულუ | 3:4 |
| ინტერი-იუვასკილა | 3:2 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰარტბერგი-ალტახი | 0:2 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-სერვეტი | 1:0 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იანინა-პანთრაკიკოსი | 2:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ქასიმფაშა-ქარაბუქი | 1:2 |
| ტრაბზონი-შივასი | 6:1 |
| გალათასარაი-გაზიანთეფი | 1:0 |
| გენჩლერი-ბუიუქსეჰირი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ერჩიესი-ბბ გაზიანთეფი | 2:1 |
| სამსუნი-მერსინი | 0:1 *შეწყდა* |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დროგედა | 2:0 |
| დანდალკი-შემროკი | 5:1 |
| გალვეი-სლიგო | 2:2 |
| სპორტინგი-ბრეი | 2:2 |
| უნივერსიტი-სტ. პატსი | 3:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მონეგანი-ეთლონი | 2:0 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ერმისი-ოლიმპიაკოსი | 2:2 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ფრამი-კეფლავიკი | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სიგმა-ბოლესლავი | 0:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ვასლუი-ოცელული | 4:0 |
| პანდური-უნივერსიტატეა (კრ) | 3:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| სლივენი-ჩერნომორეცი | 0:0 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (ჰ) | 1:1 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-ცსკა | 3:3 |
| ავანგარდი-სევერსტალი | 5:1 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მნ) | 2:5 |
| სიბირი-დინამო (რ) | 3:2 |
| ბარისი-სკა | 4:3 |
| ს. იულიაევი-მეტალ. (მ) | 5:5 დ.დ. 1:0 |
| იუგრა-სპარტაკი | 4:1 |
| ატლანტი-ლოკომოტივი | 0:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| ნადალი-ჯოკოვიჩი | 6:4, 4:4 შეწყდა |

**WTA. გუანგჯოუ**

| | |
|---|---|
| კამერინი-ლუ | 3:6, 6:1, 7:5 |
| ჩანგი-ნარა | 6:1, 6:2 |
| სხეპერსი-სუ | 6:0, 6:0 |
| ჟანგი-ფერგიუსონი | 3:6, 7:6, 6:2 |
| ამანმურადოვა-სავჩუკი | 7:5, 6:2 |
| ვოგელი-ივანოვა | 3:6, 6:7 |

**WTA. კვებეკი**

| | |
|---|---|
| ტატიშვილი-მოლიკი | 3:6, 6:2, 6:2 |
| არვიდსონი-კრაიჩეკი | 6:2, 6:0 |

TV პროგრამა

**14 სექტემბერი. სამშაბათი**

**I არხი**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბარსელონა-პანათინაიკოსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:05** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:05** საერთაშორისო პანორამა.
**09:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-სოსიედადი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
**14:05** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:05** საერთაშორისო პანორამა.
**16:10** ახალი ამბები.
**16:30** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:30** გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
**19:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:20** ახალი ამბები.
**20:45** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
**00:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბურსა-ვალენსია.
**02:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
**04:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ტვენტე-ინტერი.

**EUROSPORT**

**10:30** რალი-რეიდი. აბრეშუმის გზა. III ეტაპი.
**10:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**11:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**12:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ტრინიდადი.
**13:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ესპანეთი. ტრინიდადი.
**14:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-კანადა. ტრინიდადი.
**15:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. განა-ირლანდია. ტრინიდადი.
**16:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**17:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**18:00** მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. 1/2 ფინალი. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. 1/2 ფინალი. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. საერთაშორისო ტურნირი Super Six World Boxing Classic. ანდრე უორდი (აშშ)-ალან გრინი (აშშ). აშშ.
**01:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**01:30** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**01:45** რალი-რეიდი. აბრეშუმის გზა. IV ეტაპი.
**02:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-კანადა. ტრინიდადი.
**02:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ტრინიდადი.

ველოსპორტი. ვუელტა

**XV ეტაპი**

**სოლარესი-კოვადონგი. 187,3 კმ**

1. **კარლოს ბარედო** (ესპანეთი, Quick Step) - 4.33,09; 2. **ნიკოლ სიმენსი** (ბელგია, Cofidis) - +1,07; 3. **მარტინ ველიტსი** (სლოვაკეთი, Team HTC-Columbia) - +1,43; 4. **გრეგ ვან ავერმეტი** (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - +2,06; 5. **პიერ კაზო** (საფრანგეთი, FDJ) - +2,10; 6. **ოლივერ კაისენი** (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - +2,12... 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas-Doimo) - +2,26... 10. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა“) - იგივე დრო... 13. **ფრანკ შლეკი** (ლუქსემბურგი, Saxo Bank) - +3,02; 14. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +3,03... 36. **რომან კროიციგერი** (ჩეხეთი, Liquigas-Doimo) - +5,47... 125. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +22,58...

**საერთო ჩათვლა**

1. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas-Doimo) - 65.33,14; 2. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა“) - +0,04; 3. **ეზეკიელ მოსკერა** (ესპანეთი, Xacobeo Galicia) - +0,39; 4. **მარტინ ველიტსი** (სლოვაკეთი, Team HTC-Columbia) - +2,29; 5. **ხავიერ ტონდო ვოლპინი** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +2,30; 6. **ნიკოლა როშე** (საფრანგეთი, Ag2R-La Mondiale) - +2,47; 7. **ფრანკ შლეკი** (ლუქსემბურგი, Saxo Bank) - +2,48... 9. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +4,29... 34. **რომან კროიციგერი** (ჩეხეთი, Liquigas-Doimo) - +26,29... 42. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +41,27...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



ჰატონი და კოკაინი

# ჰატონი თავს იკლავს

მსოფლიოს ექსჩემპიონი **რიკი ჰატონი** გრანდიოზულ სკანდალში გაეხვია. ბრიტანულმა ტაბლოიდმა News of the World-მა თავის ვებგვერდზე ვიდეომასალა გამოაქვეყნა, საიდანაც ირკვევა, რომ ცნობილი მოკრივე ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი ყოფილა. ვიდეო მანჩესტერის ერთ-ერთ სასტუმროშია გადაღებული. ჰატონმა შვიდი დოზა კოკაინი მიიღო და თანაც ეტყობოდა - ამ საქმით პირველად არ იყო დაკავებული. ეს ყველაფერი ალკოჰოლის ცარიელი ბოთლების ფონზე ხდებოდა.

ყოფილი ჩემპიონის მეგობარმა **ემი ბოუიმ**, რომელიც ჰატონის „გართობის“ ერთ-ერთი მოწმე გახდა, განაცხადა, რომ რიკიმ ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მიღების ნამდვილი მარათონი მოაწყო, *„თუ ასეთი ტემპებით გააგრძელებს, აუცილებლად მოკვდება“*, - ამბობს რიკის მეგობარი.

ცოტა ხანში, ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალას თავად მოკრივის ოფიციალური წარმომადგენელი **მაქს კლიფორდი** გამოეხმაურა. მისი თქმით, ჰატონი ამ ვიდეოს გამო ბოდიშს უხდის ყველა თაყვანისმცემელს და ძალიან ნანობს თავის საქციელს.

*„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად დათრგუნვილია ის,* - განაცხადა BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰატონის წარმომადგენელმა. - *რიკიმ აღიარა, რომ კარგავს ყველაფერს: საკუთარ თავს, ოჯახს, მეგობრებსა და გულშემატკივრებს. მან უნდა გააცნობიეროს ეს პრობლემა და შეეცადოს მის მოგვარებას. იმედი მაქვს, ამას მოახერხებს“.*

ცოტა ხნის წინ ჰატონმა განაცხადა, რომ მალე გამოაცხადებს კარიერის ოფიციალურად დასრულებას. *„ვფიქრობ, ჩემი კარიერა დასასრულს მიუახლოვდა,* - თქვა ბრიტანელმა. - *ახლა პრომოუტერული საქმიანობით ვარ დაკავებული და ჩემი მიზანია, რომელიმე შეგირდი მსოფლიოს ჩემპიონად ვაქციო“.*

გასულ თვეში რიკიმ საკრივო ლიცენზია განაახლა და საწვრთნელი შეკრებაც ჩაატარა, მაგრამ როგორც ჩანს, რინგზე დასაბრუნებლად მოტივაცია ვერ იპოვა.


ფლოიდ მეივეზერი


ჯოზი ჰარისი

# კლიჩკომ მეტოქე კლინიკაში გაუშვა

სუპერმძიმე წონაში IBF-ისა და WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვლადიმირ კლიჩკო**, რომელმაც კვირას ნიგერიელ **სამუელ პიტერთან** ბრძოლაში შეინარჩუნა ტიტულები, წელს, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გავიდეს რინგზე. მომავალი ორთაბრძოლის სავარაუდო თარიღი 11 დეკემბერია. უკვე ცნობილია, რომ კლიჩკოს მეტოქე არ იქნება რუსი **ალექსანდრ პოვეტკინი**. ეს ინფორმაცია უკრაინელის მენეჯერმა **ბერნდ ბიონტემ** დაადასტურა.

*„დღეისთვის მიმდინარეობს მოლაპარაკება ტელეარხ RTL-თან 11 დეკემბერს ბრძოლის ჩატარების თაობაზე. ამ ეტაპზე მეტოქეს ვეძებთ და ამ საკითხთან დაკავშირებით მუდმივი კავშირი გვაქვს კომპანია Top Ten-თან. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია დარწმუნებით - უახლოეს პერიოდში გამორიცხულია ვლადიმირისა და პოვეტკინის ბრძოლა“*, - ამბობს ბიონტე.


ნიგერიელს ცუდი დღე დაადგა

ამასობაში, უმცროსი კლიჩკოს ან უკვე ყოფილი მეტოქე სამუელ პიტერი კვირის საჩემპიონო ბრძოლის შემდეგ ფრანკფურტის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოხვდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს აფრიკელი მოკრივის მენეჯერმა **ივაილო გოტცევმა** აცნობა.

*„ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო მძიმეწონოსანს შევხვდით,* - ამბობს გოტცევი. - *მან ეს სტატუსი მორიგი გამარჯვებით დაამტკიცა. ყველამ დაინახა, რა რთულია უკრაინელის დამარცხება. სამუელი თავს კარგად გრძნობს და თავის სტილში ხუმრობს კიდეც. მიუხედავად ამისა, მაინც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არის. გარკვეული ხანი სამედიცინო კონტროლი აუცილებელია“.*

კლიჩკომ მეათე რაუნდში ჩააგდო ნიგერიელი ნოკაუტში. მანამდე პიტერმა რამდენიმე მტკივნეული დარტყმა მიიღო სახეში. ბრძოლის სტატისტიკის მიხედვით, უკრაინელმა ნიგერიელზე ზუსტად 300-ით მეტი დარტყმა შეასრულა. კლიჩკომ 499-ჯერ მოიქნია მუშტი და 142-მა დარტყმამ (28 პროცენტი) მიაღწია მიზანს. პიტერის სტატისტიკა იყო - 199 დარტყმა და მხოლოდ 35 ზუსტი (18 პროცენტი).

# ტაისონის ნაკვალევზე

მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს პროფესიონალ მოკრივე **ფლოიდ მეივეზერს** საყოფაცხოვრებო კონფლიქტის გამო ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება.

33 წლის ამერიკელი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოკრივედ მიიჩნეოდა, მაგრამ სულ რაღაც ერთკვირიანი პერიოდის განმავლობაში უამრავ უსიამოვნებაში გაეხვია. ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ერთდროულად დაადანაშაულეს ქურდობაში, ოჯახურ ძალადობასა და რასიზმში. ამ ყველაფერმა, შესაძლოა, წერტილი დაუსვას მის ბრწყინვალე კარიერას. შეგახსენებთ, რომ ამერიკელს პროფესიულ რინგზე არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

მეივეზერი პოლიციის განყოფილებაში თავისი ყოფილი მეგობრის **ჯოზი ჰარისის** განცხადების შემდეგ მოხვდა. ჯოზი ფლოიდის სამი შვილის დედა გახლავთ. წყვილი შვიდწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ამა წლის მაისში გაიყარა. ახლა ჯოზი შვილებთან ერთად სხვა მამაკაცთან ცხოვრობს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მეივეზერისთვის ხუთშაბათს მათ სახლში შევარდნილიყო და სკანდალი მოეწყო. ქალის მონათხრობის თანახმად, მოკრივემ ბავშვების თვალწინ სახეში გაარტყა, იატაკზე თმით ათრია და ხელები გადაუგრიხა, ბოლოს კი მოკვლით დაემუქრა თავისი შვილების დედასა და მის ბოიფრენდს. მოკრივე ჯოზის პირად ნივთებშიც იქექებოდა, რის შემდეგაც ქალმა iPhone დაკარგა.

სწორედ მობილურის ქურდობისთვის დააკავა ლას ვეგასის პოლიციამ ყოფილი ჩემპიონი. მაგრამ ფლოიდი კამერაში დიდხანს არ დაუყოვნებიათ და სასაცილო გირაოს - 3 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. *„აქ რაღაც შეცდომაა,* - განაცხადა სპორტსმენის ადვოკატმა რიჩარდ რაიტმა. - *ფლოიდს არაფერი მოუპარავს. ჯოზი უბრალოდ ვერ პოულობს თავის iPhone-ს. ჩვენ მას ძებნაში ვეხმარებით ან სულაც ახალ ტელეფონს შევუძენთ. ჩემი ვარაუდით, გაუგებრობა მალე მოგვარდება, რადგან აღნიშნული iPhone სულ რაღაც 500 დოლარი ღირს“.*

ოფიციალურად მეივეზერი ჯოზის ნივთების მოპარვაში არის ეჭვმიტანილი. ზარალის საერთო თანხა 2.500 დოლარს შეადგენს. სწორედ ამისთვის ემუქრება ფლოიდს ხუთწლიანი პატიმრობა. ოჯახური ძალადობის მუხლით საქმე ჯერჯერობით არ აღძრულა, თუმცა პოლიცია ამ მიმართულებითაც მუშაობს. 2003 წელს ჰარისმა ერთხელ უკვე დაადანაშაულა მოკრივე ცემაში, მაგრამ შემდეგ სასამართლოდან განცხადება გაიტანა.

■ ■ ■

მეივეზერის პირადი ცხოვრების გარშემო სკანდალი იმ მომენტში აგორდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი მოკრივის მიერ ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მისამართით გამოთქმული ფრაზების გამო ატეხილი ხმაური. ამერიკული კრივის ვარსკვლავმა თავის არშემდგარ მეტოქეს „ყვითელი იდიოტი“ უწოდა და დაიქადნა, რომ მისგან „სუშისა და ძაღლის ბარბექიუს“ მოამზადებდა. კონკურენტის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები ჩვეულებრივი ამბავია პროფესიულ კრივში, მაგრამ ამჯერად მეივეზერმა ყოველგვარ დაშვებულ ნორმას გადააბიჯა და რასისტული ზიზღი გამოავლინა. ფლოიდის გამოსვლა კრივის სამყაროს ყველა ცნობილმა პიროვნებამ გააკრიტიკა, ამიტომაც მენეჯერებმა ამერიკელს საჯაროდ ბოდიშის მოხდა ურჩიეს.

*„მინდა ბოდიში მოვიხადო იმის გამო, რაც მოხდა. რატომღაც ჩემი გამოსვლა ყველამ რასიზმის გამოვლენად აღიქვა. მაგრამ ჩემში რასიზმის ნატამალიც არ არის,* - ამბობდა მეივეზერი. - *პირიქით, მე ყველა მიყვარს. ვიღაცა მუსლიმანია, ვიღაცა ებრაელი. არიან პუერტორიკოელები, დომინიკელები, თეთრები... ამას არ აქვს მნიშვნელობა. ჩემს გულში მხოლოდ სიყვარულს უკავია ადგილი. თუ ვინმე დაზარალდა ჩემი სიტყვების გამო, ბოდიშს ვიხდი. მე უბრალოდ ვხუმრობდი და ამ ფრაზებში არანაირი აზრი არ ჩამიდევს. პაკიაოს სინამდვილეში მიაჩნია, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ვიცი, რომ საუკეთესო მე ვარ. მხოლოდ ამაშია ჩვენ შორის განსხვავება“.*

მეივეზერისა და პაკიაოს ბრძოლა, რომელიც 13 მარტისთვის იყო დანიშნული, საუკუნის შეხვედრად მონათლეს, მაგრამ ორთაბრძოლა ჩაიშალა. ფლოიდმა მოწინააღმდეგე დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა და ფილიპინელს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) წესებით დოპინგკონტროლის გავლა მოსთხოვა. მენი ამ პირობას არ დაეთანხმა და მოლაპარაკებები ჩაიშალა. პაკიაომ მარტში **ჯოშუა კლოტი** დაამარცხა, მეივეზერმა კი მაისში მოუგო **შეინ მოსლის**. ამასთან, ფილიპინელმა, რომელსაც ნოემბერში **ანტონიო მარგარიტოსთან** ელის შეხვედრა, განაცხადა, რომ მას აღარ აინტერესებს მეივეზერთან ბრძოლა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ყვითელი ამბავი

# რიკელმეს კონკურენტი


ფეიმ დანაპირები აასრულა

**პარაგვაელ** მოდელ **ლარისა რიკელმეს** ჩინეთში კონკურენტი გამოუჩნდა. ქვეყანაში ცნობილმა მომღერალმა და მსახიობმა **ლიუ ii ფეიმ** გამოაცხადა, რომ კამერების წინ გაიხდიდა, თუ ჩინეთის ნაკრები მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატზე პლეი ოფში გავიდოდა.

როგორც იცით, საფეხბურთო პირველობის დროს მსგავსი განცხადება გააკეთა რიკელმემ. მართალია, პარაგვაის ნაკრებმა მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ლარისა ამან ვერ შეაშინა და სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა შიშველ ფოტოსესიაში.

ახლა კი ფეის ჯერიც დადგა, მით უმეტეს, რომ ჩინეთმა შეძლო ჯგუფური ეტაპის გადალახვა და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. მსახიობმა დანაპირები აასრულა, ხოლო სხეულის უხერხული ადგილების დასაფარად საკალათბურთო ბურთი გამოიყენა.